European Commission



© ევროკავშირი, 2023 - Seventyfour / stock.adobe.com

eTwining: სწავლება, შემუშავება, ინოვაციების დანერგვა

#eTwinning

eTwinning

Erasmus+

ბპორტი
ჟან მონე
ახალგაზრდობა
უმაღლესი განათლება
პროფესიული განათლება და სწავლება
ზრდასრულთა განათლება

სასკოლო განათლება

ცხოვრებისეული თვალსაწიერის გამდიდრება, გონების გახსნა.

Erasmus+

დამატებითი ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ ხელმისაწვდომია ელექტრონულად (http://europa.eu).
ლუქსემბურგი: ევროკავშირის გამომცემლობა, 2023 წელი

Print	ISBN 978-92-9488-196-0	doi:10.2797/701576	EC-05-23-045-KA-C
PDF	ISBN 978-92-9488-259-2	doi:10.2797/716419	EC-05-23-045-KA-N
EPUB	ISBN 978-92-9488-197-7	doi:10.2797/597619	EC-05-23-045-KA-E

© ევროკავშირი, 2023 წელი

წინამდებარე გამოცემა დარედაქტირდა ირენ პატერაკის და ნიკოლაუ მურატოგლუს მიერ, რომლებიც არიან eTwining (ითვინინგის) ცენტრალური მხარდაჭერის სამსახურის წარმომადგენლები. აღნიშნულ სამსახურს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ევროპული განათლებისა და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, „ევროპის სქულნეტი“ (EUN Partnership) ხელმძღვანელობს. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ კონტრაქტორს და არ წარმოადგენს კონტრაქტორი ორგანიზაციის ოფიციალურ პოზიციას.
ევროკომისიის დოკუმენტების ხელახალი გამოყენების პოლიტიკა ხორციელდება ევროკომისიის 2011 წლის 12 დეკემბერს დამტკიცებული გადაწყვეტილების 2011/833/EU „კომისიის დოკუმენტების განმეორებითი გამოყენების შესახებ“ (OJ L 330, 14.12.2011, გვ. 39) თანახმად. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე დოკუმენტის განმეორებითი გამოყენება დასაშვებია „შემოქმედებითი საზოგადოების საავტორო უფლებების 4.0 საერთაშორისო ლიცენზიის“ (CC BY 4.0) (https://creativecommons.org/licenses/by/4.0/) შესაბამისად, რაც ნიშნავს, რომ დოკუმენტების ხელახალი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საავტორო უფლებებისა და შეტანილი ცვლილებების მითითების შემთხვევაში.
ნებისმიერი ისეთი ელემენტის გამოყენების ან რეპროდუცირების შემთხვევაში, რომელიც არ წარმოადგენს ევროკავშირის საკუთრებას, საჭიროა ნებართვის უშუალოდ შესაბამისი უფლების მფლობელისაგან მიღება. ევროკავშირი არ ფლობს საავტორო უფლებებს ისეთ გამოსახულებებზე, რომელსაც არ ახლავს შემდეგი საავტორო უფლების ნიშანი
© European Union.
საავტორო უფლებები
გარეკანის ფოტო: © ევროკავშირი, 2023 - Seventyfour / stock.adobe.com, სხვა ფოტოსურათები: © ევროკავშირი, 2023 - Pugun & Photo Studio / stock.adobe.com,
© ევროკავშირი, 2023 - inspiring.team /
stock.ado, © ევროკავშირი, 2023 - TWINS DESIGN STUDIO / stock.adobe.com
გრაფიკული დიზაინი: სესილია ბრუნოლი
თარგმანი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
Printed by Hofi Studio s.r.o. in the Czech Republic

eTwining: სწავლება, შემუშავება, ინოვაციების დანერგვა

სარჩევი

შესავალი **8**
1.1. რას გთავაზობთ ეს წიგნი? 10

ინოვაცია და განათლება **12**
2.1. 2.1. განათლების გადააზრება: ინოვაციების ძალა სამომავლო განათლების ფორმირებაში 13

2.2. ევროპული პოლიტიკა, ღონისძიებები და ინიციატივები განათლებისა და ინოვაციების მიმართულებით 15

2.3. LifeComp-ის ჩარჩო: ევროპული კომპეტენციების ჩარჩო უკეთესი ცხოვრების უზრუნველსაყოფად ჩვენს ცვალებად სამყაროში 20

როდესაც ინოვაცია მასწავლებლების შთაგონებაა **26**
3.1.ავლონარის საბავშვო ბაღი, ევია, საბერძნეთი 27

3.2. Materská škola Ľjušinova 1, ბრატისლავა, სლოვაკეთი 32

3.3. OS Petra Preradovića, ზადარი, ხორვატია 35

3.4. Karlbergs Skola, სტოკჰოლმი, შვედეთი 39

3.5. Colegiul Național Petru Rareș, ბეკლიანი, რუმინეთი 43

3.6. Collège et Lycée Pierre de Coubertin, ფონ-რომეუ, საფრანგეთი 48

3.7. İlhami Ertem Anadolu Lisesi, ედირნე, თურქეთი 52

3.8. II Liceum Ogólnokształcące im. Króla Jana III Sobieskiego w, კრაკოვი, პოლონეთი 56

3.9.ITCS ‘G. Zappa’ di Saronno, სარონო, იტალია 60

3.10.INS Ronda, ლეიდა, ესპანეთი 65

მარგარიტის სხინასი
ევროკომისიის პროექტის „ჩვენი ევროპული ცხოვრების წესის ხელშეწყობის“ ვიცე-პრეზიდენტი

სამომავლო კრიზისების დასაძლევად, ჩვენ გვჭირდება თანამედროვე, ინოვაციური გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით კი წარმატებული ტექნოლოგიების სფერო, სადაც კვალიფიციური სპეციალისტები თავდაჯერებულად მოახდენენ მეცნიერებისა და ინჟინერიის ფიზიკურ, ბიოლოგიურ და ციფრულ დარგებთან შერწყმას.

აღნიშნული მიზნის მიღწევა განათლების გარეშე გაგვიჭირდება.

მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ევროკავშირში მცხოვრებ მოზარდებს მიეწოდებოდეთ ინოვაციური, მაღალი ხარისხის განათლება და გადამზადება, ხოლო ზრდასრულებს ჰქონდეთ წვდომა ინოვაციური და ხარისხიანი გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებზე. თანამედროვე ცხოვრებაში, აუცილებელია ადამიანებმა ისწავლონ არასტანდარტულად აზროვნება. ამიტომ, ძალზედ მოხარული ვარ, რომ eTwinning-ის საზოგადოებამ 2023 წლის თემად განათლება და ინოვაცია აირჩია, რომელსაც ეძღვნება წინამდებარე პუბლიკაცია.

ინოვაციური მეთოდების დაგეგმვის, განვითარებისა და გამოყენების, ისევე როგორც ნიჭიერი ახალგაზრდების აღზრდის პროცესში განათლებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. განათლება ასევე გადამწყვეტ როლს ასრულებს ცოდნის პოტენციალის და ინოვაციების განვითარების, გავრცელებისა და ხორცშესხმის დროს. თუმცა, ინოვაცია განათლების სფეროში მრავალწახნაგოვანია: ინოვაცია შეიძლება გამოვლინდეს სასწავლო საჭიროებების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირების, ჯგუფური სწავლების დინამიური ორგანიზების, ახალი საგანმანათლებლო რესურსების, ან მოსწავლეთა ინტერესების მხარდაჭერის სახით.

და მაინც, რა იქნებოდა განათლება პედაგოგების გარეშე?

eTwinning-ის საზოგადოებას სწორედ აღნიშნული ასპექტი სძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. 2021- 2027 წლებისთვის, Erasmus+-ის პროგრამამ ბიუჯეტის სახით ჯამში 26 მილიარდ ევროზე მეტი მიიღო, რითიც ხაზგასმით იქნა აღიარებული განათლებისა და გადამზადების მნიშვნელობა. ამ კონტექსტში, ჩვენი დიდი სურვილი იყო აღმოგვეჩინა უფრო მეტი და უკეთესი გზები იდეების ურთიერთგაცვლისა და სწავლის მობილობისთვის, ხოლო eTwinning-ი, როგორც Erasmus+-ის ნაწილი, იქცა ჩვენს ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ წარმატებად.

ვიმედოვნებ, წლევანდელ eTwinning-ის წიგნში აღწერილი ინოვაციური სასკოლო პრაქტიკა შთააგონებს მასწავლებლებსა და განათლების სფეროს წარმომადგენლებს, თავიანთ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოიყენონ ახალი საკლასო აქტივობები და პედაგოგიური მეთოდები. მოგიწოდებთ, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით კვლავაც განაგრძოთ ურთიერთობა სხვა მასწავლებლებთან, არ შეწყვიტოთ ერთმანეთისგან სწავლა და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი წლისთვის, eTwinning-ის წიგნიდან მკითხველები უკვე თქვენს საკლასო

ოთახში შექმნილ ახალ, ინოვაციურ
პროექტებს გაეცნობიან.

ერთად, ხარისხიან განათლებასა
და გადამზადებაზე დაყრდნობით,
შეგვიძლია ევროპა ინოვაციების
გლობალურ ცენტრად ვაქციოთ.

© ევროკავშირი, 2023 -TWINS DESIGN STUDIO / stock.adobe.com

© ეგნოსკოვმარი, 2023 - Pugun & Photo Studio / stock.adobe.com

1

მესავალი

ინოვაციის განსაზღვრა არ არის მარტივი, ვინაიდან კონტექსტისა და პერსპექტივის გათვალისწინებით, ის სხვადასხვა ადამიანისათვის შესაძლოა სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს. ზოგადად, **ინოვაცია წარმოადგენს დამოკიდებულებას,** რომელიც მოიცავს ღიაობას ახალი იდეების მიმართ, სხვადასხვა მიდგომებით ექსპერიმენტირებას და პოზიტიური ცვლილებების მისაღებად რისკის გაწევის სურვილს.

განათლების სფეროში, როგორც მასწავლებლისთვის, ასევე მოსწავლისათვის, ინოვაციას უამრავი სიკეთის მოტანა შეუძლია. ინოვაციას შეუძლია გააუმჯობესოს **განათლების ხარისხი, გაზარდოს მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაცია** და მოამზადოს ისინი მომავლის გამოწვევებისთვის. თუმცა, განათლებაში ინოვაციების დანერგვას თან ახლავს ხოლმე გამოწვევები. მასწავლებლებს და სკოლებს უწევთ სხვადასხვა დაბრკოლებების გადალახვა, რათა წარმატებით შეძლონ ინოვაციური პრაქტიკის საკუთარ კურიკულუმში ინტეგრირება.

ერთ-ერთი **მთავარი გამოწვევა** რესურსებისა და მხარდაჭერის ნაკლებობაა. მასწავლებლებს, ხშირად შეზღუდული აქვთ დაფინანსება, ტექნოლოგიებსა თუ პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე წვდომა. გარდა ამისა, სწავლების ტრადიციულმა მეთოდებმა და კურიკულუმის მოთხოვნებმა შესაძლოა შეაფერხოს ცვლილებები, რაც კიდევ უფრო ართულებს სწავლების პროცესში ინოვაციური მიდგომების ჩართვას. ამასთანავე, დაინტერესებული მხარეები, მათ შორის მშობლები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, შესაძლოა სრულად ვერ იაზრებდნენ ან მხარს არ უჭერდნენ ინოვაციურ პრაქტიკას, რაც დამატებით ართულებს ახალი იდეების დანერგვას.

ზემოთ დასახელებული გამოწვევების მიუხედავად, მაინც არსებობს შესაძლებლობები, რომელთა მეშვეობით მასწავლებლებსა და სკოლებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ინოვაციების დანერგვას განათლებაში, მათ შორის ერთ-ერთია eTwinning-ი. **წლების განმავლობაში, eTwinning-ი ინოვაციურ პრაქტიკად აღიქმებოდა** იმ მასწავლებელთა მხრიდან, რომლებიც ცდილობენ გააუმჯობესონ საკუთარი პედაგოგიური მეთოდები და მათი მოსწავლეები სამომავლო გამოწვევებისთვის მოამზადონ. eTwinning-ი სკოლებში ინოვაციების დანერგვას სოციალური, ფსიქოლოგიური და ემოციური კეთილდღეობის ხელშეწყობის გზითაც ახდენს.

გარდა ამისა, eTwinning-ი შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხორციელდება **თანამშრომლობითი სწავლება -** ინოვაციური განათლების უმთავრესი ელემენტი 2030 წლის ევროპული პროფესიული გადამზადების ჩარჩო დოკუმენტის (2030 European training framework) მიხედვით, რომელიც ციფრული ინსტრუმენტების დახმარებით მარტივად ხორციელდება და მასწავლებლებსა და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს **ინოვაციური პედაგოგიური მეთოდების** გამოყენებით ერთობლივად იმუშაონ ისეთ პროექტებზე, როგორიცაა პროექტზე დაფუძნებული სწავლება, შებრუნებული საკლასო ოთახი, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება. ეს მეთოდები აუმჯობესებს კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარებს, რაც **მოსწავლეებს 21-ე საუკუნეში წარმატებული ცხოვრებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს უვითარებს.**

იმის გათვალისწინებით, რომ ციფრული განათლების სამოქმედო გეგმაში (Digital Education Action Plan) (DEAP) ხაზგასმულია მასწავლებლებსა და მოსწავლეებში ციფრული კომპეტენციების გაძლიერების მნიშვნელობა, ერთობლივი პროექტების საშუალებით eTwinning-ი ცდილობს განუვითაროს მათ ციფრული კომპეტენციები, ძირითადი კონცენტრაციით სხვადასხვა ინოვაციურ თემაზე, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი (AI) და ვირტუალური რეალობა.

eTwinning-ი უმთავრესად მოსწავლეზე ორიენტირებულ და პერსონალიზებულ სწავლებაზე აქცენტირებით ასევე ხელს უწყობს „უწყვეტი განათლების საკვანძო კომპეტენციების“ განვითარებას. eTwinning-ის პროექტები მოსწავლეებს მოუწოდებს **აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესში, რითაც მათ უძლიერდებათ პროცესის მართვისა და ჩართულობის შეგრძნება.** მასწავლებელს ეძლევა პროექტების ცალკეული მოსწავლეების საჭიროებებზე მორგების შესაძლებლობა, ხოლო ბავშვები ცოდნას მათთვის კომფორტული ფორმითა და ტემპით იღებენ.

ინოვაციისადმი კიდევ ერთ მიდგომას წარმოადგენს **უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები,** რომლებიც კონცენტრირებულია ისეთ ინოვაციურ პედაგოგიურ პრაქტიკაზე, როგორიცაა ახალი ტექნოლოგიების, თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიებისა და პერსონალიზებული პედაგოგიური მიდგომების შესახებ ტრენინგები. eTwinning-ში გაწევრიანებული მასწავლებლები სარგებლობენ ზემოაღნიშნული შესაძლებლობებით, მაგალითად, ვებინარებში, ღია ონლაინ ჯგუფებსა და ონლაინ კურსებში მონაწილეობით, თუმცა, მასწავლებლებს, ძირითადად, საშუალება აქვთ გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება და იდეები სხვა კოლეგებს და ერთმანეთისგან მიიღონ ცოდნა.

დაბოლოს, **ინკლუზიური და ინოვაციური სწავლების ორგანიზების ნიმუში, eTwinning-ის სკოლები[1], ხელს უწყობს ინოვაციებს „ერთიანი სასკოლო მიდგომის“ დანერგვით,** რაც მოიცავს ინოვაციური კულტურის პოპულარიზაციას მთელ სასკოლო თემში. ამ მიდგომის თანახმად, ინოვაციების დანერგვის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და ფართო საზოგადოებაა ჩართული. „eTwinning-ის სკოლები“ ხელს უწყობს თანამშრომლობას და ლიდერობას, მოსწავლეებს მოუწოდებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკუთარ სასწავლო პროცესში, გახდნენ ცვლილების აგენტები და განივითარონ პროცესის ხელმძღვანელობისა და ჩართულობის შეგრძნება. განათლების სექტორში ინოვაციებისა და თანამშრომლობის კულტურის ჩამოყალიბების მიზნით, **„eTwinning-ის სკოლები“, როგორც ინოვაციური მოდელი, სხვა სკოლებს მსგავსი მიდგომების დანერგვას შთააგონებს.**

1.1. რას გთავაზობთ ეს წიგნი?

წიგნის მიზანია გაგაცნოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია **eTwinning-ის** გავლენის შესახებ განათლებასა და **ინოვაციებზე, ასევე შთააგონოს მასწავლებლები გახდნენ უფრო კრეატიულები eTwinning-თან ერთად.**

პირველ თავში გაეცნობით ინოვაციისა და განათლების კონცეფციას, ევროკავშირის პოლიტიკის დოკუმენტებს, ღონისძიებებსა და ინიციატივებს, დაგეგმილს განათლებისა და ინოვაციების მიმართულებით. მეორე თავში წარმოდგენილია eTwinning-ის 10 სიტუაციური ანალიზი იმ მასწავლებლების შესახებ, რომლებიც eTwinning-ის სკოლის ნიშნის მფლობელ სასწავლო დაწესებულებებში მუშაობენ. სიტუაციური ანალიზის მიზნებისთვის, მასწავლებლებმა შეავსეს კითხვარი, რომლის ძირითადი აქცენტი მათ მიერ განხორციელებულ პროექტებსა და სკოლაში ინოვაციების როლზე. გარდა ამისა, მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს ონლაინ გასაუბრებაში და საკუთარი საქმიანობის უფრო სიღრმისეული ანალიზის მიზნით დამატებით კითხვებს უპასუხეს. კანდიდატების შერჩევა მოხდა შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: გეოგრაფიული გადანაწილება, სწავლების საფეხური (სკოლამდელი განათლება და ზრუნვა, დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი საშუალო და საწყისი პროფესიული განათლება და

1 - „eTwinning-ის სკოლები“, ოფიციალურად აღიარებული როგორც eTwinning-ის მისაბაძი მოდელი ევროპაში, წარმოადგენს წამყვანი სკოლების კავშირს, რომელიც სამომავლო განვითარების შთაგონებისთვისაა შექმნილი.

გადამზადება (IVET)), დასაქმების ადგილი (სოფელი, ქალაქი).

თითოეული სიტუაციური ანალიზის შესახებ, გაეცნობით შემდეგ ინფორმაციას:

- როგორ აღიქმება და აისახება ინოვაცია მასწავლებელთა ყოველდღიურ პედაგოგიურ პრაქტიკაზე;
- სწავლა-სწავლების პროცესში რომელი თემები ასოცირდება საგანმანათლებლო ინოვაციებთან;
- რა კავშირშია ინოვაციები „eTwinning-ის სკოლებთან";
- რა სირთულეებს აწყდებიან ინოვაციების დანერგვისას მასწავლებლები, მოსწავლეები და სკოლები;
- როგორ ხდება გამოწვევების დაძლევა ან მათი შესაძლებლობებად გარდაქმნა;
- ინოვაციების ზეგავლენა განათლებაზე;
- როგორ შეუწყო eTwinning-ის პროექტებმა ხელი საგანმანათლებლო ინოვაციების დანერგვას.

შესწავლილი ქეისები მხოლოდ რამდენიმე მაგალითია იმისა, თუ როგორ უწყობს ხელს eTwinning-ი ინოვაციების დანერგვას განათლებაში. ვიმედოვნებთ, წიგნში აღწერილი მაგალითები გახდება საინტერესო რესურსი და შთაგონება მასწავლებლებისათვის.

მოდით, ერთად აღმოვაჩინოთ ახალი და შემოქმედებითი გზები მოსწავლეების ჩართულობისა და სწავლისადმი სიყვარულის გასაძლიერებლად.

© ევროკავშირი, 2023 -TWINS DESIGN STUDIO / stock.adobe.com

© ევროკავშირი, 2023 - Pugun & Photo Studio / stock.adobe.com

ინოვაცია და განათლება

2.1. 2.1. განათლების გადააზრება: ინოვაციების ძალა სამომავლო განათლების ფორმირებაში

დიმიტრიოს ვლაჩოპულოსი,
ასოცირებული პროფესორი
და ელექტრონული სწავლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ერასმუსის უნივერსიტეტის როტერდამის
მენეჯმენტის სკოლა

ინოვაცია, ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოების წინსვლის მთავარი მამოძრავებელი ძალა, უზარმაზარ პოტენციალს ფლობს და შეუძლია სწავლა-სწავლების მეთოდების გაუმჯობესება, ამავდროულად, იგი სასკოლო ერთეულების ფუნქციონირების პრინციპს წარმოადგენს. ბოლო რამდენიმე წელია, გაიზარდა დაინტერესება სასკოლო განათლებაში ინოვაციების როლთან დაკავშირებით, მასწავლებლები ინოვაციების გაკვეთილებში ჩასართვად ეძიებენ ახალ გზებს, რათა გაუმჯობესდეს მოსწავლეთა ჩართულობა და პედაგოგიური პრაქტიკის ეფექტურობა, ხოლო სკოლის მმართველები სასკოლო კულტურის, რესურსების გადანაწილების, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მიმართულებში დადებითი ცვლილებების მისაღებად ნერგავენ ინოვაციებს. ინოვაციებს რამდენიმე ფაქტორი უდევს საფუძვლად, ესენია: კულტურა, ღირებულებები, ისტორია, კონკრეტული საზოგადოების, ქვეყნისა თუ ორგანიზაციის ტექნიკური და ფინანსური რესურსები. ამ ფაქტორების ზეგავლენა **განაპირობებს ინოვაციის კონტექსტზე დამოკიდებულობას, ვინაიდან ის, რაც ერთ კონტექსტში ქმნის ინოვაციას, მეორეში შესაძლოა სულაც არ ჩაითვალოს ინოვაციად.** მაგალითისთვის, სწავლა-სწავლების პროცესში საგანმანათლებლო პროცესის მართვის სისტემების გამოყენება ზოგიერთ კონტექსტში, განსაკუთრებით კი იქ, სადაც ტექნოლოგიებზე წვდომა შეზღუდულია, შეიძლება ითვლებოდეს ინოვაციად. თუმცა, არსებობს ქვეყნები და/ან საგანმანათლებლო ორგანიზაციები, სადაც ამ სისტემების გამოყენება ნორმად ითვლება, ხოლო ინოვაციად კი საგანმანათლებლო პროცესის გასაუმჯობესებლად მოწინავე ტექნოლოგიების შემოქმედებითი გამოყენება მიიჩნევა.

უფრო კონკრეტულად, დღესდღეობით, ხელოვნური ინტელექტის სისტემები ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი გახდა და რადგან ისინი მუდამ ვითარდება და ფართოვდება, აუცილებელია უფრო ღრმად მოხდეს განათლების სფეროზე მათი ზეგავლენის შესწავლა. **ხელოვნური ინტელექტი საგანმანათლებლო ინოვაციასთან ასოცირდება, როგორც მასწავლებლისა და მოსწავლის მხარდაჭერის საშუალება,** რადგან მისი გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ჩართულობის მონაცემების გაანალიზება, რათა გავიგოთ თუ როგორ სწავლობენ მოსწავლეები და თუ რომელი პედაგოგიური სტრატეგიებია ყველაზე ეფექტური. შედეგად, ამ მონაცემებზე დაყრდნობით, მიიღება აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებელი გადაწყვეტილებები (პროგნოზირებადი ანალიტიკა). ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე სასწავლო სისტემას შეუძლია მოსწავლეს რეალურ დროში მიაწოდოს უკუკავშირი და პერსონალური კონსულტაცია, ხოლო ჩეთბოტი კი გახდეს მოსწავლის ვირტუალური სასწავლო ასისტენტი და მისი აკადემიური მხარდაჭერა უზრუნველყოს. ხელოვნური ინტელექტის დახმარებით, მასწავლებელს შეუძლია შექმნას პერსონალიზებული საგანმანათლებლო კონტენტი, მათ შორის გაკვეთილის გეგმა, ქვიზი ან ტესტი. რასაკვირველია,

აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენება, განსაკუთრებით კი როდესაც საქმე ეხება სწავლის ინდივიდუალიზაციას (შესაბამისი სასწავლო კონტენტი ან სასწავლო პროგრამა), კონფიდენციალურობას (მოსწავლის მონაცემების დაცვა) და სამართლიანობას (მიკერძოებული ან დისკრიმინაციული ალგორითმები). ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, როგორც მასწავლებელს, ასევე მოსწავლეს, ჰქონდეს საფუძვლიანი ცოდნა ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემების გამოყენების შესახებ, რათა შეძლოს აღნიშნული ტექნოლოგიის კონსტრუქციული, ანალიტიკური და ეთიკური ფორმით გამოყენება და მისგან მაქსიმალური სარგებლის მიღება.

ტექნოლოგიური განვითარების საგანმანათლებლო ინოვაციებში შემოქმედებითი გამოყენების კიდევ ორ მაგალითს წარმოადგენს **თამაშებზე დაფუძნებული სწავლება და ციფრული ამბების თხრობა,** რომლებმაც ბოლო წლებში დიდი მოწონება დაიმსახურეს. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, თამაშზე დაფუძნებული სწავლება გახდა უფრო მეტად ინტერაქტიული, იმერსიული და საინტერესო. მაგალითად, ვირტუალური რეალობისა და მეტავერსიის დახმარებით, თამაშების დეველოპერებმა შექმნეს 3D გარემო, რომელიც მოსწავლეს აწვდის სწავლის აუთენტურ გამოცდილებას. თამაშებზე დაფუძნებულ სასწავლო პლატფორმებზე წვდომა დღეს უკვე შესაძლებელია სმარტფონებიდან და პლანშეტებიდან, რაც უფრო მეტ მოქნილობასა და კომფორტს უზრუნველყოფს. ციფრული ამბების თხრობა შეიცავს მულტიმედიურ ელემენტებს, რაც ამარტივებს აბსტრაქტული იდეებისა და რთული ცნებების აღქმას, ეხმარება მოსწავლეს დაიმახსოვროს ინფორმაცია და ამავე დროს სასწავლო პროცესში იყოს მუდმივად ჩართული და მოტივირებული.

გარდა ამისა, ექსპერიმენტირების, მოქნილობის, თანამშრომლობისა და შედეგზე ორიენტირებული აზროვნების კულტურის დანერგვის გზით **ინოვაციას შეუძლია შეცვალოს სასკოლო კულტურა.** შედეგად, ვიღებთ რესურსების უფრო დინამიურ და ადაპტირებად გადანაწილებას, რადგან სკოლებს ინვესტირების პრიორიტეტების განსაზღვრა იმის მიხედვით შეუძლიათ, თუ რა მუშაობს ყველაზე კარგად მათი პერსონალისა და მოსწავლეებისათვის. ციფრული ტრანსფორმაცია სწრაფად ცვლის საგანმანათლებლო ლანდშაფტს და მასწავლებლებს უამრავი უპირატესობით, მათ შორის მეტი მოქნილობით, ნაკლები სამუშაო დატვირთვით, გაუმჯობესებული კომუნიკაციითა და თავდაჯერებულობით უზრუნველყოფს. ამ კუთხით, სკოლის ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ რეფლექსირება ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციების, მასწავლებლებისა და პერსონალის პროფესიული განვითარების, ასევე ტექნოლოგიების ეთიკური და პასუხისმგებლიანი გამოყენების პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ. სტრატეგიული და თანამშრომლობითი მიდგომების დანერგვით, სკოლის დირექტორებს შეუძლიათ ეფექტურად მართონ ციფრული ტრანსფორმაცია და დარწმუნდნენ რომ ტექნოლოგიები მოსწავლეთა სწავლისა და აკადემიური მოსწრების, პერსონალის პროფესიული პრაქტიკისა და კეთილდღეობის მხარდასაჭერად გამოიყენება.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიები უდავოდ ასოცირდება ინოვაციასთან, ინოვაცია მხოლოდ ტექნოლოგიებს არ გულისხმობს. ინოვაცია არის აზროვნების, სწავლების, სწავლისა და ფუნქციონირების ახალი და შემოქმედებითი გზების დანერგვის პროცესი; ინოვაცია ნიშნავს ადაპტირებას მოსწავლეთა ცვალებად მოთხოვნებთან და ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შემოქმედებითი გადაწყვეტილებების ძიებას. მაგალითად, შერეული სწავლება (blended learning) არ ნიშნავს უბრალოდ პირისპირ სწავლების შერწყმას ონლაინსწავლებასთან, არამედ, ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირების მიზნებისთვის მოითხოვს მიზანმიმართულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პედაგოგიურ მიდგომას. აქტიური

სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება და პერსონალიზირებული სწავლება სწორედ ის ფუნდამენტური პედაგოგიური მიდგომებია, რომლებიც შერეული სწავლების წარმატებას განაპირობებს. ტექნოლოგიები ინოვაციის საწინდარია, იმ შემთხვევაში, თუ მათი პედაგოგიურ თეორიებში ინტეგრირება გააზრებულად ხორციელდება, არის ყველასთვის ხელმისაწვდომია და გამოიყენება კვალიფიციური მასწავლებლებისა და კარგად გათვითცნობიერებული მოსწავლეების მიერ.

სასკოლო განათლებაში ინოვაციების აღნიშნული მანიფესტირების შედეგად, მოსწავლეებს უვითარდებათ შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, კომუნიკაციის, საინფორმაციო და ციფრული წიგნიერების, 21-ე საუკუნისთვის აუცილებელი სხვა მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული უნარები, ასევე იღებენ წვდომას სხვადასხვა რესურსებსა და პერსონალიზებულ სასწავლო გადაწყვეტილებებზე. **ინოვაცია მასწავლებელთა და მოსწავლეთა გუნება-განწყობასაც აუმჯობესებს,** ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე დადებითად მოქმედი რესურსებისა და ინსტრუმენტების მიწოდებით, როგორიცაა სამედიტაციო აპლიკაციები, ტუტორიალები და გზამკვლევები, ფიზიკური აქტივობისა და დავალებების თვალყურის დევნების ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება სტრესის მართვისა და ჯანმრთელობის (ფსიქიკური) პრიორიტეტების განსაზღვრისას.

ინოვაცია უკვე დიდი ხანია იქცა სასკოლო განათლების მამოძრავებელ ძალად. ტექნოლოგიებისა და კრეატიული პედაგოგიური მიდგომების ინტეგრირების გზით, **მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები მუდმივად ეძიებენ ახალ გზებს სწავლისა და სწავლების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.** ხელოვნური ინტელექტი, თამაშებზე დაფუძნებული სწავლება და ციფრული ამბების თხრობა მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ მაგალითებისა, თუ როგორ უნდა მოხდეს ტექნოლოგიების გამოყენება აკადემიური შედეგების გაუმჯობესების, ექსპერიმენტირების, თანამშრომლობისა და შედეგზე ორიენტირებული აზროვნების კულტურის ხელშესაწყობად. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ტექნოლოგიების გამოყენება მოხდეს ეთიკური და პასუხისმგებლიანი ფორმით, უფრო მეტი აქცენტირებით სწავლის ინდივიდუალიზაციაზე, თანასწორობასა და კონფიდენციალურობის დაცვაზე. ინოვაცია სასკოლო განათლებაში არა მხოლოდ ეხმარება მოსწავლეებს 21-ე საუკუნისთვის აუცილებელი ცხოვრებისეული უნარების ათვისებაში, არამედ, ასევე აძლიერებს მასწავლებლებში და მოსწავლეებში კეთილდღეობასა და საკუთარ თავზე ზრუნვის ასპექტს. **სტრატეგიული და თანამშრომლობითი მიდგომის მეშვეობით, სკოლის ხელმძღვანელებს შეუძლიათ ეფექტურად მართონ ციფრული ტრანსფორმაცია,** მოსწავლეთა სწავლებისა და აკადემიური მოსწრების, პერსონალის პროფესიული პრაქტიკისა და კეთილდღეობის მხარდასაჭერად.

2.2. ევროპული პოლიტიკა, ღონისძიებები და ინიციატივები განათლებისა და ინოვაციების მიმართულებით

დღესდღეობით, ინოვაციებითა და ტექნოლოგიური განვითარებით განპირობებული ციფრული ტრანსფორმაცია, ცვლის განათლებისა და პროფესიული გადამზადების სტრუქტურას, აუცილებელს ხდის

ციფრული კომპეტენციების ათვისებას ისეთ გარემოში, რომელიც სულ უფრო მეტად დამოკიდებულია ციფრულ ტექნოლოგიებზე. საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაფართოებამ, ციფრული მოწყობილობების გამოყენებამ და ციფრული უნარების მზარდმა საჭიროებამ, კატალიზატორის როლი შეასრულა განათლებისა და გადამზადების სისტემებში ციფრული ტრანსფორმაციის დასაწყებად. COVID-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა განათლებისა და გადამზადების სფეროში ტექნოლოგიების გამოყენების გაძლიერების საჭიროება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შესაბამისი უნარ-ჩვევების და კომპეტენციების, აღჭურვილობისა და ციფრული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, რათა მასწავლებლები უკეთ გაერკვნენ ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებში. განათლების ციფრულ ეპოქასთან ადაპტირების პროცესში, აუცილებელია განათლებისა და გადამზადების საფეხურებსა და სექტორებს შორის სათანადო იმპლემენტაციის უზრუნველყოფა. ეს სწორედ ის კონკრეტული წერტილია, სადაც ასპარეზზე შემოდის „ციფრული განათლების სამოქმედო გეგმა“ (DEAP), რომელიც ევროპულ დონეზე ყველას მოუწოდებს უფრო მეტი თანამშრომლობისკენ, რათა გადაიჭრას გამოწვევები და წარმოჩნდეს შესაძლებლობები, ასევე მოხდეს ევროკავშირსა და საერთაშორისო დონეზე განათლებისა და პროფესიული გადამზადების მიმწოდებელი საზოგადოების, მათ შორის მასწავლებლების და მოსწავლეების მხარდაჭერა.

2021-2027 წლების ციფრული განათლების სამოქმედო გეგმა

2021–2027 წლების „ციფრული განათლების სამოქმედო გეგმა“ (DEAP) ევროკომისიის ფლაგმანი ინიციატივაა, რომელიც 2020 წლის სექტემბერში დამტკიცდა. დოკუმენტი წარმოადგენს ხარისხიანი, ინკლუზიური და ხელმისაწვდომი ციფრული განათლების საფუძველს, რომელიც მტკიცე თანამშრომლობითა და ურთიერთგაცვლებით ევროკავშირის დონეზეა მხარდაჭერილი. ინიციატივას ორი გრძელვადიანი სტრატეგიული პრიორიტეტი აქვს: ხელი შეუწყოს ხარისხიანი ციფრული განათლების ეკოსისტემის განვითარებას და დაეხმაროს ადამიანებს ციფრული უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებაში. ამ ორი პრიორიტეტის ფარგლებში, დაგეგმილია მთელი რიგი ღონისძიებები. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმის საფუძველზე შეიქმნა სექტორთაშორისი პროფესიონალების კავშირი „ევროპული ციფრული განათლების ჰაბი“, რომელიც მხარს უჭერს თანამშრომლობასა და ინფორმაციის გაზიარებას. დღეისათვის, ხორციელდება 13 ღონისძიება, მათგან ნახევარზე მეტი უკვე დასრულდა კიდეც.

DEAP-ის მიზანია ევროკავშირის მასშტაბით ყველა საკვანძო მოთამაშეს შორის უზრუნველყოს უფრო ძლიერი და მჭიდრო თანამშრომლობა. ფორმალური განათლების გარდა, DEAP-ი ასევე მოიცავს უწყვეტი სწავლის პრინციპზე დაფუძნებულ არაფორმალურ განათლებასაც.

DEAP-ი ხელს უწყობს ევროკომისიის პრიორიტეტის „ციფრული ეპოქისთვის შესაფერისი ევროპა“ და NextGenerationEU-ის განხორციელებას. ის ასევე მხარს უჭერს „ევროკავშირის აღდგენისა და გამძლეობის ფონდს“ (Recovery and Resilience Facility), რომლის მიზანია შექმნას უფრო მწვანე, უფრო ციფრული და უფრო გამძლე ევროკავშირი. DEAP-ი არის 2025 წლის „ევროპული განათლების სივრცის“ (European Education Area) იდეის განხორციელების მთავარი ხელშემწყობი და ასევე საკუთარი წვლილი შეაქვს „ევროპული უნარების დღის წესრიგის“ (European Skills Agenda), „ევროპის მთავარი სოციალური სამოქმედო გეგმის“ (European Social Pillar Action Plan) და „2030 წლის ციფრული კომპასი: ევროპული გზა ციფრული ათწლეულისკენ“ (2030 Digital Compass: The European way for the Digital Decade) მიზნების განხორციელების საქმეში.

ქვემოთ უმთავრესად აღმზრდელებისა და მასწავლებებისათვის გამიზნული იმ ღონისძიებების მაგალითებია მოცემული, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული სხვადასხვა მიდგომების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა ციფრული განათლების სხვადასხვა აქტივობების შესრულებისას.

საგანმანათლებლო და სატრენინგო დაწესებულებების ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა

ზემოთ აღნიშნული DEAP-ი მოიცავს საგანმანათლებლო და სატრენინგო დაწესებულებების ციფრული ტრანსფორმაციის გეგმების მხარდაჭერას Erasmus+-ის მიერ დაფინანსებული ერთობლივი პროექტების მეშვეობით. ამაში მოიაზრება Erasmus+ მასწავლებელთა აკადემიების შექმნა ციფრული პედაგოგიკის გასაუმჯობესებლად და მასწავლებლების დასახმარებლად ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაში, რაც აკადემიების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. „Erasmus+-ის მასწავლებელთა აკადემიები“ აფუძნებენ ევროპულ კავშირებს და ხელს უწყობენ მასწავლებელთა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ტრენინგების მიმწოდებლებს შორის თანამშრომლობას. მათი მიზანია დაეხმარონ მასწავლებლებს კარიერის საწყის ეტაპზე და გააძლიერონ მათი პროფესიული განვითარება. „Erasmus+-ის მასწავლებელთა აკადემიები“ ახდენენ მულტილინგვიზმის, ენობრივი ცნობიერების, კულტურული მრავალფეროვნებისა და სიღრმისეული ტრანსნაციონალური თანამშრომლობის წახალისებას მასწავლებელთა გადამზადების დაწესებულებებში. აკადემიების მიზანია მასწავლებელთა მომზადების მიმართულებით შეიქმნას პროფესიონალური კავშირები, ევროკავშირის პრიორიტეტების შესახებ შესთავაზონ მასწავლებლებს კურსები, მოდულები და სხვა ისეთი სასწავლო შესაძლებლობები, როგორიცაა სწავლა ციფრულ სამყაროში, მდგრადობა, თანასწორობა და ინკლუზია, ასევე შეიმუშავონ და დატესტონ სხვადასხვა მობილობის მოდელი, მასწავლებელთა საწყისი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებებში.

გარდა ამისა, სამოქმედო გეგმა მოიცავს ონლაინრეჟიმში ხელმისაწვდომი თვითრეფლექსიის ინსტრუმენტის, SELFIEforTEACHERS -ის ამოქმედებას, რომელიც დაწყებითი და საშუალო სკოლის პედაგოგებს დაეხმარება საკუთარი ციფრული კომპეტენციების შეფასებასა და დამატებითი გადამზადების დაგეგმვაში. სისტემაში დარეგისტრირება შეუძლია ნებისმიერ, დაწყებითი ან საშუალო საფეხურის მასწავლებელს, ევროკავშირში თუ მის ფარგლებს გარეთ. თვითრეფლექსიის შეფასების გავლის შემდეგ, მონაწილე მიიღებს სერტიფიკატს და შეეძლება განაცხადი შეიტანოს ციფრული ემბლემის (ბეიჯის) მისაღებად.

2023 წლის იანვრისთვის, SELFIEforTEACHERS-ს, რომელიც 2021 წლის ოქტომბერში ამოქმედდა, უკვე 100 000-ზე მეტი რეგისტრირებული მომხმარებელი ჰყავდა.

ზოგადი გაიდლაინები მასწავლებლებისთვის და აღმზრდელებისთვის, ციფრული წიგნიერების გაძლიერებისა და განათლებისა და პროფესიული გადამზადების მეშვეობით დეზინფორმაციასთან ბრძოლის შესახებ

2021-2027 წლების DEAP-ში, ციფრული წიგნიერებისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს ცენტრალური ადგილი უკავია. 2022 წლის ოქტომბერში, განათლებისა და პროფესიული გადამზადების მეშვეობით დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ციფრული წიგნიერების ხელშეწყობის საკითხებზე მომუშავე ევროკომისიის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა „გაიდლაინები მასწავლებლებისთვის და აღმზრდელებისთვის, თუ როგორ უნდა გაძლიერდეს ციფრული წიგნიერება და მოხდეს დეზინფორმაციასთან ბრძოლა განათლებისა და პროფესიული გადამზადების მეშვეობით“. ამ დოკუმენტთან ერთად, ასევე

გამოქვეყნდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული საბოლოო ანგარიში.

დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებლებისა და აღმზრდელებისთვის განკუთვნილ გაიდლაინებში მოცემულია კონკრეტული, პრაქტიკული გზამკვლევი, რჩევების, აქტივობების გეგმების, თემების შესახებ ინფორმაციისა და საყურადღებო შენიშვნების სახით. ზემოთ აღნიშნულის მიზანია განათლებისა და პროფესიული გადამზადების გზით ციფრული წიგნიერების უკეთ გაცნობიერება, ციფრული ტექნოლოგიების პასუხისმგებლიანი და კრიტიკული გამოყენების ხელშეწყობა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და დეზინფორმაციის შესახებ ცოდნის გაუმჯობესება. გარდა ამისა, გაიდლაინები ამაღლებს ცნობიერებას და ცოდნას დეზინფორმაციის შესახებ და იძლევა ციფრული ტექნოლოგიების პასუხისმგებლიანი და უსაფრთხო გამოყენების საშუალებას.

გაეცანით საინფორმაციო ფურცელს და ინფოგრაფიკას მასწავლებლებისა და აღმზრდელებისთვის შემუშავებული გაიდლაინების შესახებ, თუ როგორ ვებრძოლოთ დეზინფორმაციას და განვავითაროთ ციფრული წიგნიერება განათლებისა და პროფესიული გადამზადების გზით. გაიდლაინები თარგმნილია ევროკავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე.

ეთიკური პრინციპები პედაგოგებისთვის სწავლა-სწავლების პროცესში ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემების გამოყენების შესახებ

ასევე 2022 წლის ოქტომბერში, ევროკომისიამ გამოაქვეყნა ეთიკური პრინციპები პედაგოგებისთვის სწავლა-სწავლების პროცესში ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემების გამოყენების შესახებ. ეს სახელმძღვანელო მითითებები, ასევე გაიდლაინები დეზინფორმაციის შესახებ, შემუშავებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ევროკომისიის მიერ დაფუძნებულ ჯგუფში შედიან ექსპერტები, რომელთა სპეციალიზაცია განათლებისა და პროფესიული გადამზადების სფეროში ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემების გამოყენების საკითხებია. აღნიშნული გაიდლაინები მასწავლებლებსა და საგანმანათლებლო პერსონალს, განსაკუთრებით დაწყებით და საშუალო სკოლებში, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით აწვდის პრაქტიკულ მხარდაჭერასა და რჩევებს.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში ასევე დაგეგმილია დამატებითი ღონისძიებები, მათ შორის ორი კონკურსი, რომლებიც 2021 წელს გამოცხადდა. კონკურსების მიზანია ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესახებ საკლასო გარემოში ცნობიერების ამაღლება: ერთი კონკურსი ეძღვნება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დროს კვლევით ეთიკას, ხოლო მეორე კი - განათლებისა და პროფესიული გადამზადების სფეროში გაფართოებულ რეალობას.

განმარტებითი ბარათი, რომელიც თან ერთვის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2022 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ საბოლოო ანგარიშს, წარმოადგენს გაიდლაინების დამხმარე დოკუმენტს, რომელიც ევროკავშირის ყველა ოფიციალურ ენაზეა თარგმნილი.

სტაჟირება ციფრულ შესაძლებლობებში

ევროკომისიამ 2018 წელს აამოქმედა საპილოტე პროექტი „სტაჟირება ციფრულ შესაძლებლობებში“ (DOTs), რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეებსა და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს შეუძლიათ პრაქტიკული გამოცდილების მიღება დასაქმების ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით. 2021 წელს სქემა გაფართოვდა და მოიცვა უმაღლესი განათლების პერსონალი, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები და კურსდამთავრებულები. 2022 წელს DOTs -ი აგრეთვე ხელმისაწვდომი გახდა პროფესიული განათლების, სასკოლო და ზრდასრულთა სწავლების პერსონალისთვის.

DOTs -ის მიზანია ციფრული ტექნოლოგიების კვალიფიკაციის მქონე მუშახელის საჭიროების მქონე ბიზნეს კომპანიების მოთხოვნები დაუახლოვოს მოსწავლეებისა და კურსდამთავრებულების მოთხოვნებს, რომლებსაც სურთ ტექნოლოგიების სფეროში პირველი გამოცდილების მიღება. ამ კუთხით, DOTs -ი გთავაზობთ სხვადასხვა მიმართულებას: სტაჟირება აპლიკაციების, პროგრამული უზრუნველყოფის, სკრიპტის ან ვებგვერდის განვითარების სფეროში; კომპიუტერული სისტემებისა და ქსელის ინსტალაცია, ტექნიკური მომსახურება და მართვა; ხოლო მონაცემთა ანალიტიკის სფეროში - კიბერუსაფრთხოება და მრავალი სხვა, ასევე შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც DOTs. პროექტი ძალაშია 2027 წლამდე.

ევროპული ციფრული განათლების ჰაბი

„ევროპული ციფრული განათლების ჰაბი“ მონაწილეობს DEAP-ის ორივე სტრატეგიული პრიორიტეტის განხორციელებაში. ის დაინტერესებულ მხარეთა შორის ციფრული განათლების სფეროში აძლიერებს თანამშრომლობასა და დიალოგს და ციფრული განათლების ეროვნული საკონსულტაციო სერვისების ქსელის შექმნით ეხმარება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, რათა ციფრული განათლების ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ მოხდეს გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

უფრო კონკრეტულად, ჰაბი თავს უყრის ციფრული განათლების მიმართულებით დაინტერესებულ მხარეებს და უზრუნველყოფს სივრცეს ინფორმაციის გაზიარებისა და თანამშრომლობისათვის. ჰაბი 2022 წლის ივნისში ამოქმედდა, ხოლო ამჟამად, მასში 2600-ზე მეტი მომხმარებელია გაწევრიანებული. სხვადასხვა ღონისძიებების შეთავაზებით, ჰაბი ერთმანეთთან აკავშირებს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე მიმდინარე ციფრული განათლების ინიციატივებსა და სტრატეგიებს, ეროვნულ ხელისუფლებებს, კერძო სექტორს, ექსპერტებს, განათლებისა და პროფესიული გადამზადების მიმწოდებლებს, ასევე სამოქალაქო საზოგადოებას.

ჰაბი მხარს უჭერს სექტორთაშორის თანამშრომლობას, ამიტომ ციფრული განათლების შესახებ ევროკავშირის ზოგადი სტანდარტებისა და ციფრული სასწავლო კონტენტის გაზიარების მიზნებისთვის, ქმნის ახალ მოდელებს ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა ურთიერთთავსებადობა, ხარისხის უზრუნველყოფა, გარემოს მდგრადობა, ხელმისაწვდომობა და ინკლუზია. ასრულებს რა ციფრული განათლების ანალიტიკური ცენტრის ფუნქციას და უზრუნველყოფს რა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას მომხმარებელზე ორიენტირებულ ინოვაციებში ციფრული განათლების ჰაკათონის მეშვეობით, ჰაბი ხელს უწყობს პოლიტიკისა და პრაქტიკის სწრაფ განვითარებას.

ჰაბი ასევე აორგანიზებს კვირეულებს სახელწოდებით „მასწავლებლები, როგორც მკვლევრები“, რომლის ფარგლებშიც პედაგოგებს შეუძლიათ ერთად იმუშაონ ისეთ გამოწვევებზე პასუხების მოსაფიქრებლად, რომლებსაც ისინი ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობაში აწყდებიან. კვირეული „მასწავლებლები, როგორც მკვლევრები“ ეხმარება თემს დაძლიონ ციფრული განათლების წინაშე არსებული გამოწვევები, ასევე, ერთობლივი კვლევის მეშვეობით, პრობლემების გადასაჭრელად მოიფიქრონ ახალი მიდგომები. კოლაბორაციული სემინარების დროს მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ პრაქტიკაში გამოსცადონ კოლაბორაციული ინტელექტი, წერა და რეცენზირება, რათა სიღრმისეულად შეისწავლონ ციფრული განათლების წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები. ზოგიერთი გამოწვევა უკავშირდება დისტანციური სწავლების დროს მოსწავლეთა ნამუშევრებზე ხელმისაწვდომობას, ასევე ციფრულ ინსტრუმენტებსა და სპეციალური საჭიროებების მქონე შემსწავლელებს, ასევე დამწყებთათვის ციფრული უნარების სწავლებას შორის სწორი სიმბიოზის მიღწევას.

© ევროკავშირი, 2023 -TWINS DESIGN STUDIO / stock.adobe.com

მთლიანობაში, DEAP-ი ევროკავშირის სტრატეგიული და შეთანხმებული პოლიტიკის ინიციატივაა, რომელიც ციფრულ ეპოქაში განათლებისა და პროფესიული გადამზადების მიმართულებით არსებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების მოსაგვარებლად თანამშრომლობისა და ერთობლივი მოქმედების საფუძველს წარმოადგენს. ღონისძიებების მრავალფეროვნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა მომავლისთვის მზადებისა და მომავლის ფორმირების პროცესში დადასტურდეს განათლებისა და გადამზადების სისტემების ეფექტურობა, აქტუალურობა და ლეგიტიმურობა. ციფრული განათლების მეშვეობით, ისევე როგორც განათლებისა და პროფესიული გადამზადების სისტემების ეფექტური, მდგრადი და თანასწორი ტრანსფორმირებით, DEAP-ი ხელს უწყობს შემოქმედებითი, თანამედროვე და ინკლუზიური განათლებისა და პროფესიული გადამზადების დანერგვას.

2.3. LifeComp-ის ჩარჩო: ევროპული კომპეტენციების ჩარჩო უკეთესი ცხოვრების უზრუნველსაყოფად ჩვენს ცვალებად სამყაროში

არიანა სალა, ერთობლივი კვლევითი ცენტრი (JRC), ევროკომისია

საგანმანათლებლო სისტემის ტრანსფორმაცია და ინოვაცია დიდი ხანია, რაც პრიორიტეტად იქცა. სულ უფრო მეტი აქცენტი კეთდება მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომიდან მოსწავლეზე ფოკუსირებულ მიდგომაზე გადასვლის აუცილებლობაზე, რათა წარმატებით მოხდეს საგანმანათლებლო სისტემებში ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა.

სკოლები და - უფრო ფართოდ კი - უნივერსალური საგანმანათლებლო და სატრენინგო სისტემები, როგორსაც მათ დღეს ვიცნობთ, ინდუსტრიული რევოლუციის პროდუქტია. განათლებისა და პროფესიული გადამზადების სისტემები მუშახელის მომზადების მიზნით ინდუსტრიული ეპოქის მოთხოვნების საპასუხოდ, ასევე სწრაფი ინდუსტრიული და ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად შეიქმნა. წარსულში, მოსწავლე ცოდნის პასიურ მიმღებად ითვლებოდა, ხოლო მასწავლებელი კი - ამ ცოდნის მიმწოდებლად, რომელიც ვალდებული იყო დაკისრებული ამოცანა ზედმიწევნით ზუსტად შეესრულებინა.

ინდუსტრიული რევოლუციის დროს, სკოლებს უწევდათ ისეთი მუშახელის მომზადება, რომლებიც შეძლებდნენ სამრეწველო მანქანა-დანადგარების სრული დატვირთვით მართვას. თუმცა, კაცობრიობის ისტორიის თანამედროვე ეტაპზე, სადაც პლანეტარული საზღვრები წაშლილია და ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ისეთი შემეცნებითი ამოცანები სრულდება, რომლებსაც, ოდესღაც, ექსკლუზიურად ადამიანის პრეპოგატივად მივიჩნევდით, აუცილებელია შეიცვალოს განათლებისა და პროფესიული გადამზადების როლი. უკიდურესად მნიშვნელოვანია შეიცვალოს განათლების დანიშნულება და მოხდეს სტატუს-კვოს სიღრმისეული ტრანსფორმაცია, რათა წარმატებით გადაიჭრას მწვანე და ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლასთან ასოცირებული გამოწვევები.

თუკი „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) 2018 წლის საერთაშორისო სწავლა-სწავლების შესახებ კვლევის შედეგებს გადავხედავთ, რომელშიც 48 ქვეყნის წარმომადგენელი მასწავლებლების მოსაზრებებია თავმოყრილი მათ სკოლებში არსებული სასწავლო გარემოს

შესახებ, აღმოვაჩენთ, რომ განათლების დანიშნულების შესახებ შეხედულებები, გარკვეულწილად, შეცვლილია. თუმცა, აშკარაა რომ საჭიროა უფრო მასშტაბური ცვლილებები. წევრი ქვეყნების დაწყებითი განათლების მასწავლებელთა მხოლოდ 38% აცხადებს, რომ ისინი ხშირად ან ყოველთვის სთხოვენ მოსწავლეებს მოიფიქრონ რთული ამოცანების გადაჭრისთვის საჭირო პროცედურა; 34% აღნიშნავს, რომ ისინი მოსწავლეებს ისეთ დავალებებს სთავაზობენ, რომელზედაც მკაფიო პასუხები არ არსებობს. ევროკავშირის დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა გამოკითხვა ნათლად აჩვენებს, რომ რესპოდენტთა 40%-ზე ნაკლები ხშირად ახორციელებს ისეთ სასწავლო პრაქტიკას, რომელიც საჭიროებს მოსწავლისაგან „კოგნიტურ აქტივობას“ (ანუ მეთოდი, რომელიც ასტიმულირებს მაღალი დონის კომპეტენციებს, როგორიცაა შემოქმედებითი აზროვნება, პრობლემების გადაჭრა და გადაწყვეტილების მიღება ისეთი საკითხების მოსაგვარებლად, რომლებსაც ჩვენ, როგორც კაცობრიობა, ყოველდღიურად ვაწყდებით).

კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც მოსწავლეებს უვითარებს დღევანდელ მსოფლიოში აქტიური მოქალაქეობისთვის საჭირო ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, ხელს უწყობს მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლებიდან და მეთოდებიდან, მოსწავლეზე კონცენტრირებულ მეთოდზე გადასვლას.

2018 წელს, ევროკავშირის საბჭომ მიიღო რეკომენდაცია „უწყვეტი განათლებისთვის საჭირო საკვანძო კომპეტენციების შესახებ“. დოკუმენტით განისაზღვრა რვა ძირითადი კომპეტენცია, რომელიც ყველა ადამიანს თვითრეალიზაციის, ჯანდაცვის, დასაქმების, სოციალური ჩართულობისა და აქტიური მოქალაქეობის მიზნების მისაღწევად ესაჭიროება. ეს კომპეტენციებია: წიგნიერება, მულტილინგვიზმი, მათემატიკური კომპეტენციები, მეცნიერების, ტექნოლოგიისა და საინჟინერო სფეროს კომპეტენციები, ციფრული კომპეტენციები, მოქალაქეობა, მეწარმეობა, კულტურული ცნობიერება და გამოხატვა, ასევე პიროვნული, სოციალური და სწავლის შესწავლის კომპეტენციები.

ევროკომისიის „მეცნიერებისა და ცოდნის განვითარების სამსახურმა“, JRC-მ (ერთობლივი კვლევითი ცენტრი), მეცნიერებთან, პოლიტიკოსებთან და პრაქტიკოსებთან თანამშრომლობით შეიმუშავა რამდენიმე თეორიული ჩარჩო, სადაც განისაზღვრა საერთო ენა და ზოგადი აღქმა ძირითადი კომპეტენციების შესახებ. აღნიშნულის მიზანია დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს ზემოთ ნახსენები რეკომენდაციის ადგილობრივ დონეზე განხორციელებაში. JRC-მ გამოაქვეყნა სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩო (EntreComp, 2016), ევროპული ციფრული კომპეტენციის ჩარჩო მოქალაქეებისთვის (DigComp 2.2, 2022), ევროპული მდგრადობის კომპეტენციების ჩარჩო (GreenComp, 2022) და პერსონალური, სოციალური და სწავლის შესწავლის ევროპული კომპეტენციების ჩარჩო (LifeComp, 2020).

2022 წელს, წევრმა სახელმწიფოებმა დაამტკიცეს ევროსაბჭოს რეკომენდაცია Pathways to School Success (გზა სასკოლო წარმატებისკენ), რომელიც აღიარებს კოგნიტური, სოციალური და ემოციური დაბალანსებული კომპეტენციების ათვისების მნიშვნელობას ბავშვებისა და მოზარდებისთვის, სკოლასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად. გამომდინარე აქედან, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ LifeComp ჩარჩო რეკომენდაციაზე, რომელშიც აღწერილია ცხრა სოციო-ემოციური და მეტაკოგნიტური კომპეტენცია, რომელთა დახმარებითაც მიიღწევა თვითრეალიზაცია და კეთილდღეობა, გაურკვევლობის დაძლევა, თანამშრომლობითი უნარების განვითარება და სწავლის უწყვეტ გამოცდილებად ტრანსფორმაცია. LifeComp-ის კომპეტენციები მოიცავს სამ მიმართულებას: პერსონალური, სოციალური და სწავლის შესწავლა.

© ევროკავშირი, 2023 -TWINS DESIGN STUDIO / stock.adobe.com



გამოსახულება 1. LifeComp ჩარჩო რეკომენდაცია

პერსონალური კომპეტენციები (თვითრეგულირება, მოქნილობა და კეთილდღეობა) გულისხმობს ყოველდღიური **ცხოვრების სწავლას,** რაც მოიცავს ჯანსაღი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ცხოვრების წესის ცოდნისა და განხორციელების უნარს, ასევე იმას, თუ როგორ გავუმკლავდეთ სირთულეებს, გაურკვევლობას და სტრესს. ეს კომპეტენციები ასევე მოიცავს მხარდაჭერის მოძიების, ან საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერის შეთავაზების, გამძლეობის შენარჩუნებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარების განვითარებასა და კარიერულ მართვას.

სოციალური კომპეტენციები (ემპათია, კომუნიკაცია და თანამშრომლობა) მოიცავს სხვა ადამიანებთან თანაცხოვრების უნარს. ეს კომპეტენციები კავშირშია ადამიანის სოციალურ ბუნებასთან: თანამშრომლობის უნარის ჩამოყალიბება, ადამიანების მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, ცრურწმენების დაძლევა, თანაგრძნობა და კომპრომისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისას.

ბოლო ჯგუფის კომპეტენციები (ზრდისკენ მიმართული აზროვნება, კრიტიკული აზროვნება და სასწავლო პროცესის მართვა) შეეხება **სწავლის შესწავლას.** ეს კომპეტენციები საჭიროა იმისთვის, რომ სწავლის ახალი მეთოდები ღიად და ცნობისმოყვარეობით მივიღოთ, ვირწმუნოთ სწავლისა და წინსვლის უწყვეტი შესაძლებლობები, კრიტიკულად გავაანალიზოთ ინფორმაციის უზარმაზარი რაოდენობა, რომელსაც ყოველდღიურად ვიღებთ, ასევე ვმართოთ საკუთარი უწყვეტი სწავლა და განათლება მთელი ცხოვრების მანძილზე. ჩვენს სწრაფად ცვალებად სამყაროში, მოსწავლეები, რომლებიც დღეს დაწყებით სკოლაში პირველად მიდიან, სავარაუდოდ ისეთ პოზიციებზე დასაქმდებიან, რომლებიც ჯერაც არ არსებობს, გამოიყენებენ ტექნოლოგიებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გამოგონილი, ან მოუწევთ არაპროგნოზირებად გლობალურ გამოწვევებთან გამკლავება. ამიტომ, აუცილებელია მოსწავლეებს ვასწავლოთ, თუ როგორ უნდა გახდნენ უწყვეტი ცოდნის მიმღებნი და დამოუკიდებლად წარმართონ საკუთარი სწავლის პროცესი.

გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ბოლოდროინდელმა ისეთმა მიღწევებმა, როგორიცაა მსხვილი ლინგვისტური მოდელები, მაგალითად ChatGPT, აუდიოვიზუალური გენერირების ხელსაწყოები და ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე სარეკომენდაციო სისტემები, გააძლიერა დისკუსია ინდივიდებისა და საზოგადოების მიერ მათი გამოყენების გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე. ერთის მხრივ, გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს აქვს პოტენციალი მოახდინოს ავტომატიზაცია და დაეხმაროს ადამიანებს უამრავი ამოცანის შესრულებაში, სრულყოს ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ასევე გაზარდოს პროდუქტიულობა და ეფექტურობა. მეორეს მხრივ, ტექნოლოგიებმა ასევე გააჩინა შეშფოთება სამუშაო ადგილების დაკარგვის, კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების, ინფორმაციის სიზუსტისა და მიკერძოებულობის შესახებ. ამ კონტექსტში, პიროვნული, სოციალური და სწავლის შესწავლის კომპეტენციები, მომავალში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, რადგან იგი დაეხმარება ადამიანებს მარტივად დაძლიონ ხელოვნური ინტელექტის სამყაროს მიერ წარმოქმნილი ცხოვრებისეული გამოწვევები.

მოდით, განვიხილოთ LifeComp-ის კომპეტენციების ორი მაგალითი, რომლებიც გენერაციული ხელოვნური ინტელექტის კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალურია. ესენია: კრიტიკული აზროვნება და თვითრეგულირება.

„პოსტ-ჭეშმარიტების“ ეპოქის ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომი ინფორმაცია, სადაც ობიექტური ფაქტები გაცილებით ნაკლებ ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, ვიდრე ემოციები და პირადი რწმენები, უკონტროლოდ აღწევს ჩვენამდე და პოტენციურ საფრთხეს უქმნის ჩვენს დემოკრატიებს. აქედან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებმა შეძლონ ფაქტის, პროპაგანდის, პირადი მოსაზრებისა და ჭორის ერთმანეთისგან გარჩევა, თამამად აღკვეთონ დეზინფორმაციის გავრცელება და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ისეთი ტენდენციების უკუქცევაში, რომლებიც ონლაინრეჟიმში ხელს უწყობენ სიმართლის ნაცვლად ყალბი ამბების უფრო შორს, უფრო სწრაფ და უფრო ფართო გავრცელებას. გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებით შესაძლებელია დეზინფორმაციისა და „დიპფეიქების“ ფართომასშტაბიანი გენერირება და შეთავაზება, ადამიანებს სულ უფრო მეტად უჭირთ ჭეშმარიტი და სანდო ინფორმაციის, არაზუსტი და არასანდო ინფორმაციისაგან გარჩევა. შესაბამისად, აუცილებელია კრიტიკული აზროვნების უნარების ფლობა, რათა ხელოვნური ინტელექტის სისტემების მიერ წარმოებული მასალა ეჭვქვეშ დავაყენოთ, მათ შორის ინფორმაციის შეფასებისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების გზით. ძლიერი კრიტიკული აზროვნების უნარების მქონე ადამიანები უკეთ არიან მომზადებულები და შეუძლიათ დეზინფორმაციის დამუშავება, კონკრეტულ ინფორმაციაში მიკერძოებულობისა და შეუსაბამობის იდენტიფიცირება, და გადაწყვეტილების მიღებამდე წყაროს სანდოობის გადამოწმება და სხვადასხვა პერსპექტივების გათვალისწინება.

მეორეს მხრივ, ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ვურთიერთობთ ადამიანებთან ან ვატარებთ თავისუფალ დროს. სარეკომენდაციო სისტემები, რომლებიც გამოიყენება საძიებო სისტემების, სოციალური ქსელებისა და ონლაინპლატფორმების მიერ, აგროვებენ ჩვენს მონაცემებს და აანალიზებენ ჩვენს ონლაინქცევებს, რათა ალგორითმების პროგნოზებზე დაყრდნობით, სადაც გაანალიზებულია თუ რისი ნახვა სურს მომხმარებელს, შემოგვთავაზონ პერსონალიზებული შედეგები. ეს ყველაფერი იწვევს მომხმარებლის ჩართულობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით შექმნილ პოტენციურად დაუსრულებელ საინფორმაციო ნაკადს. მაგალითად, კვლევებმა აჩვენა, რომ სოციალური მედიის პლატფორმებზე კონკრეტული სახის კონტენტის ჩვენებამ,

მაგალითად არარეალურად გამხდარი სხეულის ფოტომ, შეიძლება გამოიწვიოს სხეულის ფორმების შესახებ შფოთვა და წუხილი, განსაკუთრებით - გოგონებში. ადამიანები, რომლებიც ამ საკითხების ირგვლივ მუდმივად ცდილობენ ცოდნის გაღრმავებას, უკეთ ახერხებენ იმ ფაქტორების აღქმასა და ამოცნობას, რომლებიც მათში სხვადასხვა ემოციებს, აზრებსა და სხეულებრივ უკუკავშირს იწვევენ. შედეგად, ისინი წარმატებით ახდენენ თვითრეგულირებას და შესწევთ უნარი გააცნობიერონ, თუ როგორ მოქმედებს ემოციები, აზრები და ღირებულებები მათ ქცევაზე, ასევე როგორ მოახდინონ მათი მიზანმიმართულად მოდულაცია და რეგულირება. როგორც თვითშემეცნება, ასევე თვითმართვა თვითრეგულაციის კომპეტენციის ძირითადი ასპექტებია, რომელთა დახმარებითაც ადამიანებს შეუძლიათ თავი აარიდონ სოციალური მედიის გადაჭარბებულ ან მავნე გამოყენებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ LifeComp-ის კომპეტენციების სწავლა და სწავლება ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში, უწყვეტად, მთელი სიცოცხლის განმავლობაშია შესაძლებელი. უფრო მეტიც, კვლევამ აჩვენა, რომ როდესაც ამ ტიპის სოციო-ემოციური და მეტაკოგნიტური კომპეტენციები განათლების მეშვეობითაა ხელშეწყობილი, უმჯობესდება არა მხოლოდ მოსწავლეთა კეთილდღეობა და ფსიქიკური ჯანმრთელობა, არამედ მათი აკადემიური მოსწრება და დასაქმების შესაძლებლობებიც კი. LifeComp-ის ჩარჩოზე დაყრდნობით, JRC-მ მასწავლებლებისა და აღმზრდელების დასახმარებლად შეიმუშავა საცნობარო დოკუმენტი *LifeComp into Action - ცხოვრებისეული უნარების სწავლება საკლასო ოთახში და მის ფარგლებს გარეთ*, რათა მათ უკეთ შეძლონ მოსწავლეთა სოციო-ემოციური და მეტაკოგნიტური კომპეტენციების გაძლიერება. დოკუმენტში მოცემულია რჩევები იმის შესახებ, თუ როგორ შევქმნათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და დავნერგოთ LifeComp-ის კომპეტენციების განსავითარებელი პედაგოგიური მეთოდები.

LifeComp into Action გთავაზობთ შთამაგონებელ პრინციპებს, გაიდლაინებსა და რეკომენდაციებს, რათა მასწავლებლებმა შექმნან პიროვნული, სოციალური და სწავლის შესწავლის კომპეტენციების გაძლიერებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. აღმზრდელებს ასევე დახვდებათ დეტალური განმარტებები, იმის შესახებ თუ როგორ უნდა განხორციელდეს მოსწავლეზე ორიენტირებული და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების 16 სტრატეგია. თითოეული სტრატეგიის შესახებ მოცემულია იმ კონკრეტული კომპეტენციების ახსნა-განმარტება, რომელთა განვითარებაც აუცილებელია ყოველი სტრატეგიის ფარგლებში, ასევე რეკომენდებული ჯგუფის ზომა, სავარაუდო დრო, სასწავლო გარემო და ფართო სამიზნე ასაკობრივი ჯგუფი. აღნიშნული სტრატეგიების მიზანია მასწავლებლებისა და აღმზრდელების დახმარება, რათა მათ შეიმუშავონ ისეთი სასწავლო აქტივობები, რომლებიც წაახალისებს მოსწავლეებს ივარჯიშონ და განივითაროონ LifeComp-ის კომპეტენციები გეგმიურ კურიკულუმზე მუშაობისას.

დაბოლოს, ვინაიდან მსოფლიო ისეთი რთული გამოწვევების წინაშე დგას, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, გლობალიზაცია და ხელოვნური ინტელექტის გავრცელება, აუცილებელია, რომ განათლების სისტემებმა ახალი თაობები ამ პრობლემებთან საბრძოლველი ინსტრუმენტებით აღჭურვონ. კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობით, რომელიც მოსწავლეებს უვითარებს რეალური კონტექსტისთვის საჭირო ცოდნას,

უნარებსა და დამოკიდებულებებს, ჩვენ შევქმნით უფრო მდგრად, ადაპტირებად და მცოდნე საზოგადოებებს, რომლებიც თავდაჯერებულად გაუმკლავდებიან სამომავლო გამოწვევებსა და გამოიყენებენ შესაძლებლობებს.

© ევროკავშირი, 2023 - inspiring.team / stock.adobe.com

© ევროკავშირი, 2023 - Pugun & Photo Studio / stock.adobe.com

როდესაც ინოვაცია მასწავლებლების შთაგონებაა

eTwinning-ის სკოლების 10 მაგალითი

ქვემოთ წარმოგიდგენთ 10 შთამაგონებელ მასწავლებელს, რომლებიც eTwinning-ის სკოლებში მუშაობენ. მათთან გასაუბრების მიზანი იყო გაგვეგო, თუ როგორ აღიქვამენ ისინი ინოვაციას და როგორ ახდენენ მათ ინტეგრირებას თავიანთ ყოველდღიურ პედაგოგიურ პრაქტიკაში. ასევე შევეცადეთ გამოგვეკვლია, თუ რა გამოწვევებს აწყდებიან მასწავლებლები ინოვაციური პრაქტიკის სასწავლო პროცესში დანერგვისას და თუ როგორ უმკლავდებიან ან გარდაქმნიან ამ გამოწვევებს შესაძლებლობებად. ასევე, მკაფიოდ გაჩვენებთ, თუ როგორ ასრულებს ინოვაცია eTwinning-ის სკოლების მამოძრავებელი ღერძის ფუნქციას, eTwinning-ის სკოლის მისიასთან მიმართებაში.

3.1.ავლონარის საბავშვო ბაღი, ევია, საბერძნეთი

საბავშვო ბაღის მასწავლებელი მარგარიტა სამუთიანი, რომელიც საბერძნეთის კუნძულ ევიაზე ცხოვრობს, eTwinning-ში 2015 წელს გაწევრიანდა. იგი თავის კოლეგებთან ერთად დაუღალავად შრომობს, რათა თავისი 4-დან 6 წლამდე ასაკის 35 მოსწავლე საუკეთესო განათლებით უზრუნველყოს. მარგარიტას სკოლა მდებარეობს ერთ-ერთ სოფელში, სადაც უკვე წლებია მოსწავლეთა რაოდენობა თანდათანობით მცირდება. მიუხედავად გამოწვევებისა, სკოლა გულთბილად იღებს ემიგრანტებისა და ბოშათა შვილებს, ხოლო მასწავლებლები მზად არიან ჩართონ მოსწავლეები საგანმანათლებლო პროცესში და მინიმუმამდე შეამცირონ სკოლის ადრეული მიტოვების რიცხვი. მარგარიტა არის eTwinning-ის ელჩი, მისმა თავდადებამ და ინოვაციურმა მიდგომებმა კი მას ევროპული და ეროვნული პრიზები მოაპოვებინა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მოსწავლეებისათვის საუკეთესო განათლების უზრუნველყოფის მიმართ მის ერთგულებას.

ETWINNING-ის პროექტები: ინოვაციების წახალისება საკლასო ოთახში

მარგარიტასთვის საკლასო გარემოში ინოვაცია გულისხმობს ახალ ხედვას ცოდნის მიღების შემოქმედებითი მიდგომების შესახებ, რომლის უმთავრესი საფუძველი მოსწავლეებს შორის ინტერაქცია, ცოდნა რომელსაც ისინი იძენენ და მასწავლებლების გამოცდილებაა. სწავლების ინოვაციური მეთოდებისა და ინსტრუმენტების მეშვეობით, მასწავლებელსა და მოსწავლეებს, ასევე თანატოლებს შორის კომუნიკაცია ტრანსფორმაციას განიცდის. თანამშრომლობითი პროცესი ეხმარება როგორც მასწავლებელს, ასევე მოსწავლეებს ახალი იდეების დანერგვასა და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებლობის აღებაში.

მიუხედავად ამისა, მასწავლებელი მაინც გადამწყვეტ როლს ასრულებს იმის უზრუნველყოფაში, რომ საგანმანათლებლო ინოვაცია უკავშირდებოდეს სკოლის სასწავლო გეგმას, აერთიანებდეს ახალ პედაგოგიურ მეთოდებსა და შეფასების კრიტერიუმებს მთელი პროცესის განმავლობაში. ამ მიზნით, მარგარიტამ თავის კლასში დანერგა ბუნებაზე დაფუძნებული და პროექტზე დაფუძნებული სწავლება, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები უშუალო კონტაქტში შედიან ბუნებრივ გარემოსთან და მასალებთან. ეს მათ საშუალებას აძლევს დააკვირდნენ ფაქტებს, გააცნობიერონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, ჩაატარონ ექსპერიმენტები და აღმოაჩინონ კავშირი გარემოში არსებულ გამოცდილებასთან. მხატვრული აზროვნების[2], სააზროვნო რუტინებისა და ფრენეს[3] მეთოდის მეშვეობით, მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს საკუთარი მოსაზრება და ემოციები, უკეთ გაიცნოს საკუთარი თავი, აიმაღლოს თავდაჯერებულობა, ითანამშრომლოს და პატივი სცეს სხვადასხვა მოსაზრებას - რაც, როგორც მარგარიტამ აღნიშნა, აუმჯობესებს მოსწავლის კეთილდღეობას.

2 - მხატვრული აზროვნება: https://pz.harvard.edu/sites/default/files/ArtfulThinkingFinalReport-1.pdf.

3 - ფრენეს მეთოდი: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000014030.

მარგარიტას თქმით, ინოვაცია მის სკოლაში 2015 წელს დაინერგა, როდესაც მარგარიტამ კოლეგებს მოუწოდა eTwinning-ში დარეგისტრირებულიყვნენ. ამის შემდეგ, მასწავლებლებმა სწავლებისადმი მიდგომა შეცვალეს. მარგარიტა ამბობს, „eTwinning იყო კარი, რომელიც გაიღო და ჩვენს თვალწინ გადაიშალა ახალი სამყარო, რომელმაც მეტი შინაარსი შესძინა ჩვენს პროფესიას. ჩვენ შევძელით დაგვენახა, თუ როგორ მუშაობდნენ სხვა სკოლები იმავე თემებზე და ჰქონდათ შესაძლებლობა ეფიქრათ არასტანდარტულად“. eTwinning-ის ფარგლებში, მარგარიტამ და მისმა კოლეგებმა მონაწილეობა მიიღეს და წარმატებით განახორციელეს 25-ზე მეტი პროექტი. ამ პროექტებმა არა მხოლოდ ხელი შეუწყო ძლიერი პარტნიორობის ჩამოყალიბებას, არამედ სხვა Erasmus+-ის პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობაც უზრუნველყო.

ინოვაციების მიმართ მარგარიტას დაინტერესება ერთ-ერთ კონფერენციაზე გაუჩნდა, სადაც მას eTwinning-ის ელჩის ტიტული მიენიჭა. მისი ინიციატივით შეიქმნა ადგილობრივი სკოლების ქსელი, რათა მოსწავლეებში მომხდარიყო გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება. მართალია, თავდაპირველად eTwinning-ში მხოლოდ ორი სკოლა დარეგისტრირდა, თუმცა მოგვიანებით დამატებით 15 სკოლა შემოუერთდა ქსელს და მათ ერთად დაიწყეს eTwinning-ის პლატფორმის გამოყენება ერთ-ერთი ეროვნული პროექტის კოორდინირებისათვის, რომლის მიზანი ისეთი ღირებულებების პოპულარიზაცია იყო, როგორიცაა მრავალფეროვნება, მოხალისეობა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. წლების განმავლობაში, სკოლებმა შეძლეს თავიანთ ყოველდღიურ სასწავლო რუტინაში სხვადასხვა ეკოლოგიური ინიციატივის ინტეგრირება: შეიქმნა სკოლის ბაღები, მასალების ხელახალი გამოყენების კუთხეები, ასევე განხორციელდა ნარჩენების გადამუშავებისა და კომპოსტირების პროგრამები. ეს ყველაფერი შესაძლებელი მშობლებისა და ადგილობრივი თემის ჩართულობით

გახდა. შედეგად, „ხელმარჯვე ეკოგუნდებს“ მიენიჭათ „ეკო სკოლების გარემოსდაცვითი განათლების ფონდის“ მწვანე დროშა, ხოლო მათი რეგიონი ერთ-ერთ ყველაზე «მწვანე» საბავშვო ბაღების მქონე სივრცედ დასახელდა.

აღნიშნული ეროვნული პროექტი გავრცელდა ევროპის მასშტაბით და 2022 წელს ბერძენ და კვიპროსელ პარტნიორებთან ერთად მომზადდა პროექტი „პატარა მოქალაქეები“. პროექტის ერთ-ერთი აქტივობის ფარგლებში, მოსწავლეებმა შეარჩიეს ცნობილი მხატვრების ნამუშევრები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე ნათლად გამოსახავდა ბავშვთა უფლებებს. შემდეგ, მოსწავლეებმა ელექტრონულ რეჟიმში, კენჭისყრის საშუალებით აირჩიეს ნახატები, რომლებშიც ყველაზე კარგად იყო აღწერილი ბავშვის თითოეული უფლება. წყვილებში მუშაობით, სააზროვნო რუტინების გამოყენებით (მხატვრული აზროვნება) ბავშვებმა დაამუშავეს ნახატები, რა დროსაც მიიღეს ცოდნა ბავშვის უფლებების შესახებ, გაიძლიერეს კრიტიკული აზროვნება და განივითარეს განსხვავებული პერსპექტივის აღქმის უნარი.

eTwinning-ისა და Erasmus+-ის პროექტში „ხელმარჯვე ეკოგუნდები“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ესტონეთის, საბერძნეთის, საფრანგეთისა და პორტუგალიის სკოლები, მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ მდგრადი კვების სარგებლიანობას. ეს აქტივობა არა მხოლოდ დაეხმარა სკოლამდელი ასაკის ბავშვებს საკუთარი ეკოლოგიური კვალის გაცნობიერებაში,

არამედ ასევე ხელი შეუწყო ეფექრათ პრობლემის გადაჭრის გზებზე და აეთვისებინათ უფრო მდგრადი ქცევები. ბაღების გაშენებითა და მცენარეებზე ზრუნვით, მოსწავლეებმა აღმოაჩინეს ისეთი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ცოცხალი ორგანიზმების ზრდას, ასევე გარემოს წინაშე მდგარი საფრთხეების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად ჩაატარეს ისეთი ექსპერიმენტები, როგორიცაა: ნარჩენები, გვალვა და წყალდიდობა. აღნიშნული ღონისძიებების მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებით, შეიცვალა ბავშვების დამოკიდებულება და ისინი იქცნენ მდგრადი პრაქტიკის გამავრცელებლებად.

მარგარიტას თქმით, ინოვაციური პრაქტიკის დანერგვა დაეხმარა მცირეწლოვან მოსწავლეებს გაეგოთ, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ საერთო მიზნის მისაღწევად. მარგარიტამ მაგალითის სახით დაასახელა eTwinning-ის პროექტი „STEAM Preschool Academy“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა ამბების თხრობის მეთოდის გამოყენებით შექმნეს რობოტი, ასევე რუქა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან და ლეგოს კუბიკებისგან, კოდირებისა და პროგრამირების ტექნიკის გამოყენებით რუქაზე დაიტანეს ელემენტები და ბარიერები. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გამოსავლებისა და გადაწყვეტილებების მოსაფიქრებლად, ბავშვები ერთმანეთთან ახლებური გზით ურთიერთობდნენ და თანამშრომლობდნენ. ერთ-ერთ მაგალითად ასევე დასახელდა „Ecomates: Little Detectives“ პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტერაქტიული თამაში-ვიქტორინა, სახელწოდებით „Ecosystems“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ასევე პროექტის თილისმები (მასკოტები). ექსპერიმენტებისა და დისკუსიის მეშვეობით, თამაში დაეხმარა მოსწავლეებს გაეგოთ, თუ როგორ ახერხებს ეკოსისტემა წონასწორობის შენარჩუნებას. მომდევნო წელს, მოსწავლეებმა დააიდენტიფიცირეს სოციალური პრობლემები და მოხალისეობრივი დახმარება გაუწიეს მოწყვლად ჯგუფებს. როგორც მარგარიტამ აღნიშნა, მთლიანობაში, eTwinning-ის პარტნიორობა ყოველთვის გულისხმობს ინოვაციურ იდეებს.

თუმცაღა, ინოვაცია გამოწვევების გარეშე არ არსებობს. ახალი ტექნოლოგიური ინსტრუმენტების დანერგვისას, როგორიცაა რობოტული მოწყობილობები, მარგარიტა სირთულეების წინაშე აღმოჩნდა, რამაც ზოგიერთი მცირეწლოვანი მოსწავლის დემოტივაციაც კი გამოიწვია. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, მარგარიტამ შექმნა სხვადასხვა უნარების მქონე მოსწავლეთა ორი შერეული ჯგუფი, რის შედეგადაც აქტივობა წარმატებით შესრულდა. მეორე გამოწვევა იყო მშობლებისთვის ახალი აქტივობების ახსნა და მათი ჩართულობის როგორც სახლში, ასევე სკოლაში უზრუნველსაყოფად გზების ძიება. მარგარიტამ ეს პრობლემა მშობლებთან რეგულარული შეხვედრებითა და მათი ინფორმირებით გადაჭრა. მარგარიტას თქმით, „აუცილებელიამასწავლებლებსა და მშობლებს შორის დამყარდეს ჭეშმარიტი კომუნიკაცია, რათა კლასში გაწეული ძალისხმევა მოსწავლეთა პროგრესზე გარანტირებულად აისახოს.“

მარგარიტამ ხაზგასმით აღნიშნა, მრავალფეროვანი პედაგოგიური მიდგომების გამოყენების აუცილებლობა და რომ ინსტრუმენტები ხელს უნდა უწყობდეს სასწავლო პროცესს. მაგალითად, მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ინტერაქტიული დაფა სხვა სკოლების მოსწავლეებთან ერთად ნახატების შესაქმნელად, თანამშრომლობისთვის პრეზენტაციების მომზადებისას, ვიდეო რგოლების საყურებლად, გონებრივი შტურმის ჩასატარებლად ან სათამაშოდ. ბავშვებს შეუძლიათ წყვილებში მუშაობა კლასში არსებულ კომპიუტერებზე, საგანმანათლებლო პროგრამული უზრუნველყოფისა ან ციფრული უკუკავშირის მქონე თამაშების გამოყენებისას. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ სპეციალურად შემუშავებული კითხვარების მეშვეობით, მასწავლებლის ინსტრუქტაჟის გარეშე კენჭი უყარონ ან

შეაფასონ აქტივობები. გარდა ამისა, მოსწავლეები იყენებენ პლანშეტის აპლიკაციებს (როგორც სკოლის შენობაში, ასევე გარე სივრცეში) გარკვეულ მასალებზე დასაკვირვებლად (ზუმირების მეშვეობით), ფოტოების გადასაღებად ან მცენარეების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად. სურათების მოსაძიებლად ან მიკროსკოპის შედეგების სანახავად მოსწავლეები ხშირად იყენებენ ხმოვან ინსტრუქციებს. მარგარიტა აღნიშნავს, რომ ისტ-ი მნიშვნელოვანი და აუცილებელია, არა მხოლოდ კომუნიკაციისთვის (სკოლებს შორის ტელეკონფერენციების გასამართად), არამედ ასევე კოლაბორაციისთვის (ციფრული ინსტრუმენტები). 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში, მცირეწლოვანმა მოსწავლეებმა თანატოლებისთვის ან პარტნიორებისთვის სხვადასხვა ციფრული ინსტრუმენტების გასაცნობად დაიწყეს მოკლე ტუტორიალების მომზადება.

ETWINNING-ის სკოლები: ინოვაციური კულტურის გაძლიერება

„ჩვენს საბავშვო ბაღში, სამი აღმზრდელი და ერთი ინგლისური ენის მასწავლებელი მუშაობს. თავდაპირველად გუნდში იყო შეუთანხმებლობა, ვინაიდან ყველა წევრი არ იყო ღია და მზად ახალი იდეების მისაღებად. თუმცა, 2015 წელს, eTwinning-ის პროექტების დანერგვის შემდგომ, მასწავლებლებმა დაიწყეს თანამშრომლობა საერთო მიზნის უზრუნველსაყოფად: რომ ჩვენი მოსწავლეები ყოფილიყვნენ ბედნიერები, დაცულები და ყოველდღიურ რეჟიმში განვითარებინათ უნარები. ტრანსფორმაციის პროცესში გადამწყვეტი როლი სკოლის დირექტორმა შეასრულა. მან წაახალისა თანამშრომლობა და გამოყო უზარმაზარი სივრცე ყველა იდეის განსახორციელებლად", - აღნიშნა მარგარიტამ.

ბოლო წლებში, ორგანიზაციის მოთხოვნების პრიორიტეტულობის განსაზღვრისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა წევრის ჩართვის კუთხით, სკოლამ დიდ წარმატებას მიაღწია. eTwinning-ის სკოლის ტიტულის წყალობით, მათ გააცნობიერეს უწყვეტი პროფესიული გადამზადების მნიშვნელობა და სკოლის თანამშრომლების ნიჭის გამოყენება, რათა მონაწილეობითი პროცედურების მეშვეობით განეახლებინათ სკოლის რეგულაციები. „სკოლის მიერ მშობლებისა და მცირეწლოვანი მოსწავლეებისადმი გაკეთებულმა შეთავაზებამ, მონაწილეობა მიეღოთ სკოლის მართვის პროცესში, შედეგად გამოიწვია ისეთი მოვლენების შემცირება, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენდა სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, როგორიცაა გაკვეთილებზე დაგვიანება ან გაკვეთილების არასაპატიო მიზეზებით გაცდენა. ამგვარმა ინოვაციურმა დიალოგმა, ჩვენი სკოლა ოჯახების შეხვედრის ადგილად გადააქცია", - აღნიშნა მარგარიტამ. უფრო მეტიც, სკოლამ, ექსპერტების ჩართულობით, 2022-2023 წლებში სკოლასა და ოჯახებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით კიდევ ერთი ინოვაცია დანერგა. პირველ საინფორმაციო შეხვედრაზე, აქცენტი გაკეთდა მოსწავლეების მიერ ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენების საზღვრების დადგენაზე, ხოლო მომდევნო სასწავლო წლისთვის დამატებით დაიგეგმა შეხვედრა რეგიონში მომუშავე ფსიქოლოგთან და სოციალურ მუშაკთან.

eTwinning-ის პროექტებში მიღწეული პროგრესის, გამოწვევებისა და წარმატების განხილვის მიზნით საბავშვო ბაღის პერსონალი რეგულარულად მართავს შეხვედრებს. თუკი კლასში დაფიქსირდება რაიმე ინოვაციური

იდეა, სკოლის გუნდი აანალიზებს ამ იდეის სპეციფიკურ ელემენტებს SWOT-ის (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზის საშუალებით და მუშაობს მისი სკოლის დონეზე განხორციელების კუთხით, რათა გაუმჯობესდეს მოსწავლეთა სწავლება, აკადემიური მიღწევების ხარისხი და სკოლის ზოგადი ეფექტურობა. მაგალითად, იდეა კომპოსტირების შესახებ დაიბადა Erasmus+-ის პარტნიორობის განხორციელების დროს და გაგრძელდა ადგილობრივ დონეზე იმპროვიზირებული კომპოსტის შექმნის პრაქტიკის სახით, კარანტინის დროს. სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პოტენციალის გაცნობიერების შემდეგ, მასწავლებლებმა კომუნიკაცია დაამყარეს რეგიონის პროფესიულ სასწავლებლებთან. უფროსკლასელები ესტუმრნენ საბავშვო ბაღს და უმცროსკლასელებს გააცნეს კომპოსტის სწორად მომზადების წესი, ასევე მისცეს პრაქტიკული რჩევა-დარიგებები. სკოლაში შემდგომ განხორციელებულ ექსპერიმენტულ აქტივობაში, მოსწავლეებმა და მათმა ოჯახებმა კომპოსტი დამოუკიდებლად დაამზადეს. შედეგად, დღესდღეობით მთელი ორგანული ნარჩენი კომპოსტერში გროვდება.

როგორც მარგარიტამ აღნიშნა, ინოვაციური აქტივობების განხორციელებისას, ორგანიზაციები შესაძლოა მთელი რიგი გამოწვევების წინაშე აღმოჩდნენ. ერთ-ერთი სერიოზული დაბრკოლება ახალი იდეების განსახორციელებლად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ან რესურსების ნაკლებობაა. პროგრესის მონიტორინგის, ინოვაციების ხელშეწყობისა და დაინტერესებული მხარისთვის მიღებული შედეგების გაცნობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ტექნოლოგიური ინსტრუმენტები და აღჭურვილობა. ამასთან, საჭირო რესურსების მიღება საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია, რომელიც ხშირად მოითხოვს სკოლების მხრიდან სპონსორების ან დაფინანსების გარე წყაროებიდან მოძიებას.

eTwinning-ისა და სხვა Erasmus+-ის პროექტების განხორციელებამდე, საბავშვო ბაღს მხოლოდ ერთი კომპიუტერი ჰქონდა; ხოლო ზემოთ აღნიშნული პროექტების დახმარებით კი, შესაძლებელი გახდა მეტი ტექნიკის შეძენა, მაგალითად, როგორიცაა დიდი ინტერაქტიული დაფა, პლანშეტები და რობოტები. ეს ინსტრუმენტები ძალიან დაეხმარა საბავშვო ბაღს პროექტების განხორციელებაში. მაგალითად, რობოტის დახმარებით, მოსწავლეებმა ისწავლეს შემოქმედებითი აზროვნება და მოიფიქრეს ინოვაციური გადაწყვეტილებები როლური თამაშების მეშვეობით, მათ შორის რობოტის გამოყენება ნარჩენების გადამუშავებაში. გარდა ამისა, პლანშეტების და კომპიუტერების დახმარებით, შესაძლებელი გახდა პროექტის შედეგების შეგროვება და გაზიარება, მაგალითად, მიკროსკოპის დახმარებით ნიმუშის კვლევის პროცესის ვიდეო ან ფოტო გადაღება. ამ აღჭურვილობის გარეშე, რთული იქნებოდა მაღალხარისხიანი გამოსახულებების მეშვეობით პროექტის შედეგების გაზიარება.

მარგარიტამ ასევე აღნიშნა, რომ სკოლები შესაძლოა პერსონალის ცოდნასა და გამოცდილებასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. მაგალითად, სოფლად მცხოვრებ მასწავლებლებს შეიძლება ჰქონდეთ შეზღუდული წვდომა პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე, რაც მათთვის გაართულებს ახალი იდეების ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო უნარებისა და ცოდნის ათვისებას. მიუხედავად იმისა, რომ დისტანციურად ხელმისაწვდომმა ტრენინგებმა მიიღო ბოლო წლებში საკმაოდ გავრცელებული

სახე, ეს მაინც ვერ ცვლის პირისპირ ინტერაქციისა და პერსონალიზებულ ტრენინგებს.

ინოვაციების განხორციელება ტექნოლოგიებთან, რესურსებთან და პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მიმართ ყოვლისმომცველ მიდგომას საჭიროებს. დაინტერესებულ მხარეთა შორის ხარისხიანი თანამშრომლობა კი ორგანიზაციაში ინოვაციების ყოველდღიურ პრაქტიკად დანერგვის საწინდარია.

3.2. Materská škola Iľjušinova 1, ბრატისლავა, სლოვაკეთი

მიქაელა რუმანკოვა სლოვაკეთის დედაქალაქში მდებარე, ერთ-ერთი საბავშვო ბაღის სპეციალური მასწავლებელია. მიქაელა eTwinning-ში 2017 წელს გაწევრიანდა და ამჟამად eTwinning-ის ელჩის სტატუსს ფლობს. იგი მუშაობს აუტისტური სპექტრის აშლილობის (ASD) მქონე მოსწავლეებთან, ერთ-ერთ ჩვეულებრივ საბავშვო ბაღში.

ETWINNING-ის პროექტები: ინოვაციების წახალისება საკლასო ოთახში

მიქაელა დარწმუნებულია, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება და ციფრული ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი STEAM-ის აქტივობები, მთავარი სიახლეა მის გაკვეთილებზე. მიქაელამ აღმოაჩინა, რომ პრაქტიკული და სენსორული აქტივობები განსაკუთრებით ეფექტურია ASD-ის მქონე მოსწავლეებისათვის, რომლებზეც იმერსიული სასწავლო გამოცდილება დადებითად მოქმედებს. მიქაელასთვის, eTwinning-ში მონაწილეობა ასევე ინოვაციაა, რადგან eTwinning-ი მოსწავლეებს უმძაფრებს ჩართულობის შეგრძნებას და უმაღლებს მოტივაციას, მონაწილეობა მიიღონ საკლასო აქტივობებში. eTwinning-ის დახმარებით, ASD-ის მქონე მოსწავლეები თანატოლებთან ერთად თანაბრად არიან ჩართულები, ხოლო მასწავლებლები კი იძენენ ახალ მეგობრებს და უზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას კოლეგა პედაგოგებს. მიქაელამ ხაზგასმით აღნიშნა, „eTwinning-ში ჩემი ჩართულობით მივხვდი, თუ რამდენად ტრადიციული იყო ჩემი პედაგოგიკა მანამდე და როგორ მარტივად შემიძლია შევცვალო ჩემი პრაქტიკა და გავბედო ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც ნამდვილად განუვითარებს ჩემს მცირეწლოვან მოსწავლეებს საჭირო კომპეტენციებს.“

მიქაელა თავისსავე სკოლაში, სხვადასხვა eTwinning-ის პროექტთან დაკავშირებით თანამშრომლობს ერთ-ერთ მასწავლებელთან და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახორციელებს STEAM-ის უამრავ აქტივობას. eTwinning-ის ერთ-ერთი პროექტი, რომელშიც მიქაელამ მონაწილეობა მიიღო, იყო 2021-2022 წლებში განხორციელებული ერთობლივი პროექტი „STEAM-ი ბავშვებისთვის“, რომელშიც ჩართული იყო ხორვატია, საბერძნეთი, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და თურქეთი. STEAM-ის მიდგომების მეშვეობით, ბავშვებმა გადაჭრეს სხვადასხვა გარემოსდაცვითი პრობლემა, როგორიცაა დაბინძურება და გარემოს დაცვა. მათ ერთობლივად დააიდენტიფიცირეს პრობლემები, მოიფიქრეს

Materská škola Iľjušinova, Slovakia

გადაჭრის გზები და მდგომარეობის გამოსწორებისთვის საჭირო ცვლილებები. მიქაელამ ხაზგასმით აღნიშნა ბავშვების გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობა: „ბუნების საოცრებების გაცნობითა და გარემოს დაცვის მნიშვნელობის ხაზგასმით, ჩვენ ბავშვებს მცირე ასაკიდანვე ვუნერგავთ პასუხისმგებლობას ბუნების მიმართ.“

პროექტის განმავლობაში მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ შეესწავლათ, ექსპერიმენტები ჩაეტარებინათ, შეედარებინათ, გაეზომათ და შემოქმედებითად წარმოეჩინათ საკუთარი თავი, მათ შორის ცეკვის, სიმღერის, ხატვისა და რეწვის საშუალებით. ბავშვებმა ისწავლეს თუ როგორ ითანამშრომლონ ეფექტურად, გაუზიარონ ერთმანეთს იდეები და დაუკავშირონ საკუთარი პროექტის აქტივობები სხვა ღონისძიებებს, როგორიცაა „ევროპული კოდირების კვირეული“, „გაკვეთილი ღია სივრცეში“ და „ScientixSTEM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა) - აღმოჩენების კამპანია.“

ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, სახელწოდებით „შეიგრძენი ცისარტყელას ფერები“, მიქაელამ ითანამშრომლა პარტნიორებთან სომხეთიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან და სლოვაკეთიდან, რათა ბავშვებისთვის ესწავლებინა ფერები სენსორული აქტივობების მეშვეობით. ამ პროექტის ინოვაცია, მიქაელას თქმით, იყო სამი სკოლის, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო, ისე ჩვეულებრივი საბავშვო ბაღების, მოსწავლეების ერთმანეთთან თანამშრომლობა. ბავშვებმა ერთმანეთში გადაინაწილეს დავალებები, ერთობლივად იმუშავეს მიღებულ დავალებებზე და ერთად შექმნეს საბოლოო პროდუქტი. ფერების შესახებ სენსორულმა აქტივობებმა მოსწავლეებს საშუალება მისცა აღექვათ ფერები სხვადასხვა პერსპექტივიდან და მონაწილეობა მიეღოთ ფერებთან დაკავშირებულ მთელ რიგ მრავალფეროვან აქტივობებში, მაგალითად, სკოლის ეზოში ნარინჯისფერი ფოთლების

მოძიება სურათების შესაქმნელად, ნარინჯისფერი სლაიმის დამზადება, ყვითელი გზამკვლევი ფუტკარი-ბოტის პროგრამირება, მწვანე სენსორული ჩანთისა და ცისფერი სენსორული ბოთლის შექმნა, მარილით ხატვა ინდიგოს ფერის ზედაპირზე და მეწამული ფერის ლავანდის სურნელიანი ჩანთების დამზადება.

ექსპერიმენტული სწავლება მნიშვნელოვანი პოტენციალია, რადგან ბავშვები ახალ ცოდნას საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით იძენენ. „ბავშვებთან ერთად ჩართული ვიყავით სხვადასხვა სენსორულ აქტივობაში, რომლის ფარგლებშიც მათ განივითარეს უნარები და შეიძინეს ცოდნა სენსორული აღქმისა და სენსორული ინტეგრაციის საფუძველზე. STEAM-ის მიდგომა კი, რომელიც აკავშირებს მეცნიერებას ხელოვნებასთან და მულტიდისციპლინურ მიდგომასთან, საშუალებას აძლევს თითოეულ ბავშვს თავი წარმოაჩინოს იმ დისციპლინაში, რომელიც ყველაზე კარგად გამოსდის და ასევე შეიგრძნოს წარმატების გემო”, - აღნიშნა მიქაელამ.

მიქაელას სჯერა, რომ ტექნოლოგიები გადამწყვეტ როლს თამაშობს განათლებაში ინოვაციური პრაქტიკის დანერგვისას. გაკვეთილებზე ის იყენებს სხვადასხვა ტექნოლოგიურ ხელსაწყოს, როგორიცაა ინტერაქტიული დაფა, პედაგოგიური აპლიკაციების მქონე სმარტფონები და ფუტკარი-ბოტი (Bee-Bots). ეს ინსტრუმენტები

მის მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ ინტერაქტიულ დავალებებში, რომლებიც მოიცავს QR კოდებს და აუგმენტირებულ რეალობას, ზრდის სწავლის მიმართ მოსწავლეთა მოტივაციას და უვითარებს ისეთ კომპეტენციებს, როგორიცაა მათემატიკური აზროვნება, პრობლემების გადაჭრა, შემოქმედებითობა და გუნდური მუშაობა. მიქაელას აზრით, ეს კომპეტენციები მისი მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

ETWINNING-ის სკოლები: ინოვაციური კულტურის გაძლიერება

მიქაელა მუშაობს ერთ-ერთ eTwinning-ის სკოლაში, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ტექნოლოგიებს, უზრუნველყოფს კეთილმოწყობილ საკლასო ოთახებსა და აუცილებელ აღჭურვილობას მოსწავლეების მოტივირებისათვის. სკოლა აქტიურად უწყობს ხელს eTwinning-ის აქტივობებისა და პროექტების განხორციელებას, ახდენს მათ დემონსტრირებას შეხვედრებსა და გამოფენებზე, ასევე ღიაა ადგილობრივი საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით eTwinning-ის სკოლის ნიშნის მოპოვების შემდეგ. მშობლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საკლასო აქტივობებში, სიამოვნებით ერთვებიან პროექტებში, მაგალითად „PETS“-ი, რომლის ფარგლებშიც მათ თავიანთ შვილებთან ერთად ჩიტებისთვის სახლები ააგეს და „STEAM-ი ბავშვებისთვის“, სადაც დაამზადეს რეზინის სამაჯურის ძრავზე მომუშავე მანქანები და შეიტანეს ისინი „Scientix STEM-ის აღმოჩენების კამპანიაში“. გარდა ამისა, პროექტში „რითმი ყოველდღე“ („A Rhythm Every Day”) მოსწავლეებმა ჯართისგან დაამზადეს მუსიკალური ინსტრუმენტები და გამოიყენეს ისინი რიტმიკისა და სიმღერისათვის, ხოლო პროექტში „ჩემი უბანი, შენი უბანი, მსოფლიოს უბნები“ მოსწავლეებმა დახატეს მათი საყვარელი კერძები, რომლებიც შემდეგ მშობლებთან ერთად მოამზადეს. სკოლა მუდმივად ცდილობს მშობლებთან კომუნიკაციის გამყარებას, ასევე მათი შვილების მიერ შესრულებული პროექტების შესახებ მათ ინფორმირებას.

eTwinning-ის პროექტები, რომლებშიც მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს, ინსპირაციის წყაროდ იქცა როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეთათვის. ფაქტობრივად, პროექტებში გამოყენებული ზოგიერთი ინოვაციური აქტივობა დაინერგა მთელ სკოლაში, იმ ზეგავლენის სადემონსტრაციოდ, რაც ამ პროექტებმა მთელ სასკოლო თემზე იქონიეს.

მიქაელას თქმით, eTwinning-ის პროექტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარგებელი არის ის, რომ ისინი სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს შორის, მათ შორის აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ASD) მქონე მოსწავლეებში ხელს უწყობს თანამშრომლობას და ინკლუზიას. პროექტებში ASD-ის მქონე ბავშვების ჩართულობამ წაშალა ბარიერები და ხელი შეუწყო ASD მოსწავლეებსა და მათ თანატოლებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას. მართალია ASD მოსწავლეები სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის განკუთვნილ გაკვეთილებს ესწრებიან, თუმცა, მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა სრულყოფილი მონაწილეობა მიიღონ ყველა პროექტსა და ღონისძიებაში, რაც ხელს უწყობს ბავშვებში მიკუთვნებულობისა და ინკლუზიის შეგრძნების გაძლიერებას.

გარდა ამისა, მიქაელას სკოლაში მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ სხვადასხვა ინსტრუმენტებსა და პედაგოგიურ მეთოდებს. ამ ცოდნის მიღება, ხშირად ადგილზე გამართული ტრენინგების საშუალებით ხორციელდება, რომლებსაც ატარებენ უფრო მეტი გამოცდილების მქონე კოლეგები. ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით, მასწავლებლები ერთმანეთისგან იღებენ ცოდნას და საკუთარ კლასებში ახორციელებენ ახალ პედაგოგიურ აქტივობებს, რასაც ყველა მოსწავლისათვის უფრო მეტი სარგებელი მოაქვს.

დაბოლოს მიქაელამ აღნიშნა: „ინოვაციების დანერგვა მარტივია, თუკი მასწავლებელი მზად არის გარისკოს, ღიაა სიახლეებისადმი და უყვარს ის საქმე, რასაც გაკვეთილზე თავის მოსწავლეებთან ერთად აკეთებს. ინოვაციების კულტურის დასანერგად, ასევე აუცილებელია მხარდაჭერა სკოლის ხელმძღვანელობისგან.“

3.3. OS Petra Preradovića, ზადარი, ხორვატია

ანიტა შიმაჩი მათემატიკის მასწავლებელია ათწლიანი გამოცდილებით, ქალაქ ზადარის უძველეს სკოლაში, რომელიც ზღვის პირას, ერთ-ერთ უძველეს ნახევარკუნძულზე მდებარეობს. დაწყებითი სკოლა, რომელშიც დაახლოებით 600 მოსწავლე სწავლობს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, ჩართულია Erasmus+-ის სხვადასხვა პროექტში. ანიტა ფლობს მენტორი მასწავლებლის სტატუსს, რაც ნიშნავს იმას, რომ ის ხელმძღვანელობას უწევს მის ქალაქში მათემატიკის მასწავლებლებს და ამავე დროს არის Scientix-ის ელჩი. ანიტამ სკოლაში მუშაობა დიდი ბრიტანეთის ნავთობმრეწველობაში მოღვაწეობისა და საკუთარ თავში პედაგოგიკისადმი დიდი სიყვარულის აღმოჩენის შემდეგ გადაწყვიტა. ანიტას სკოლა თანამშრომლობს ზადარის უნივერსიტეტთან, მიღებული აქვს STEM-ის სკოლის ნიშანი, ასევე არის საგამოცდო ცენტრი ხორვატული ენის მომავალი მასწავლებლებისათვის.

ETWINNING-ის პროექტები: ინოვაციების წახალისება საკლასო ოთახში

„სასწავლო პროცესისადმი დღევანდელი ახალგაზრდების მოტივირება, მათი უნარების განვითარება და მომავლისთვის მომზადება არასდროს ყოფილა ასეთი რთული. მოსწავლეების ცოდნის გაფართოება, აღქმის გაღრმავება და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება, დღემდე მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს, თუმცა კიდევ ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი. სოციალური უნარების მნიშვნელობა, მოსწავლეებში ემპათიის დონის ამაღლება, სხვადასხვა არატექნიკური უნარების განვითარება, ეს ყველაფერი თანაბრად აუცილებელია” - ამბობს ანიტა.

მოსწავლეთა ყოველი მომდევნო თაობის სწავლებისას, ანიტა ცდილობს გამოიყენოს ინოვაციური სწავლების მეთოდები. როდესაც სთხოვეს განემარტა, თუ რა არის ინოვაცია, მან თქვა: „ინოვაცია არის ტერმინი, რომელიც მოიცავს უამრავ ასპექტს. ინოვაცია, მართლაც რომ, არის პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრისთვის კრეატიული და უნიკალური გზების ძიების უნარი. ინოვაცია ასევე ნიშნავს შეხედო პრობლემას კრიტიკული თვალით, გახელილი თვალებით, ღია გონებითა და გულით. ყველა ადამიანი უნიკალურია; აქედან გამომდინარე, ყველა გამოსავალი შესაძლოა იყოს უნიკალური. შესაბამისად, ჩვენი მიზანია დავარწმუნოთ თითოეული მოსწავლე, რომ მათ შეუძლიათ სწავლა და რომ მათი იდეები მართლაც ღირებულია.“

ანიტა თვლის, რომ პერსონალიზებული სწავლება და კვლევაზე დაფუძნებული მიდგომა მნიშვნელოვანი პედაგოგიური სტრატეგიებია, თუმცა იგი ძირითადად პროექტზე დაფუძნებულ მეთოდს იყენებს, რადგან ყველაზე ეფექტურ

მიდგომად ეს უკანასკნელი მიაჩნია. „მოსწავლეები ხდებიან ცვლილების აგენტები, რადგან ისინი მართავენ საკუთარ სასწავლო გამოცდილებას. კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციისა ან პრობლემის გაცნობის შემდეგ, მათი ამოცანაა გამოსავლის მოფიქრება. გამოსავალი უნდა ეფუძნებოდეს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციასა და ახალი ცოდნის გამოყენებას იმ ცოდნასთან ერთად, რომელიც მათ უკვე აქვთ. ცოდნისა და უნარების ერთობლივად გამოყენება უზრუნველყოფს მათ მუდმივ დაშენებას უკვე არსებულ საძირკველზე. ეს საძირკველი კი, უნდა იყოს მტკიცე და დაეხმაროს ბავშვს გააცნობიეროს სწავლის მნიშვნელობა. ჩემი, როგორც მასწავლებლის როლი, გულისხმობს მოსწავლეების მეგზურობას, მენტორობას და დახმარებას, თუ როგორ აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ მომავალზე.“

ანიტას გაკვეთილებზე წახალისებულია აქტიური სწავლება, ხოლო მის მიერ გამოყენებული თითოეული ინოვაცია, ეხმარება მოსწავლეებისთვის მაგალითის მიცემაში. როდესაც მოსწავლეები ხედავენ, რომ ის თვითონ სწავლობს, ქმნის და ეხმარება მოსწავლეებს, მათ ემატებათ გამბედაობა, თვითონაც გახდნენ ნოვატორები. „მაგალითად, ერთ-ერთი პროექტი განვახორციელეთ TikTok-ისა და Instagram-ის გამოყენებით, რა დროსაც მოსწავლეებს ვთხოვე ჩემთვის რაღაც-რაღაცები ესწავლებინათ, რამაც ბავშვებს საკუთარი სიძლიერე აგრძნობინა. ვფიქრობ, ურთიერთსწავლების პროცესში უდიდესი ადგილი ურთიერთპატივისცემას უკავია. ისინი ხედავენ რომ შესაძლებელია თქვენთან ურთიერთობა და რომ მასწავლებელიც უშვებს შეცდომებს. ამიტომ, ხშირად ვეუბნები ბავშვებს, რომ როცა რაღაცას გიხსნით, თუკი შეცდომას დავუშვებ, აუცილებლად უნდა შემაჩეროთ. შეცდომა არ არის ყველაზე საშინელი რამ, რაც კი შეიძლება დაგემართოს. რეალურად, ადამიანები ხომ შეცდომებზე ვსწავლობთ“ - განმარტავს ანიტა.

პროექტზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია პროექტი „eTwinners as Pros“, რომელიც ბერძენ, ესპანელ და ხორვატ პარტნიორებთან ერთად განხორციელდა. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მრავალ ინოვაციურ, პრაქტიკულ აქტივობაში: შეისწავლეს სხვადასხვა პროფესიები და შესაბამისი მასალები, ითანამშრომლეს საერთაშორისო პარტნიორებთან ონლაინ შეხვედრებზე, ერთად გამოიკვლიეს სხვადასხვა პროფესიები და ამ პროფესიებთან დაკავშირებული სირთულეები, მოიძიეს ინფორმაცია სტატიებიდან და მედია საშუალებებიდან, რომელთა პრეზენტაციაც შემდეგ, მოსწავლეების მიერ მოფიქრებული ტექნიკური (3D დიზაინი და ბეჭდვა), ციფრული (PowerPoint, პოსტერი) და მხატვრული (კოლაჟი, დრამატიზაცია) ნამუშევრების სახით მოახდინეს.

პროექტის თემებთან და აქტივობების ტიპებთან დაკავშირებით მოსწავლეებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, ამავე დროს ისინი თავად იყვნენ მასწავლებლები, მუშაობდნენ სასწავლო მასალებზე, რომლებსაც შემდეგ ტრანსნაციონალურ

ჯგუფებში იყენებდნენ. პროექტის თემა იყო მედიაწიგნიერება, განსაკუთრებული აქცენტირებით ციფრულ მოქალაქეობასა და დეზინფორმაციაზე. მედიაწიგნიერების სწავლების კულმინაცია აღმოჩნდა ის მომენტი, როდესაც ბავშვებმა ეროვნულ დონეზე მიღწეული კვლევის შედეგები საერთაშორისო საგანმანათლებლო სემინარის მონაწილეებს გააცნეს. მოსწავლეებმა შეარჩიეს თემები, შეისწავლეს ყალბი ამბებისა და დეზინფორმაციის პრობლემა და დამოუკიდებლად დაგეგმეს თანატოლების სწავლება. ამან მოსწავლეებს გაუძლიერა თვითშეფასების, სიამაყისა და პასუხისმგებლობის განცდა. მასწავლებლები ყოველთვის მზად იყვნენ მათთვის გაეწიათ მენტორობა, ეგრძნობინებინაათ მხარდაჭერა და ჩაეტარებინათ კონსულტაციები, თუმცა პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალას მაინც მოსწავლეები წარმოადგენდნენ.

2020 წლის პროექტში „STEM4Change“ აქცენტი გაკეთდა კლიმატის ცვლილების თემაზე. პროექტის ფარგლებში, ბერძენი, ხორვატი, პოლონელი და რუმინელი პარტნიორების სურვილი იყო მოსწავლეებისთვის მიეწოდებინათ ცოდნა კლიმატის ცვლილების შესახებ, ამავე დროს წაეხალისებინათ მოსწავლეები ეფიქრათ პრობლემების გადაჭრის გზებზე. რესურსები დაიყო სასწავლო მასალების ოთხ მოდულად, რითიც პროექტმა მოსწავლეებს შეუქმნა საჭირო სასწავლო კონტექსტი, რათა შეესწავლათ გარემოსდაცვითი საკითხები, შეხვედროდნენ ექსპერტებს ონლაინ რეჟიმში და ადგილობრივად, გაეზიარებინათ და განეხილათ რესურსები, ჩართულიყვნენ პრობლემის გადაჭრის დისკუსიებში და მოეხდინათ ცოდნის პრაქტიკული ასიმილირება. პროექტის დახმარებით, მოსწავლეები დაფიქრდნენ კლიმატის ცვლილებაზე და გააცნობიერეს მისი შედეგები, სიღრმისეულად შეისწავლეს გარემოსდაცვითი საკითხები, აითვისეს პრობლემების გადაჭრისთვის აუცილებელი უნარები ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და განივითარეს კვლევითი, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარები, მიღებული ცოდნის გაზიარების მიზნით.

ანიტამ აღნიშნა, რომ eTwinning-ის პროექტების დახმარებით საკლასო ოთახში ინოვაციური პრაქტიკის დანერგვის შემდგომ, 10 წლამდე ასაკის მოსწავლეები საკმაოდ თავდაჯერებულად ახერხებენ იდეების მობილიზებას. ამასთან, სხვადასხვა თემებს განსხვავებული სარგებელი მოაქვს მოსწავლეებისათვის. ყველა პროექტის აქტივობა, რომლებსაც ის ამჟამად ახორციელებს, უკავშირდება გონებამახვილობას და მოსწავლეებში აუმჯობესებს კონცენტრაციას, მოტივაციას, ჩართულობას, ემპათიას, კონფლიქტების მოგვარების უნარს და აკადემიურ მოსწრებას. ანიტას თქმით, კეთილდღეობის მისაღწევად, აუცილებელია „აქ და ახლა“ ყურადღების სრულად მობილიზების უნარი.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ცვლილებების განხორციელება ყოველთვის გამოწვევებთან ასოცირდება და ანიტას შემთხვევაშიც, ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს დისკალკულაციით, დისლექსიით, დისპრაქსიით, ყურადღების გაფანტულობით, დისგრაფიით, ვიზუალური დამუშავების სირთულეებისა და მათემატიკური ცნებების აღქმის სირთულეების მქონე მოსწავლეების დახმარება. მისი მიზანია მიაღწიოს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, რაც მათ დაეხმარება გააცნობიერონ და დაუკავშირონ სასწავლო პროგრამა კლასგარეშე ცხოვრებას. ყოველთვის მიმდინარეობს ბრძოლა იმისთვის, რომ ერთმანეთთან დავაკავშიროთ

კონცეფციები და სწავლისგან მიღებული სიხარული.

ციფრული ინსტრუმენტების დახმარებით, მოსწავლეებს შეუძლიათ იყვნენ უფრო კრეატიულები და განივითაროონ 21-ე საუკუნეში ცხოვრებისთვის საჭირო ყველა უნარი. აბსოლუტურად შესაძლებელია საკლასო ოთახი ვაქციოთ საინტერესო სივრცედ, რომელიც კავშირში იქნება საკლასო ოთახის ოთხი კედლის მიღმა არსებულ სამყაროსთან. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, ანიტას აზრით, არის: „რა დამატებითი სარგებლის მოტანა შეუძლია ციფრულ ინსტრუმენტებს სასწავლო გარემოსთვის?“ ამ კუთხით, ის ამბობს: „ჩვენ უნდა გავამახვილოთ ყურადღება არა ტექნოლოგიებზე, როგორც ინოვაციურ პრაქტიკაზე, არამედ იმ დამატებით სარგებელზე, რასაც ტექნოლოგიები სასწავლო პროცესისთვის უზრუნველყოფენ. ეფექტურია ის ციფრული ინსტრუმენტები, რომლებიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას შეხედოს გამოწვევებს სხვადასხვა პერსპექტივიდან და მოიფიქროს საკუთარი შემოქმედებითი გადაწყვეტილებები. განათლების სფეროში ტექნოლოგიებს შეუძლია სწავლა უფრო ხელმისაწვდომი და მოქნილი გახადოს. თუმცა, მოსწავლეების მოტივირება და სტიმულირება არ არის საკმარისი, მათ ყოველთვის სჭირდებათ ხელშესახები სარგებელი.“

ETWINNING-ის სკოლები: ინოვაციური კულტურის გაძლიერება

სტრატეგიები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მიაღწიონ აკადემიურ მიზნებს, ძალზედ მნიშვნელოვანია; თუმცა, ანიტას სკოლის ერთ-ერთი მიზანია თითოეული მოსწავლის წახალისება, რათა ისინი გახდნენ ადგილობრივი თემის პასუხისმგებლიანი წევრები. მან აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ ძნელია გავზომოთ თუ რამდენად ვაღწევთ დასახულ მიზანს, მე მჯერა, რომ ჩვენს სკოლაში მიმდინარე კლასგარეშე აქტივობების მზარდი რაოდენობა და eTwinning-ის პროექტები ამის ხელშემწყობი ფაქტორებია“. აღნიშნული აქტივობები მოიცავს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროექტებს, STEM-ის ღონისძიებებს, რომლებშიც მონაწილეები და მომხსენებლები მთელი ქვეყნის მასშტაბით არიან წარმოდგენილები, მოხალისეობრივი სამუშაოებს და თანამშრომლობას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან (მშობლები, ადგილობრივი უნივერსიტეტი, ორგანიზაციები და სხვა სკოლები), სამეცნიერო საღამოებს, ლიტერატურულ და მუსიკალურ ღონისძიებებს. სკოლა ასევე მრავალ ექსპერიმენტულ პროგრამაში და საპილოტე პროექტშია ჩართული, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ეს ყველა ფაქტორი ხელს უწყობს მდიდარი ექსპერიმენტული ცოდნის დაგროვებას, რაც საშუალებას აძლევს მთელ საზოგადოებას მიიღოს ცოდნა და გაუმჯობესდეს.

ანიტას სკოლაში ცვლილებები ნელ-ნელა დაიწყო. თავიდან, გაჩნდა იდეა, რომ ცვლილებები გარდაუვალია. სკოლის მასწავლებლებმა ისწავლეს სწრაფად ცვალებადი, სამომავლო გარდაუვალობის მიღება. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მასწავლებლები უნდა მომზადებულიყვნენ ამ გამოწვევებისთვის. როგორც ანიტამ აღნიშნა, „ცვლილება შეიძლება იყოს პოზიტიური გამოცდილება და სწორედ ეს იქცა ჩვენს მამოძრავებელ იდეად: ერთად მუშაობა, ერთმანეთის მხარდაჭერა და გუნდური ადაპტაცია“. სკოლის მენეჯმენტისა და პერსონალის პოზიტიური აზროვნების წყალობით, სკოლას გაუჩნდა მყარი საფუძველი, რომელიც გადაიქცა eTwinning-ის სკოლის ნიშნისთვის განაცხადის გაკეთების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მთავარ მამოძრავებელ ენერგიად. „ნიშანი იძლევა ერთგვარ იმპულსს, რომ გააგრძელო უკეთესობისკენ სვლა. eTwinning-ში ხუთი ან ექვსი მასწავლებელი რომ გვყავდეს ჩართული, მიზნად დავისახავდით ამ რიცხვის გაორმაგებას უფრო მეტი პროექტების კოორდინირებით და არ დავჯერდებოდით მხოლოდ პარტნიორის

როლს. eTwinning-ის სკოლის ნიშანი არის ის, რითაც ჩვენ ნამდვილად ვამაყობთ", - განმარტა მან.

eTwinning-ის პროექტების ფარგლებში, მათ მიერ განხორციელებული ბევრი აქტივობა, როგორიცაა მედიაწიგნიერების თანატოლებთან ერთად სწავლა, მთელი სკოლის მასშტაბით დაინერგა. ანიტამ აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხო ინტერნეტისა და მედიაწიგნიერების სწავლება ყოველთვის იყო ჩვენი სკოლის კურიკულუმის მნიშვნელოვანი ნაწილი, eTwinning-ის წყალობით იგი უფრო გაფართოვდა. მედიაწიგნიერების სემინარების, მოწვეული სპიკერების, თანასწავლებისა და ადგილობრივ თემთან თანამშრომლობის მიზანია მოსწავლეებისა და პერსონალის მუდმივი განათლება". მან ასევე დაამატა, "აქტივობები, რომლებიც ჩვენს მიერ eTwinning-ის პროექტების ფარგლებში განხორციელდა, დაეხმარა ჩვენს სკოლას ზრდასა და განვითარებაში. ჩვენი საკლასო ოთახების კარი გაიღო და გავიდა ჩვენი სკოლის მიღმა სამყაროში. სკოლაში მუდმივად ვითარდება საერთაშორისო თანამშრომლობის, „თიმბილდინგის" და სამოქალაქო განათლების პრაქტიკა. დღეს სრულიად ნორმალურია შეხვიდე მათემატიკის გაკვეთილზე და უცებ თავი ამოყო საერთაშორისო შეხვედრაზე."

მშობლების, ანუ მოსწავლეთა სასწავლო პარტნიორების, ჩართულობა ასევე წარმოადგენს სკოლის ღიაობის მნიშვნელოვან ნაწილს. „მშობლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მხარდაჭერის გარეშე, გაკვეთილებზე ინოვაციების დანერგვა ძალიან

გაგვიჭირდებოდა", - ამბობს ანიტა. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდან მიღებული მხარდაჭერა და ნდობა. „სკოლის მართვაში ჩართული ადამიანები ვალდებულნი არიან გამოყონ დრო, რესურსები და ენერგია, რათა დაეხმარონ მასწავლებლებს ახალი მიდგომების დანერგვაში. დადებითი რეზულტატის მისაღებად და სკოლაში თანამშრომლობის ხელშესაწყობად, აუცილებელია სკოლის ხელმძღვანელობისგან მხარდაჭერის მიღება. მათი მხარდაჭერითა და ნდობით, სასკოლო თემში ხელი ეწყობა ურთიერთობების განმტკიცებას. ეს კი, თავის მხრივ, აყალიბებს მყარ, კოლექტიურ პოტენციალს და პატივისცემით სავსე გარემოს. eTwinning-ის კოლაბორაციული პრაქტიკის დახმარებით, სკოლა და თემი ერთად იღებს ცოდნას, აღწევენ უკეთეს შედეგებს და აფართოვებენ კურიკულუმის აქტივობებს. eTwinning-ის პროექტების ფარგლებში გამოყენებული ინოვაციები ქმნის ექსპერიმენტული სწავლების გამოცდილებას, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლების პროცესზე", - ამბობს ანიტა.

3.4. Karlbergs Skola, სტოკჰოლმი, შვედეთი

სპეციალური მასწავლებელი, ნატაშა კოლარევიჩი, რამდენიმე წელი ქალაქ სტოკჰოლმის ცენტრში მდებარე KarlbergsSkola-ში დირექტორის თანაშემწედ მუშაობდა. სტოკჰოლმის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლაში ნატაშას მოღვაწეობის პერიოდში, დაწესებულებაში დაახლოებით 330–400 მოსწავლე ირიცხებოდა. ინტერვიუს დროს ნატაშამ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი სკოლა სხვა სკოლას მიუერთეს, მის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია მხოლოდ Karlbergs Skola-ს შეეხება. ნატაშა eTwinning-ში 13 წლის წინ გაწევრიანდა, როდესაც ის ერთ-ერთ სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად მუშაობდა. eTwinning-ის შესახებ პირველად 2010 წელს, საშუალო სკოლაში მუშაობისას შეიტყო. თავიდან,

საერთოდ არ იცოდა თუ რა სარგებლის მომტანი იქნებოდა „ეროვნული ხარისხის ნიშანი“, თუმცა მაინც დიდი სიამოვნებით ჩაერთო eTwinning-ის პროექტების განხორციელებაში. ერთ-ერთ ევროპულ ყოველწლიურ კონფერენციაზე დასწრების შემდეგ, ნატაშა უკეთ გაეცნო eTwinning-ს, განაცხადი შეიტანა ხარისხის ნიშნის კონკურსში და მოიპოვა კიდეც eTwinning-ის ელჩის ტიტული.

ETWINNING-ის პროექტები: ინოვაციების წახალისება საკლასო ოთახში

ნატაშას მიაჩნია, რომ იყო ინოვაციური ნიშნავს იფიქრო იმაზე, თუ რა ცოდნა უნდა მიიღონ შენმა მოსწავლეებმა, ასევე ეძიებდე ამ ცოდნის გამოყენების გზებს მხოლოდ ტრადიციული სწავლების მეთოდებზე, როგორიცაა წიგნები და სახელმძღვანელოები, დამოკიდებულების გარეშე. ინოვაცია გულისხმობს არასტანდარტულ აზროვნებას და მოსწავლეების ჩართულობისთვის ახალი გზების ძიებას. ნატაშა მულტიმოდალურ სწავლებას ინოვაციურ მეთოდად მიიჩნევს, რადგან ის მოსწავლეებს, განსაკუთრებით უცხო ენის შემსწავლელებს, ასევე იძულებით გადაადგილებული ან მიგრანტი ოჯახების ბავშვებს, აძლევს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი თავი და მოახდინონ სწავლის უნარების დემონსტრირება ისე, რომ მხოლოდ წერით უნარებს არ დასჯერდნენ. ნატაშას თქმით, ტრადიციული ტესტირების გამოყენებისას, ბავშვისგან, როგორც წესი, პასუხების წერილობით გამოსახვას მოველით, ხოლო მულტიმოდალური ინსტრუმენტების გამოყენება კი გვთავაზობს აღქმის დემონსტრირების სხვა საშუალებებს. მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ციფრული ხელსაწყოები მულტიმოდალური სასწავლო გარემოს შესაქმნელად, რაც ზრდის მათ მოტივაციას მიიღონ ცოდნა სხვადასხვა საგანში. მაშინაც კი, თუკი მოსწავლეები თავისუფლად არ ფლობენ სასაუბრო ენას, მათ შეუძლიათ მიიღონ ცოდნა და იყვნენ პროცესში ჩართულები მათი შეგრძნებების (ვიზუალური, სმენითი, კინესთეტიკური) დახმარებით.

როგორც მასწავლებელი და სკოლის ხელმძღვანელი, ნატაშა თვლის, რომ eTwinning-ი არის უსაფრთხო სივრცე, რომელიც სრულყოფილად აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს. შვედეთში, სადაც ელექტრონული უსაფრთხოება სკოლების უმთავრესი საზრუნავია, eTwinning-ი ითვლება დაცულ გარემოდ, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ სხვა ქვეყნების მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და სკოლებთან ითანამშრომლონ. ნატაშას თქმით, „მოსწავლეებს უძლიერდებათ ფილმის გადაღების მოტივაცია, როდესაც იციან, რომ ამ ფილმს მათი თანატოლები პორტუგალიაში ან ესპანეთში ნახავენ“. იგი ასევე აღნიშნავს, რომ მის მოსწავლეებში გაიზარდა აკადემიური წარმატებისა და აქტივობების შესრულების მაჩვენებელი.

მისი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული eTwinning-ის პროექტი იყო „საშობაო კავშირები ხელოვნების მეშვეობით“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პარტნიორები 11 სხვადასხვა ქვეყნიდან. პროექტის ფარგლებში, პარტნიორი ქვეყნების მხატვრების ნამუშევრებით შთაგონებულმა 6-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებმა, დამოუკიდებლად შექმნეს ხელოვნების ნიმუშები. თავდაპირველად, თითოეულმა

კლასმა პრეზენტაცია მოაწყო ერთი კონკრეტული მხატვრის შესახებ, შემდეგ ამ მხატვრების ნამუშევრებზე დაყრდნობით, კლასებმა დახატეს საშობაო ბარათები. მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ პროექტზე ემუშავათ მუსიკის გაკვეთილებზე და კლასგარეშე აქტივობების დროს. აღნიშნული პროექტი მოსწავლეებს დაეხმარა არა მხოლოდ ხატვის უნარების გაუმჯობესებაში, არამედ გააღვივა მათი ცნობისმოყვარეობა სხვა ენების მიმართ, გაუძლიერა მოტივაცია, განურჩევლად იმისა, სწავლობდნენ ისინი შვედურს, როგორც მეორე ენას, თუ ჰქონდათ სპეციალური საჭიროებები.

ნატაშას მოსწონს სხვადასხვა ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება თავის პროექტებში და ფიქრობს, რომ eTwinning-მა მათი ძალისხმევის მხარდასაჭერად მასწავლებლებს მეტი ინსტრუმენტი უნდა შესთავაზოს. მას სჯერა, რომ ახალი ციფრული მოწყობილობების ძიება, რომლებსაც შეუძლია პროექტების პედაგოგიური მიზნების მხარდაჭერა, წარმოადგენს ინოვაციურ პრაქტიკას. ზოგჯერ eTwinning-ის პროექტების მეშვეობით, ნატაშა თავის მოსწავლეებს აცნობს კონკრეტულ ციფრულ ინსტრუმენტებს, მაგალითად iMovie/Clips და QR კოდები. ის ამბობს: „პროექტის დაწყებამდე, ჩვენ ვირჩევთ ციფრულ ინსტრუმენტებს, რომლებიც შეესაბამება ჩვენს მიზნებს, შემდეგ კი ვაერთიანებთ ამ ინსტრუმენტებს ჩვენს გეგმაში. სკოლის პერსონალსაც აქვს შესაძლებლობა დატესტონ აღნიშნული ინსტრუმენტები სემინარებზე, რომლებიც ტარდება სასკოლო შეხვედრების დროს, რათა ყველა მათგანი მზად

იყოს ხელსაწყოების ეფექტური გამოყენებისათვის.“

პროექტში „თამაში ნავებით“, ნატაშამ და მისმა კოლეგებმა ითანამშრომლეს ფინელ და ისლანდიელ პარტნიორებთან. პროექტი იყო STEM-ის შეჯიბრება: მოსწავლეებს უნდა აეგოთ ნავი, რომელიც მოახერხებდა 300–350 მეტრ მანძილზე გაცურვას. მიუხედავად იმისა, რომ შვედი მოსწავლეები თავიანთ პარტნიორებზე ასაკით ბევრად პატარები იყვნენ, მათ დიდი სურვილი გამოთქვეს მდგრადი მასალების გამოყენებით შეექმნათ ნავი და გამოეცადათ ის ახლომდებარე ტბაში. მოსწავლეებმა დიდი დაკვირვებით მოაგროვეს საჭირო მასალები, ჩაატარეს ექსპერიმენტი გრავიტაციაზე, დატესტეს ნავი, რათა დარწმუნებულიყვნენ რომ არ ჩაიძირებოდა და შემდეგ მოაწყვეს რბოლა. ონლაინშეხვედრაზე, ნატაშას დახმარებით, მათ თანატოლებს გააცნეს ნავის აგებისთვის განხორციელებული თითოეული ეტაპი. ნატაშას სჯერა, რომ უფროსი ასაკის მოსწავლეებთან თანამშრომლობა მცირეწლოვნებისთვის მართლაც სასარგებლოა.

ნატაშამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ eTwinning-ის პროექტების დახმარებით, Karlbergs Skola-ის მოსწავლეებს საშუალება მიეცათ ეთანამშრომლათ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ თანატოლებთან, ასევე დაენახათ, რომ მიუხედავად მათ შორის არსებული კულტურული განსხვავებებისა, ბავშვებს საერთო და მსგავსი ინტერესები აქვთ. ნატაშამ ხაზგასმით აღნიშნა საერთაშორისო პროექტების მნიშვნელობა რასიზმის, მიკერძოებულობისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლაში. გარდა ამისა, პროექტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის მოსწავლეებში ისეთი საკვანძო უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში, როგორიცაა შემოქმედებითობა, უცხო ენების ცოდნა, ციფრული წიგნიერება და თანამშრომლობა.

ETWINNING-ის სკოლები: ინოვაციური კულტურის გაძლიერება

ნატაშამ გაგვიზიარა თავისი გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო მისმა სკოლამ eTwinning-ის პროექტების განხორციელება. სხვა ბევრი სკოლისგან განსხვავებით, სადაც ერთი მასწავლებელი იწყებს eTwinning-ში მონაწილეობას და შემდეგ თანდათან აწევრიანებს კოლეგებს, ნატაშას სკოლამ ზემოდან ქვემოთ მიდგომა აირჩია. თავდაპირველად, სკოლის დირექტორმა დიდი სურვილი გამოთქვა მოეხდინა სკოლის დამატებითი ინტერნაციონალიზაცია. დაახლოებით შვიდი წლის წინ, მან ნატაშას უთხრა: „მსურს ცვლილებების დანერგვა, მსურს ჩვენი სკოლა განვათავსო მსოფლიო რუკაზე, რათა ის არ დარჩეს მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში არსებულ პატარა წერტილად.“ ამის შემდეგ, eTwinning-ის პლატფორმის ინსტრუმენტების უკეთ გასაცნობად მან პერსონალისთვის დააორგანიზა კონფერენცია/ტრენინგები. მასწავლებლებს მიეცათ შესაძლებლობა საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით მიეღოთ ცოდნა და ერთი პროექტი დამოუკიდებლად განეხორციელებინათ, უფრო გამოცდილი კოლეგებისა და ნატაშას, როგორც eTwinning-ის ელჩის, რჩევებისა და მხარდაჭერის მიხედვით.

ნატაშა ამბობს: „აუცილებლად უთხარით გამოუცდელ მასწავლებლებს, რომ დაიწყონ მარტივი ნაბიჯებით. ეს ჯადოსნური სიტყვაა, რომელიც დაეხმარება მათ დაიწყონ სიახლეებისკენ სვლა“. ბევრი მასწავლებელი ყოყმანობს, გამოიყენოს თუ არა ახალი ციფრული ინსტრუმენტები ან პრაქტიკა. იმის ფონზე რომ მოსწავლეები სულ უფრო გათვითცნობიერებულები არიან ციფრულ ინსტრუმენტებში, მათ ასევე შეიძლება აწუხებდეთ მასწავლებლის ავტორიტეტის დაკარგვის შიში. ნატაშამ ხაზგასმით აღნიშნა: „ძნელია გახვიდე კომფორტის ზონიდან, შეცვალო ის, რასაც 20 წელია აკეთებ და გაიაზრო ამ ცვლილების უპირატესობა. ცვლილებებს სჭირდება დრო.“

ნატაშას სკოლაში, მუდმივად ხორციელდება მშობლების ინფორმირება თავიანთი შვილების საკლასო აქტივობების შესახებ, თუმცა ისინი უშუალოდ არ ერთვებიან eTwinning-ის პროექტებში. ნატაშას თქმით, შვედეთის სკოლების მთავარი მიზანია არ მოხდეს მოსწავლეების შედარება, რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვებში სირცხვილისა თუ არაადეკვატურობის განცდა, რომელიც შესაძლებელია მათ დაეუფლოთ, როდესაც ხედავენ, რომ სხვა ბავშვებს უფრო მეტი რესურსი ან უპირატესობა აქვთ. ნატაშას მტკიცედ სწამს, რომ აუცილებელია მშობლებმა იცოდნენ თუ რა სახის აქტივობებში არიან მათი შვილები ჩართულები და მათ სწავლის პროცესში შეძლებისდაგვარად დაეხმარონ. მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის გამჭვირვალობისა და კომუნიკაციის ხელშეწყობით, სკოლა ქმნის პოზიტიურ და მხარდამჭერ სასწავლო გარემოს ყველა მოსწავლისათვის.

ნატაშას სკოლის უამრავი მოსწავლე მონაწილეობას იღებს დამატებით სკოლისგარე აქტივობებში, რომლებსაც სკოლის არაპედაგოგი თანამშრომლები ატარებენ. პერსონალი ჩართულია ასევე eTwinning-ის პროექტებში, რაც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაკვეთილების შემდეგ გააგრძელონ თავიანთ პროექტებთან დაკავშირებული

დავალებების შესრულება. ნატაშას თქმით, ეს პროცესი ქმნის უწყვეტ კავშირს გაკვეთილებსა და სკოლის შემდგომ აქტივობებს შორის. სკოლის არაპედაგოგი თანამშრომლების პროექტის აქტივობებში ჩართულობის წახალისების მიზნით, სკოლა მათ საშუალებას აძლევს გაიარონ გადამზადება ერაზმუს+-ის მობილობის კურსებზე.

ნატაშა განმარტავს, რომ eTwinning-ის პროექტებში ჩართული ყველა მასწავლებელი გახდა უფრო მეტად ექსტროვერტი და გონებაგახსნილი, მხოლოდ ტრადიციულ მეთოდებზე დაყრდნობის ნაცვლად, მარტივად ახდენენ სწავლების ახალი მეთოდებით ექსპერიმენტირება. თავდაპირველად, ზოგიერთი მასწავლებელი ყოყმანობდა, გადაეხვია თუ არა სასწავლო გეგმიდან, იმის შიშით, რომ ეს უარყოფითად აისახებოდა მოსწავლეების განათლებაზე. თუმცა, როდესაც მათ დაიწყეს პროექტის აქტივობების გაკვეთილებში ინტეგრირება, მასწავლებლებმა სწრაფად გააცნობიერეს ამ ორი ფაქტორის კომბინირების უპირატესობა. ასეთმა მიდგომამ სასწავლო პროცესი არა მხოლოდ უფრო საინტერესო და სახალისო გახადა მოსწავლეებისათვის, არამედ პრაქტიკულ და ხელშესახებ დონეზე განუმტკიცა მათ საკვანძო ცნებები და უნარები. შედეგად, მასწავლებლები გახდნენ უფრო მეტად თავდაჯერებულები საკუთარი შესაძლებლობების მიმართ და ქმნიან უფრო შინაარსიანი და ეფექტური გაკვეთილის გეგმებს, რომლებშიც როგორც სასწავლო პროგრამა, ასევე პროექტებისთვის საჭირო პრაქტიკული მხარეა გაერთიანებული. ამასთან დაკავშირებით, ნატაშამ თქვა, „საერთაშორისო პროექტები გახდა ჩვენი სკოლის განვითარების გეგმის აუცილებელი ნაწილი, ყოველწლიურად განისაზღვრება სხვადასხვა ინდიკატორი, მაგალითად, შესრულებული პროექტების რაოდენობა და მიღებული ეროვნული ხარისხის ნიშნის რაოდენობა. ჩვენი მოსწავლეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი სკოლის ინტერნაციონალიზაციაში, მოქმედებენ ელჩების რანგში და რთავენ თავიანთ მასწავლებლებს eTwinning-ისა და Erasmus+-ის პროექტებში.“ მან ასევე აღნიშნა, „აუცილებელია იმის გააზრება, რომ სკოლა მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და ერგებოდეს საზოგადოებას. დღეს, ისე როგორც არასდროს, ყველაზე მნიშვნელოვანია ცხოვრებისეული უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, ხოლო მხარდამჭერი სკოლის ლიდერის ყოლა ყველაზე დიდი აქტივია, რაც კი შეიძლება სკოლამ ინატროს.“

3.5. Colegiul Național Petru Rareș, ბეკლიანი, რუმინეთი

რუმინული ენის მასწავლებელი, ემეს ჩიმპენი, ბოლო 9 წელია სკოლის დირექტორის მოადგილედ მუშაობს. მისი სკოლა, რომელიც 2018 წლიდან eTwinning-ის სკოლის ნიშანს ფლობს და სადაც 919 მოსწავლე სწავლობს, რუმინეთის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში მდებარეობს. სკოლა განთავსებულია ერთ-ერთ პატარა ქალაქში, ხოლო მოსწავლეთა უმეტესობა ახლომდებარე სოფლების მოსახლეთა შვილები არიან. ზოგიერთი ბავშვი სკოლაში ყოველდღე ავტობუსით დადის, ზოგი კი - ადგილობრივ სკოლა-ინტერნატში ცხოვრობს. უკვე რამდენიმე წელია, ემესს eTwinning-ის ელჩის სტატუსი აქვს და ჩართულია Erasmus+-ის პროექტების განხორციელებაში.

ETWINNING-ის პროექტები: ინოვაციების წახალისება საკლასო ოთახში

ემესი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება მისი პედაგოგიური პრაქტიკის განუყოფელი და რევოლუციური ასპექტი 2009 წლიდან გახდა, როდესაც ის პირველად დარეგისტრირდა eTwinning-ის პლატფორმაზე. ის ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შესაბამისი აპლიკაციებისა და ვებ 2.0 ინსტრუმენტების გამოყენებას მოსწავლეთა სწავლების გაუმჯობესებისა და მათი ცხოვრებისეული უნარების

განვითარებისას. პანდემიის დროს, ემესი გაკვეთილების ჩასატარებლად რეგულარულად იყენებდა eTwinning-ის პლატფორმას, რაც ბავშვებს საშუალებას აძლევდა დარჩენილიყვნენ ხაზზე და გაეგრძელებინათ მუშაობა ისეთ პლატფორმაზე, რომელსაც უკვე კარგად იცნობდნენ.

ემესი თავის მოსწავლეებს ყველა პროექტის დაგეგმვის პროცესში რთავს და მოუწოდებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, ემესის მოსწავლეებმა დამოუკიდებლად მოამზადეს გაკვეთილის გეგმა და მოირგეს მასწავლებლის როლი. ეს შესაძლებლობა უნიკალური აღმოჩნდა საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის, რადგან მათ განსხვავებულად შეხედეს სასწავლო პროცესს და უფრო მეტი ენთუზიაზმით ჩაერთვნენ საკლასო აქტივობებში.

2020-2021 წლებში, ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, სახელწოდებით „მწვანე ქცევის კოდექსი“, ემესის მოსწავლეებმა ითანამშრომლეს იტალიელ, ესპანელ და ტუნისელ მოსწავლეებთან. ზოგი აქტივობისთვის, მოსწავლეებმა გამოიყენეს Scratch, ასევე ერთ-ერთი ისტ-ის ინსტრუმენტი, რომელსაც ემესი საერთოდ არ იცნობდა. ზოგიერთი მოსწავლე უკვე კარგად იყენებდა აღნიშნულ ინსტრუმენტს და აქტივობების მიმდინარეობისას თანატოლებს ექსპერტულ მხარდაჭერასაც უწევდა. ემესი მიენდო მოსწავლეებს და ნება დართო ეხელმძღვანელათ პროცესისთვის, რამაც მოსწავლეებს

თავდაჯერებულობა შემატა და სრულად საკუთარ ხელში აიღეს სასწავლო პროცესის მართვა.

ემესი ყურადღებას ამახვილებს სწავლა-სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე: აბსოლუტურად ნორმალურია მასწავლებელმა აღიაროს, რომ მან ყველაფერი არ იცის. ფაქტობრივად, საკუთარი ნაკლოვანებების აღიარებით, მასწავლებელი აყალიბებს გარემოს, რომელშიც მოსწავლეები გრძნობენ უფრო მეტ პასუხისმგებლობას და უფლებას მართონ საკუთარი სწავლის პროცესი. მოსწავლეთა შესაძლებლობებისადმი ნდობის დემონსტრირება ზრდის ჩართულობას მორცხვ მოსწავლეებშიც კი. წლების განმავლობაში, ემესმა შეამჩნია, რომ მორიდებული მოსწავლეები, რომლებიც მანამდე არ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას საკლასო აქტივობებში, გახდნენ უფრო მეტად ჩართულები, მუშაობდენ გუნდურად და eTwinning-ის პროექტებში მონაწილეობის წყალობით მეგობრებიც კი შეიძინეს. ემესი ამბობს, რომ მასწავლებელმა არა მხოლოდ პროექტის თემა უნდა გააცნოს მოსწავლეებს, არამედ ასევე ჩართოს ისინი ამ აქტივობების დაგეგმვის პროცესში. ეს მიდგომა ბავშვებს საშუალებას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესში და უძლიერებს მათ პასუხისმგებლობის გრძნობას საკუთარი აკადემიური წარმატების მიმართ.

პროექტში, სახელწოდებით „Eco-Herit@ge Matters“, რომელიც საბერძნეთის, ხორვატიის, იტალიის და პორტუგალიის წარმომადგენელ პარტნიორებთან ერთად 2019 წლიდან 2021 წლამდე პერიოდში ხორციელდებოდა, მოსწავლეთა კლასგარეშე პროგრამის ფარგლებში შექმნილი ეკოკლუბების მიერ ბევრი აქტივობა დაორგანიზდა. პანდემიის გამო, ყველა ადგილობრივ დონეზე შესასრულებელი აქტივობა გადატანილ იქნა ონლაინფორმატში. ზემოთ აღნიშნული პროექტის ძირითადი თემა იყო ეკოლოგია და კულტურა, ხოლო პროექტის აქტივობებში მთელმა სკოლამ მიიღო მონაწილეობა, როგორც ემესმა მოგვიანებით განმარტა. 2020-2021

წლებში, ემესმა და მისმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტში „#DigitalEU – ჩვენ ამას შევძლებთ!“ გერმანელ პარტნიორებთან ერთად, სადაც აქცენტირებული იყო ყალბი ამბებისა და ციფრული წიგნიერების თემა. მოსწავლეებმა შერეულ გუნდებში თანამშრომლობით, არა მხოლოდ გაიგეს თუ რა საფრთხეები ახლავს ყალბ ამბებს, არამედ საკუთარი ცოდნა ციფრული წიგნიერების ხელშემწყობი კამპანიის შემუშავებისთვის გამოიყენეს. როგორც ემესმა განმარტა, eTwinning-ის პროექტებში მონაწილეობა მოსწავლეებს ეხმარება მნიშვნელოვანი კომპეტენციებისა და უნარების განვითარებაში, რაც მათ მომავალში ძალიან გამოადგებათ. სკოლის კურსდამთავრებულები ხშირად იხსენებენ, თუ როგორ დაეხმარა მათ eTwinning-ში მონაწილეობა ისეთი მნიშვნელოვანი უნარების ათვისებაში, როგორიცაა თანამშრომლობა, გუნდური მუშაობა, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება და სხვა.

ემესმა დაასახელა კიდევ ერთი მაგალითი და აღნიშნა: „eTwinning-ის პროექტების ფარგლებში ვიყენებდით Pixton-ს, განსაკუთრებით კი „#DigitalEU-ში – ჩვენ ამას შევძლებთ!“ პროექტისათვის. ამ ინსტრუმენტის გამოყენება პროექტის დასრულების შემდეგაც გავაგრძელე, რადგან შევნიშნე, თუ როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა. ისინი სიამოვნებით ამზადებდნენ საშინაო და საკლასო დავალებებს, ასევე უფრო პროდუქტიულები და კრეატიულები იყვნენ Pixton-ზე მუშაობისას. ჩემთვის მარტივი იყო მათი დახმარება და ხელმძღვანელობა, რადგან მოსწავლეები მულტფილმებს Pixton-ის გაკვეთილების ფარგლებში ქმნიდნენ, რა დროსაც შემეძლო მათ მიერ დაშვებული გრამატიკული შეცდომების შესწორება. Eco-Herit@ge Matters (2.0) პროექტის ფარგლებში, ჩვენ შევქმენით ერთობლივი ფილმი, სადაც მოსწავლეებმა მოირგეს სცენარისტების, გრაფიკული დიზაინერების, მთარგმნელების, რეჟისორების, რედაქტორებისა და სხვათა ფუნქციები. მათ ნულიდან ისწავლეს მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება, ასევე მისი გავრცელება ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებსა თუ ფესტივალებში მონაწილეობით. გარდა ამისა, ვინაიდან ჩვენი ყურადღება ბუნებასა და ეკოლოგიაზე იყო მიმართული, მოსწავლეებმა ისწავლეს თუ როგორ გამოიკვლიონ, დოკუმენტურად ასახონ და შექმნან ეკო-სახელმძღვანელოები. აღნიშნული დავალებების შესრულება საჭიროებდა თანამშრომლობასა და კვლევას“.

ემესი თვლის, რომ სასწავლო პროგრამა და სახელმძღვანელოები მოძველებული მეთოდია, ამიტომ მასწავლებლებმა უნდა გამოიყენონ საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობები, რათა გაკვეთილები უფრო საინტერესო გახადონ. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი წლის ბოლოს მოსწავლეებს მოეთხოვებათ გამოცდების ჩაბარება, მასწავლებელს მაინც შეუძლია მიჰყვეს სასწავლო პროგრამას და ამავე დროს, პარალელურად გამოიყენოს პროექტზე დაფუძნებული სწავლება. მართალია, ზოგიერთ მშობელს შესაძლოა ეგონოს, რომ მათი შვილები არ იღებენ ტრადიციულ განათლებას, თუმცა ისინი მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და ეხმარებიან თავიანთ შვილებს პროექტების შესრულებაში, ასევე ყოველთვის მზად არიან მონაწილეობა მიიღონ eTwinning-ის პროექტების განხორციელებაში. მაგალითად, მოსწავლეები ამზადებენ ინტერვიუს მშობლებთან ან ერთი დღის განმავლობაში აკვირდებიან კონკრეტული პროფესიის ადამიანების სამუშაო გამოცდილებას, რათა უკეთ

გააანალიზონ სხვადასხვა პროფესიის სპეციფიკა, მაგალითად, პოლიციელის ან ბიბლიოთეკარის საქმე.

მიუხედავად ბევრი უპირატესობისა, ემესი აღიარებს, რომ არსებობს გამოწვევები, რომელთა გადალახვასაც ძალიან ართულებს ფინანსური შეზღუდვები. მისი თქმით, სკოლისთვის აუცილებელი ტექნიკის შეძენა საკმაოდ სერიოზული გამოწვევაა. მიუხედავად ამისა, მას სჯერა, რომ ტექნოლოგიური მოწყობილობები მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებაა, ხოლო რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია, ეს არის ინოვაციური პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს სწავლებას და ავითარებს კომპეტენციებს.

ETWINNING-ის სკოლები: ინოვაციური კულტურის გაძლიერება

ემესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუმინეთში მასწავლებლები, როგორც წესი, თავისთვის, დამოუკიდებლად, ერთმანეთთან თანამშრომლობის გარეშე მუშაობენ. თუმცა, eTwinning-ის პროექტებში ჩართულობამ, შეცვალა სკოლაში დამკვიდრებული კულტურა და მასწავლებლებსა და მოსწავლეებს გუნდურად ეფექტური მუშაობის საშუალება მისცა. ემესმა აღნიშნა, რომ თანამშრომლობითი მიდგომა ძალზედ სასარგებლოა ყველა მონაწილესთვის.

ემესმა განსაკუთრებით აღნიშნა წარმატებული ევროპული თანამშრომლობის წარმართვისა და სკოლაში eTwinning-ის დანერგვის პროცესში სკოლის დირექტორის მხარდაჭერის მნიშვნელობა. ამის მისაღწევად, მან განმარტა, რომ მმართველმა გუნდმა უნდა გააცნობიეროს თუ რა მნიშვნელოვანი და როგორი სასარგებლოა თანამშრომლობა სასკოლო თემისთვის. ემესის ინიციატივით, სკოლის დირექტორი დაესწრო მის ვიდეოკონფერენციას პარტნიორებთან და eTwinning-ის ეროვნულ კონფერენციას, სადაც ის გაესაუბრა იმ დირექტორებსა და მასწავლებლებს, რომლებმაც უკვე შეძლეს eTwinning-ის ინტეგრირება სასწავლო პრაქტიკაში და eTwinning-ის მიერ შეთავაზებული უპირატესობების გაცნობა.

ემესმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოლეგებს შორის კომუნიკაცია და თანამშრომლობა მნიშვნელოვანია პროექტებზე წარმატებით მუშაობისთვის. მას მიაჩნია, რომ აქტივობების განხილვა და შედეგების კოლეგებთან და მმართველ გუნდთან გაზიარება ზრდის შესრულებული სამუშაოს ეფექტს. მაგალითისთვის, მან დაასახელა თავისი ხუთი კოლეგა, რომლებმაც, ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, შეძლეს ეროვნული eTwinning-ის ჯილდოს მოპოვება, რაც იმის დასტურია, თუ რა დამატებითი სარგებლისა და უფრო მეტი ხილვადობის მოტანა შეუძლია კოლაბორაციას, რაც თავის მხრივ, ერთგვარი ჯილდოც კია გაწეული ძალისხმევისთვის.

ემესის სკოლას 2027 წლამდე გაწერილი სასკოლო პროგრამა აქვს, რომლის მიზანია როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებლების ციფრული კომპეტენციების გაძლიერება. იმის სადემონსტრაციოდ, თუ როგორ ეხმარება ციფრული ტექნოლოგიები სასწავლო პროცესს, სკოლა იყენებს „SELFIE-ს სკოლებისთვის“. გარდა ამისა, სკოლა ცდილობს შექმნას ეკოლოგიურად მდგრადი სასკოლო თემი საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად და ხელშესაწყობად, რომელიც შეძლებს ადამიანების მოტივირებას, რომ შეიცვალონ ხედვები და ჩვევები მდგრადობისა და ჩვენს მომავალ ცხოვრებაზე მდგრადობის ზეგავლენის შესახებ. ეს გადაწყვეტილება eTwinning-ის პროექტში „Eco-Herit@ge Matters“ სკოლის მონაწილეობის შემდეგ იქნა მიღებული.

ეკოკლუბის მიერ ინიცირებული აქტივობები უკვე წარმოადგენს სკოლის სტანდარტული პრაქტიკის ნაწილს. ფაქტობრივად, პროექტის დასრულების შემდეგ, სკოლა დარეგისტრირდა ეკო სკოლების პროგრამაში და ამჟამად, ყოველთვიურად ახორციელებს კლასგარეშე აქტივობებს. დაწყებულია eTwinning-ის ახალი პროექტი (Eco-Herit@

ge Matters 2.0), ხოლო მწვანე მიზნები შეტანილ იქნა 2022–2027 წლის სასკოლო პროგრამაში.

სკოლის „ევროპარლამენტის ელჩების სკოლის“ (EPAS) გუნდმა დაიწყო მედიაწიგნიერებისა და დეზინფორმაციის თემის დამუშავება, სადაც ხაზგასმით აღინიშნა ამ ორი ფაქტორის მნიშვნელოვანი ზეგავლენა და მუდმივი განხილვის აუცილებლობა, რათა მოხდეს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება და პასუხისმგებლიანი ონლაინქცევის ჩამოყალიბება. ემესმა აღნიშნა, რომ eTwinning-ში მონაწილეობის შემდეგ მისმა სკოლამ რამდენიმე მეთოდი დანერგა. ერთ-ერთია მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება მათი ონლაინ იმიჯის შესახებ, არა მხოლოდ ხელმოწერილ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, არამედ მოკლე ტექსტური შეტყობინებების და ონლაინქცევის პასუხისმგებლიანი მიმართულებით, და მეორე, მცირეწლოვანი მოსწავლეების მიერ ინტერნეტისა და ინტერნეტკამპანიების უფრო პასუხისმგებლიანი გამოყენება.

„ჩვენ განსაკუთრებით გვეამაყება, რომ ჩვენს სკოლაში თანდათან ფართოვდება თანამშრომლობითი ჯგუფები, უფრო მეტი და მეტი მასწავლებელი უერთდება eTwinning-ს და ირგებს ლიდერულ პოზიციებს, რათა მეგზურობა და დახმარება გაუწიონ მოსწავლეებს. როგორც გუნდი, უფრო მეტს ვთანამშრომლობთ ჩვენსავე კლასებში, რაც პირდაპირი შედეგია ფანტასტიური eTwinning-ის სულისკვეთებისა, რომელიც პროექტების განხორციელებისას საკუთარ თავზე გამოვცადეთ ”, დასძინა მან.

ტექნოლოგიური რესურსების ნაკლებობის მიუხედავად, სკოლა უფრო მეტად გაიხსნა გარე სამყაროსთვის და დაიწყო პროფესიონალებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. ვინაიდან ერთადერთი eTwinning-ის სკოლაა რეგიონში, ის განიხილება, როგორც სამოდელო სკოლა, რომელიც თავის აქტივობებს უზიარებს რეგიონის სხვა სკოლებს. უკვე მერამდენე წელია, სკოლა მასპინძლობს ყოველწლიურ სიმპოზიუმს, რომლის ფარგლებშიც მთელი რეგიონის მასწავლებლებისათვის ეწყობა სამუშაო შეხვედრები. ბოლო წლებში, სასკოლო სიმპოზიუმმა მნიშვნელოვანი საჯაროობა მოიპოვა, შედეგად მთელი ქვეყნის მასშტაბით ბევრმა მასწავლებელმა მონაწილეობა მიიღო და გაუზიარა კოლეგებს საკუთარი წარმატებული eTwinning-ის გამოცდილება.

რუმინეთში არსებულ სკოლებს, რომლებიც ევროპული დონის, მაღალი ხარისხის აქტივობებით გამოირჩევიან, განათლების სამინისტრო სთავაზობს აღიარებას - ინიციატივა, ცნობილი სახელწოდებით „ევროპული სკოლა“. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მათ მიერ განხორციელებული წარმატებული eTwinning-ის პროექტებისა და აქტივობების აღსანიშნად აღნიშნული ტიტული ემესის სკოლასაც მიენიჭა. ჯილდოს სახით სკოლას გადაეცა ფულადი თანხა. ამ თანხით სკოლამ შეიძინა ფიქსირებული პროექტორი, რომელსაც ყველა კლასი იყენებს. ამ აღიარებამ დაარწმუნა სკოლის ხელმძღვანელობა, მასწავლებლები და მოსწავლეები, რომ პროექტი ნამდვილად ღირდა ყოველი დახარჯული წუთისა და ძალისხმევისთვის, რაც პროექტის განხორციელებას მოხმარდა.

ემესის სკოლაში ყველა ადამიანი თავს გრძნობს ისეთი საზოგადოების ნაწილად, რომელიც მუდმივად ფართოვდება და ვითარდება. სკოლის ყველა წარმომადგენელი ხელს უწყობს თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას, მუშაობენ ერთად, როგორც ერთიანი გუნდი. ემესის ხედვით „ესაა სკოლა, რომელიც მუშაობს eTwinning-ის მსგავსად და რომელიც უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ პლატფორმა. eTwinning-ი გულისხმობს პედაგოგიურ მეთოდებს, კონცეფციას და რაც მთავარია, აქტიურ და მეგობრულ თემს“.

3.6. Collège et Lycée Pierre de Coubertin, ფონ-რომეუ, საფრანგეთი

ანკა-აურა კუასნონი ბოლო 13 წელია ინგლისურ და ფრანგულ ენებს ასწავლის პიერ დე კუბერტენის სახელობის კოლეჯსა და ლიცეუმში. ანკა eTwinning-ში ადგილობრივი ტრენინგ კურსის გავლის შემდეგ გაწევრიანდა, სადაც გაიცნო კოლეგები სხვა ქვეყნებიდან და გადაწყვიტა განეხორციელებინა თავისი პირველი პროექტი. სკოლა, სადაც ის ასწავლის, საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ასევე სთავაზობს პროფესიული გადამზადების მიმართულებას. ეს არის სპორტული სკოლა მაღალი დონის სპორტსმენებისთვის, თუმცა ამავე დროს სიხარულით მასპინძლობს ადგილობრივ მოსწავლეებს. სკოლა საფრანგეთის სამხრეთით ზღვის დონიდან 1800 მეტრის სიმაღლეზე აღმოსავლეთ პირენეებში, ესპანეთის საზღვრიდან სულ რაღაც 15 კილომეტრში ერთ-ერთ სოფელში მდებარეობს.

ETWINNING-ის პროექტები: ინოვაციების წახალისება საკლასო ოთახში

ანკამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინოვაცია ყოველთვის რევოლუციურ ქმედებებს არ საჭიროებს, არამედ შეიძლება განხორციელდეს მცირე ნაბიჯებით, რათა მოხდეს მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობისა და ინტერესის გაღვივება. მან ასევე ხაზი გაუსვა სხვადასხვა მეთოდებით ექსპერიმენტირების მნიშვნელობას, რათა ნათლად დაინახოთ თუ რა მუშაობს ეფექტურად ან ნაკლებ ეფექტურად. eTwinning-ის ადგილობრივ ტრენინგებში მონაწილეობის შემდეგ, ანკა დაბრუნდა სკოლაში და ახალი ცოდნა კოლეგებს გაუზიარა. ამგვარი გაზიარება აღმოჩნდა ინოვაციური, რადგან ანკამ ახალი ინიციატივა შემოიტანა სკოლაში და გააღვივა კოლეგების დაინტერესება თანამშრომლობის მიმართ.

ანკას მონაწილეობა მრავალ პროექტში აქვს მიღებული და დღესაც ცდილობს მოახდინოს eTwinning-ისა Erasmus+-ის კომბინირება საბოლოო მიზნის მისაღწევად: გამართოს პირისპირ აქტივობები და შეხვედრები თავის პარტნიორებთან. თუმცა, მისი თქმით, პარტნიორებისთვის eTwinning-ის გაცნობა, დახმარების გაწევა სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებაში და ერთობლივი აქტივობების ორგანიზება, შესაძლოა რთული პროცესი აღმოჩნდეს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასწავლებლები რეალურ თანამშრომლობას მიჩვეულნი არ არიან, ამიტომ მათ სჭირდებათ დრო, რომ დაინახონ დამატებითი სარგებელი და პარალელური აქტივობების ნაცვლად დაიწყონ თანამშრომლობითი ღონისძიებების განხორციელება.

ანკამ აღგვიწერა, თუ როგორ დაამყარა მისმა სკოლამ Erasmus+-ის პარტნიორობა იტალიის ქალაქ სიცილიაში მდებარე სკოლასთან 2020-2021 აკადემიური წლის განმავლობაში. როდესაც პანდემიის გამო გადაადგილება შეუძლებელი გახდა, მათ გადაწყვიტეს განეხორციელებინათ eTwinning-ის პროექტი, სახელწოდებით „მოტივაცია“. პროექტი კონცენტრირდა სკოლის ყველაზე მოწყვლად მოსწავლეებზე, რადგან Erasmus+-ის პროექტის თემად შერჩეულ იქნა ადრეულ ეტაპზე სკოლის მიტოვება და მოსწავლეთა მოტივაციის ნაკლებობა. ანკამ და მისმა კოლეგა ინგლისურის მასწავლებელმა ენმა, შექმნეს სასკოლო დავალებების მიმართ დაბალი მოტივაციითა და ინტერესის

დეფიციტით გამორჩეული 14-15 წლის მოსწავლეებისგან დაკომპლექტებული ორი ჯგუფი. მოსწავლეებს ასევე ჰქონდათ დაბალი თვითშეფასება, განსაკუთრებით კი ინგლისური ენის მიმართ. შესაბამისად, ანკამ და ენიმ მთელი ძალისხმევა მიმართეს მოსწავლეების თვითაღქმის გაძლიერებისაკენ, წაახალისეს ისინი ემუშავათ საკუთარ ემოციებზე და ესწავლათ უარყოფითი შეგრძნებების, მაგალითად იმედგაცრუების, უხერხულობისა და შიშის მართვა. პროექტი წარმატებით დასრულდა, რის შემდეგაც მათ მონაწილეობა მიიღეს „ევროპის პარლამენტის ელჩების სკოლის“ პროგრამაში, რამაც სკოლის მენეჯმენტის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ანკას თქმით, eTwinning-ის პროექტებში მონაწილეობა, დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა თავდაჯერებულობაზე, გონებაგახსნილობასა და პრობლემის გადაჭრის უნარებზე. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტები სასწავლო პროცესს უფრო სასიამოვნოს ხდის და უბრუნველყოფს მოსწავლეთა სიღრმისეულ ჩართულობას. თუმცა, თავიდან საჭიროა მასწავლებელმა გამოიჩინოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა, რათა დაარწმუნოს მოსწავლეები ჩაერთონ პროექტებში. ანკამ აღნიშნა, რომ ზოგი მოსწავლე კარგად სწავლობს ინგლისურ ენას



ან ციფრულ ინსტრუმენტებს, ხოლო ზოგისთვის კი ეს ყველაფერი დიდ სირთულეს წარმოადგენს. ამის გამო, ანკა ვალდებულია დაესწროს აქტივობებს და დაეხმაროს იმ მოსწავლეებს, ვისაც დამატებითი მხარდაჭერა და ხელშეწყობა ესაჭიროება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გუნდებში მუშაობა უფრო ეფექტურია, ვინაიდან მოსწავლეები სწავლობენ თანამშრომლობას და ერთმანეთის დახმარებას საერთო მიზნის მისაღწევად. ანკამ აღნიშნა: „საბოლოო ჯამში, ბავშვების სახეზე ღიმილის დანახვა, როდესაც ისინი წარმატებით ასრულებენ დავალებას, მასწავლებლისთვის უდიდესი ჯილდოა“.

ანკა თავის მოსწავლეებს ყოველთვის მოუწოდებს პროექტებზე მუშაობისას გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, თვითონ კი მოსწავლეებთან ერთად ამ მიზნების მიღწევისთვის საუკეთესო ინსტრუმენტებს არჩევს. ზოგიერთ შემთხვევაში, მოსწავლეები მასწავლებლად გადაიქცევიან ხოლმე და ანკას ასწავლიან, თუ როგორ გამოიყენოს სხვადასხვა მოწყობილობა, მაგალითად ვიდეორგოლის რედაქტირების პროგრამული უზრუნველყოფა. მათი წარმატებული თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია eTwinning-ის პროექტი „ევროპელი თინეიჯერების სცენა“ (2020–2021), რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის დანიის, გერმანიის, ესპანეთის, საფრანგეთის, იტალიისა და ფინეთის მოსწავლეები ერთად მუშაობდნენ მრავალეროვნულ გუნდებში, თავიანთი ინტერესებისა და გატაცებების შესახებ სტატიების მოსამზადებლად. მოსწავლეებმა მოიფიქრეს უნიკალური იდეა, შეექმნათ სპეციალური ჯილდო სახელწოდებით „თინეიჯერული სცენის პრიზი“, რომელიც სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს გადაეცემოდათ, მაგალითად სპორტი, გართობა, მეცნიერება და აქტივიზმი. სიღრმისეული კვლევის შედეგად, მოსწავლეებმა გაიფართოვეს თვალსაწიერი და გაიღრმავეს ინტერესი სხვადასხვა სფეროს მიმართ.

კენჭისყრისთვის მზადების პროცესში, გაკვეთილზე გამართულმა დებატებმა ხელი შეუწყო მოსწავლეთა

სამეტყველო უნარების, მათ შორის პირადი მოსაზრების დასაბუთების, დარწმუნებისა და გამოხატვის უნარების გაუმჯობესებას. ეროვნული და ევროპული ხარისხის ნიშნით დაჯილდოების ცერემონია, რომელიც სკოლაში გაიმართა, განსაკუთრებით დაუვიწყარი მომენტი აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის, რადგან გაძლიერდა მათი დაინტერესება საერთაშორისო პროექტებისა და თანამშრომლობის მიმართ, განმარტა ანკამ. Erasmus+-ის eTwinning-ის პროექტში, სახელწოდებით „შენ ხარ სამყარო, მოახდინე ცვლილებები", მოსწავლეებმა მოირგეს ელჩების როლი. მათ დაევალათ ღონისძიებების ორგანიზება, ასევე თანატოლების ჩართვა ეკოლოგიისა და ინკლუზიის შესახებ აქტივობებში ყოველი მობილობის შემდეგ. ანკას ღრმად სწამს, რომ აუცილებელია მოსწავლეების გაძლიერება და წახალისება, რათა მათ დაიკავონ ლიდერული პოზიციები, რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებლები მიენდობიან მოსწავლეებს და მისცემენ მათ მოქმედების თავისუფლებას.

eTwinning-ის ელჩის რანგში, ანკამ შეაფასა „ხარისხის ეროვნული ნიშნის" მოსაპოვებლად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში წარდგენილი პროექტები. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ის აცნობიერებს, რომ პროექტის განხორციელების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, თუ რამდენი მოსწავლეა ჩართული სასწავლო პროცესში და როგორ ახერხებს მასწავლებელი პედაგოგიური მიზნების მიღწევას, მაქსიმალურად ეფექტური გზით. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ანკა დიდ ყურადღებას აქცევდა ციფრულ ინსტრუმენტებს, რამდენიმე პროექტზე მუშაობის შემდეგ, მან აღმოაჩინა, რომ თავად ინსტრუმენტები არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც მოსწავლეების მხარდაჭერა აქტიური სწავლების პროცესში. ინსტრუმენტები შესაძლოა წლიდან წლამდე შეიცვალოს, თუმცა აქცენტი ყოველთვის უნდა იყოს მოსწავლეებისთვის საინტერესო და აქტიური სასწავლო გარემოს შექმნა.

ETWINNING-ის სკოლები: ინოვაციური კულტურის გაძლიერება

მას შემდეგ, რაც ანკამ სკოლაში eTwinning-ი დანერგა და დაინახა eTwinning-ისა და Erasmus+-ის სარგებელი, მათ შორის სკოლის გაზრდილი ხილვადობა, სკოლის მართველი გუნდიც თანდათან ჩაერთო და მხარი დაუჭირა ანკას ინიციატივას. მას მიაჩნია, რომ ინოვაცია გადამდებია და იწყება ერთი ნაპერწკლით, რომელსაც შეუძლია ახალი იდეების გაღვივება და ახალი პერსპექტივების გაჩენა. ანკას სკოლამ დაიწყო ერთი eTwinning-ის პროექტით, რომელიც გადაიზარდა მასწავლებლისთვის განკუთვნილ Erasmus+-ის პროექტში, რასაც შემდგომში მოჰყვა Erasmus+-ის პროექტი მოსწავლეებისათვის.

ანკა ასევე ხაზს უსვამს პროფესიული განვითარების მნიშვნელობას, განსაკუთრებით კი, სოფლად ან შორეულ რეგიონებში მდებარე სკოლებისთვის, რადგან ამ გზით სხვა ადამიანებთან ურთიერთობისა და ევროპული პროფესიული კავშირების შექმნაა შესაძლებელი. მასწავლებლებისთვის განკუთვნილი Erasmus+-ის პროექტი სახელწოდებით „შემოქმედებითი სწავლებიდან, შემოქმედებით აზროვნებამდე" 2020 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში ხორციელდებოდა. სატრენინგო კურსის გავლის შემდეგ, მასწავლებლებმა ყველაზე საინტერესო და ინოვაციური აქტივობები საკუთარ ყოველდღიურ პედაგოგიურ პრაქტიკას მოარგეს. მათ სხვადასხვა საგნის მასწავლებლების ჩართულობით ასევე

გამართეს საინფორმაციო შეხვედრები, რომლებმაც მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღეს ერთმანეთისგან სწავლის შესაძლებლობით.

ანკას სკოლა საკმაოდ აქტიური და ღიაა საზოგადოებისთვის, თანამშრომლობს ავტორებთან, ხელოვანებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ფრანგული ენის მასწავლებლები იწვევენ მსახიობებსა და თეატრის რეჟისორებს, რომლებიც მოსწავლეებს ასწავლიან, თუ როგორ მოამზადონ მოკლე ვიდეორგოლი პროექტებისთვის. Erasmus+-ის პროექტის ფარგლებში, ანკამ მოიწვია მერიისა და ტურიზმის სამსახურის წარმომადგენლები, რომლებმაც ისაუბრეს რეგიონში არსებულ გამოწვევებზე. ანკამ აღნიშნა, რომ მის სკოლას მანამდეც ჰქონდა საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოცდილება; თუმცა, eTwinning-ში ჩართვის შემდეგ, ეს პრაქტიკა კიდევ უფრო სტრუქტურირებული და ფორმალიზებული გახდა, რადგან ის ახლა ინტეგრირებულია მათ საპროექტო აქტივობებში.

გარდა ამისა, მშობლები თავიანთი შვილების მიერ შესრულებული პროექტების შესახებ რეგულარულად იღებენ ინფორმაციას და ზოგადად კმაყოფილები არიან შვილების მიერ შეძენილი უნარებითა და კომპეტენციებით. თუმცა, ზოგიერთ მშობელს მაინც არ მოსწონს შვილის ციფრულ მოწყობილობებზე წვდომა ან სკეპტიკურად უყურებს სხვა ქვეყნების მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან

ონლაინთანამშრომლობას. ასეთ შემთხვევებში, ანკა ამშვიდებს ხოლმე მშობლებს და უხსნის, რომ eTwinning-ში ნამდვილად უსაფრთხო გარემოა შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ მშობლებს ჯერ არ მიუღიათ აქტიური მონაწილეობა არც ერთ პროექტში, ისინი დიდი ენთუზიაზმით მოელიან საკუთარ ჩართულობას მიმდინარე Erasmus+-ის eTwinning-ის პროექტებში.

ანკამ აღნიშნა, რომ სარგებლის გარდა, მასწავლებლები გარკვეულ გამოწვევებსაც აწყდებიან. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც მათ წინაშე დგას არის ინოვაციური აქტივობების განსახორციელებლად საჭირო დროის რესურსი. ზოგიერთი მისი კოლეგისთვის პროექტები საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა, რის გამოც ისინი ყოყმანობდნენ, თუ რამდენად შეძლებენ მომდევნო სასწავლო წელს ახალ პროექტზე მუშაობის გაგრძელებას. ამ პრობლემის გადასაჭრელად, მათ მოიფიქრეს გამოსავალი, რაც გულისხმობდა გუნდების სტრუქტურირებას და თითოეული მონაწილე მასწავლებლისთვის ან პერსონალის წარმომადგენლისათვის კონკრეტული როლების მინიჭებას. გარდა ამისა, მასწავლებლებმა ისწავლეს თუ როგორ დაეყრდნონ მოტივირებულ მოსწავლეებს, რომლებსაც ხშირად შესანიშნავი იდეები აქვთ და მარჯვედ იყენებენ ახალ ტექნოლოგიებსაც, რაც ნამდვილად ეხმარება მათ მუშაობის პროცესში წარმოქმნილი გამოწვევების გადალახვაში.

ანკა მუდმივად ცდილობს კოლეგების დახმარებას, თუმცა მიაჩნია, რომ მკაფიო მიზნებით, ეტაპებითა და აქტივობებით, მომავალი აკადემიური წლისთვის შემუშავებული სტრუქტურირებული სასკოლო გეგმა ძალიან ბევრ რამეს შეცვლის. მისმა სკოლამ პირველი ნაბიჯის სახით შეიმუშავა სასკოლო გეგმა, რომელიც გარკვეულწილად ბუნდოვანიც კი არის, თუმცა იძლევა ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით, ანკამ თქვა: „როგორც eTwinning-ის სკოლამ, ჩვენ უნდა განვაგრძოთ წინსვლა... eTwinning-ის სკოლის გაცხადებული მისიაა, რომ

ჩვენ ვართ ინოვაციური სასწავლო დაწესებულება.“

ანკამ ასევე აღნიშნა, რომ რეგულარული პროფესიული გადამზადება და დროის დაზოგვის მეთოდების შესახებ მასწავლებლების კონსულტირება, ინოვაციური პრაქტიკის შესანარჩუნებლად აუცილებლობას წარმოადგენს. გარდა ამისა, იგი თვლის, რომ ყველა იმ სამუშაოს სადემონსტრაციოდ, რასაც მასწავლებლები ადგილობრივ, თუ ეროვნულ დონეზე ახორციელებენ, სკოლას სჭირდება მეტი ხილვადობა. მაგალითად, სპეციალურად გამოყოფილი სივრცე ვებგვერდზე „inspection Académique“ (რეგიონული პედაგოგიური სამსახური), სადაც შესაძლებელია გაეცნოთ ინფორმაციას eTwinning-ის ყველა სკოლისა და მათი გამოცდილების შესახებ, ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებას და მათი ძალისხმევის აღიარებას. ანკა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინოვაციური პრაქტიკის დანერგვა უნდა იყოს არა ერთჯერადი ინიციატივა, არამედ უწყვეტი ტენდენცია, რომელიც მუდმივ მხარდაჭერასა და ინვესტიციას მოითხოვს.

3.7. İlhami Ertem Anadolu Lisesi, ედირნე, თურქეთი

სემა კარაკუში 24 წელია ასწავლის ინგლისურს, როგორც უცხო ენას. საშუალო სკოლა, სადაც ის მუშაობს, მდებარეობს ბულგარეთისა და საბერძნეთის საზღვარზე, სტამბოლიდან 2 საათის დაშორებით. სკოლა კეთილმოწყობილია და ემსახურება 15-დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეებს.

ETWINNING-ის პროექტები: ინოვაციების წახალისება საკლასო ოთახში

სემას თქმით, გაკვეთილებზე ტექნოლოგიების მზარდი გამოყენება ქმნის შერეულ სასწავლო გარემოს, რომელშიც მოსწავლეები ტექნოლოგიებს ისე იყენებენ, როგორც ამას რეალურ სამყაროში აკეთებენ. დღევანდელი დასაქმების ბაზრის სწრაფად ცვალებადი ბუნების გათვალისწინებით, ცვლილების ტემპის პროგნოზირება ან მისთვის ფეხის აწყობა თითქმის შეუძლებელია. შესაბამისად, ახლა როგორც არასდროს, ყველაზე მნიშვნელოვანია შევძლოთ ადაპტაციისა და განვითარების უნარების გამომუშავება. მრავალ ინდუსტრიაში, ინოვაცია ცვლილებების კატალიზატორია და ყოველთვის წინსვლის შესაძლებლობას იძლევა. ინოვაცია განათლებაში კი ეხმარება მოსწავლეებს მოემზადონ დინამიური დასაქმების ბაზრისთვის, აძლევს მათ შესაძლებლობას განივითარონ ისეთი უნარები, როგორიცაა შემოქმედებითობა, ადაპტირებადობა და გამძლეობა. სემამ ასევე აღნიშნა, „eTwinning-ის დანერგვის შემდეგ, მე პირადად განვიცადე მნიშვნელოვანი პედაგოგიური ტრანსფორმაცია ჩემს გაკვეთილებზე, რადგან მანამდე ციფრულ ინსტრუმენტებს მაინცდამაინც კარგად არც კი ვიცნობდი. eTwinning-ის პროექტის განხორციელების შემდეგ, მე და ჩემმა მოსწავლეებმა მნიშვნელოვნად გავიუმჯობესეთ ციფრული უნარები. ამან, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტი ხალისი შემატა „ციფრულ სამყაროში“ კარგად გათვითცნობიერებულ ჩემს მოსწავლეებს და აამაღლა მათი მოტივაცია“.

2020 წელს, პანდემიის დროს, სემამ, თავის მოსწავლეებთან ერთად, განახორციელა eTwinning-ის პროექტი სახელწოდებით „მოდით ვითამაშოთ ერთად“. პროექტის თემა იყო გეიმიფიკაცია და თამაშზე დაფუძნებული სწავლება, მონაწილეები კი იყვნენ მოსწავლეები ბულგარეთიდან, ხორვატიიდან, იტალიიდან, ლიტვადან, პოლონეთიდან, პორტუგალიიდან, რუმინეთიდან და უკრაინიდან. პროექტის ფარგლებში, შეიქმნა ორი მობილური აპლიკაცია Android მოწყობილობებისთვის. პირველი აპლიკაცია, სახელწოდებით „თამაშების სამყარო“, მომზადდა Kodular.io ინსტრუმენტით. აპლიკაციის გახსნისთანავე, მომხმარებელი გადადის პროექტის ვებგვერდზე, ხოლო მეორე აპლიკაცია, „მოდით ვითამაშოთ ერთად“, უფრო კომპლექსურია და შეიქმნა App Inventor-ის გამოყენებით. ეს უკანასკნელი

მოიცავს გაკვეთილებს, სასაუბრო თემებს და სხვადასხვა ციფრულ თამაშებს ყველა საგნის შესახებ. მომხმარებელს შეუძლია მარტივად გადმოწეროს აპლიკაცია თავის მობილურ ტელეფონში და გამოიყენოს ის, სადაც კი მოესურვება.

დასაწყისისთვის სემამ აღნიშნა, რომ ინოვაციური პრაქტიკით შესაძლებელია შეიქმნას უფრო მიმზიდველი საკლასო გარემო. მართალია, ზოგიერთი ადამიანი ტექნოლოგიებს გართობის საშუალებად მიიჩნევს, თუმცა სემა თვლის, რომ ტექნოლოგიას შეუძლია გაკვეთილზე აქტიური ჩართულობის წახალისება. სხვადასხვა მოწყობილობის, მათ შორის კომპიუტერის, პლანშეტის ან მობილური ტელეფონის გამოყენება დაგეხმარებათ ტრადიციულად მოსაწყენი საგნები, ინტერაქტიულ და სახალისო აქტივობებად აქციოთ.

გარდა ამისა, ინოვაციური პრაქტიკა ასევე ერგება სწავლის სხვადასხვა სტილს, ამბობს სემა. „ჩემს კლასში თითოეული მოსწავლე უნიკალურია და ხშირად ჩემთვის რთულიც კია გაკვეთილის გეგმა მოვარგო ყველა მათგანის ინტერესებს. საბედნიეროდ, საგანმანათლებლო ტექნოლოგიები საშუალებას მაძლევს

შევცვალო ჩემი გაკვეთილები და შევიტანო მათში სახალისო თამაშები, მაგალითად, სამაგიდო თამაშები, ფლეშქარდები და თამაშები ღია ცის ქვეშ. ჩემს პროექტში „მოდით ვითამაშოთ ერთად“, მოსწავლეებმა საკუთარი ხელით მოამზადეს თამაშებისთვის საჭირო მასალა და გამოიყენეს ისინი ინგლისური ენის გაკვეთილებზე თამაშის დროს. პროექტი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ის გადავიტანეთ Erasmus+-ზე და საბოლოოდ, ფინეთში გეიმიფიკაციის კურსსაც კი დავესწარით.“

გარდა ამისა, გაკვეთილებზე ტექნოლოგიების გამოყენება მოსწავლეებს მომავლისთვის ამზადებს, ამბობს სემა. მცირე ასაკში სასწავლო ტექნოლოგიების გაცნობა მოსწავლეებს სამომავლო ციფრული გამოწვევების გადალახვაში დაეხმარება. გარდა ამისა, ტექნოლოგიებს შეუძლია გააღრმავოს ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის. სემამ აღნიშნა, „მაგალითად, ჩემს მიერ განხორციელებულ „eTwinning-ის პროექტში სახელწოდებით „ჩემი მიზანი“, მოსწავლეებმა შექმნეს ციფრული CV-ები და ისწავლეს სამუშაო განაცხადის მომზადება. მათ ასევე მოამზადეს პრეზენტაციები იმ პროფესიების შესახებ, რომელთა დაუფლებასაც სამომავლოდ გეგმავენ. პროექტის დახმარებით, მოსწავლეები გახდნენ უფრო მეტად თავდაჯერებულები, ხოლო ერთ-ერთ პროექტში „მეწარმეობას შეუძლია თქვენი მიზნების შესრულება“, მათ გამოიყენეს სხვადასხვა Web 2.0 ინსტრუმენტი მეწარმეების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად, ხოლო მიღებული შედეგები თანაკლასელებს Zoom კონფერენციაზე გაუზიარეს“.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ მოსწავლეს შესაძლოა გაუჭირდეს ციფრული უნარების ათვისება და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული აქტივობების დამოუკიდებლად შესრულება, განმარტა სემამ. აღნიშნული შესაძლოა წინარე გამოცდილების ან ციფრულ მოწყობილობებზე წვდომის ნაკლებობით იყოს განპირობებული. გარდა ამისა, ზოგ მოსწავლეს, სხვა ვალდებულებების გამო, შესაძლოა არ

ჰქონდეს საკმარისი დრო დამატებითი აქტივობების შესასრულებლად, რაც მათ ჩართულობას ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ პროექტებში შეაფერხებს. სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებთან ურთიერთობისას, მოსწავლეები ზოგჯერ მორცხვობენ ან არ ერთვებიან საუბარში, განსაკუთრებით კი, თუ მოსწავლე კარგად არ ფლობს უცხო ენას. გარდა ამისა, ენობრივი ბარიერის ან ინგლისური ენის არცოდნის გამო ზოგიერთ მოსწავლეს შეიძლება გაუჭირდეს პროექტის მოთხოვნების ან მიმართულების აღქმა. ასეთ შემთხვევებში, აუცილებლად უნდა მოხდეს დამატებითი მხარდაჭერისა და კონსულტაციის გაწევა, რათა ყველა მოსწავლემ შეძლოს სრულყოფილი მონაწილეობა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო გამოცდილებიდან სარგებლის მიღება.

ETWINNING-ის სკოლები: ინოვაციური კულტურის გაძლიერება

სემამ ხაზგასმით აღნიშნა, „ჩვენ ვამაყობთ, რომ ვართ პირველი eTwinning-ის სკოლა ჩვენს ქალაქში. eTwinning-ის პროექტების ინიცირების შემდეგ, ჩვენი სკოლის ხედვა და მისია განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. ჩვენ გავხდით უფრო წარმატებულები და აქტიურად ვერთვებით სოციალურ აქტივობებსა და პროექტებში, ასევე ზოგიერთი პროექტის Erasmus+-ად გარდაქმნის დამსახურებით მოვიპოვეთ პრესტიჟი და რეპუტაცია. ჩვენი მოსწავლეების კომპეტენციის დონეც გაიზარდა, რამაც უფრო მეტ მშობელს გაუჩინა სურვილი მოიყვანოს თავისი შვილი ჩვენს სკოლაში. როგორც სკოლას, ინოვაციური პრაქტიკის დანერგვისათვის მიღებული გვაქვს ბევრი ჯილდო და საჩუქარი. eTwinning-ის დამსახურებით, პრიზის სახით გადმოგვეცა მოგზაურობა ბელგრადში Move2Learn ინიციატივის ფარგლებში. გარდა ამისა, მასწავლებელთა „ეროვნული ინოვაციური მასალების დიზაინის კონკურსში“ დავიკავე მეორე ადგილი, ჩემს მიერ შექმნილი ახალი მობილური აპლიკაციის დამსახურებით, რომელიც დიდი სიამაყით გავაცანი და წარვუდგინე მასწავლებლებს როგორც ადგილობრივად, ასევე ეროვნულ UEDFOR-ის კონფერენციაზე (განათლების ტრანსფორმაციის ეროვნული ფორუმი) ქალაქ იზმირში“.

სემამ გაგვანდო, რომ eTwinning-ის შესახებ მან პირველად 5 წლის წინ, სწორედ თავისი დირექტორისგან გაიგო, რომელმაც სემას გააცნო პროექტზე დაფუძნებული სწავლების დამატებითი უპირატესობები. მას შემდეგ, ინიციატივას ბევრი მასწავლებელი შემოუერთდა, რომლებიც პროექტებზე დღემდე ერთად მუშაობენ და თანამშრომლობენ. მათ მიერ თავიანთ პროექტებში განხორციელებული ბევრი აქტივობა სკოლაში შემუშავდა. სკოლის ვებგვერდი მათი საკუთარი აპლიკაციის ბაზაზე გადაკეთდა მობილურ აპლიკაციად, რომელიც ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მშობლებისათვის. სკოლამ ციფრული თამაშების აპლიკაცია ხელმისაწვდომი გახადა ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის სტაჟიორი მასწავლებლებისათვის, რაც ეფექტურად დაეხმარა მათ გაკვეთილების ჩატარებაში. აპლიკაცია მარტივი გამოსაყენებელი და სასიამოვნოა, ამიტომ მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ ის. გარდა ამისა, მშობლებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, სემამ ისეთი აპლიკაციების გამოყენებით, როგორიცაა Canva და Madmagz თავის მოსწავლებთან ერთად შექმნა სკოლის ჟურნალი და ახალი ამბების მაცნე.

ყოველწლიურად, eTwinning-ის დღეს, ჩვენს სკოლაში ეწყობა გამოფენა, რომელიც შემდეგ უერთდება ქალაქში გამართულ eTwinning-ის გამოფენას.

მიზეზი, თუ რატომ შეირჩა ჩვენი სკოლა ამ ღონისძიებისთვის არის ის, რომ ჩვენ გამოვირჩეოდით eTwinning-ის პროექტებით, ასევე პანდემიის დროს, სკოლის eTwinning-ის გაკვეთილები და მასწავლებლები ლიდერის ფუნქციას ასრულებდნენ და ეხმარებოდნენ სხვა სკოლებს. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ჩვენ უკვე ვიცნობდით ციფრულ ინსტრუმენტებს და ვასწავლიდით კოლეგებს მათი გამოყენების წესებს. სხვებისგან განსხვავებით, ჩვენ გაგვიმართლა. eTwinning-ის წყალობით, სემა ხაზგასმით აღნიშნავს, ჩვენს მოსწავლეებს თავისუფლად შეეძლოთ უცხოელ თანატოლებთან კომუნიკაცია ისეთი აპლიკაციების გამოყენებით, როგორიცაა Zoom-ი, საკლასო ოთახში ტრადიციულ გაკვეთილებთან შედარებით უფრო ეფექტური აღმოჩნდა. შედეგად, სკოლა გახდა მისაბაძი მაგალითი სხვა მასწავლებლებისთვის და სკოლებისთვის.

ყოველწლიურად, სკოლა მშობლებისათვის აწყობს გამოფენებს, საქველმოქმედო ღონისძიებებს, გამოფენა-გაყიდვებს, რომელთა მიზანი, როგორც წესი, საქველმოქმედო ფონდისთვის თანხის შეგროვებაა. აღნიშნული ღონისძიებები წარმოადგენს მოტივაციას მშობლებისთვის, რომ შექმნან პროდუქტები eTwinning-ის პროექტებისთვის და შეავსონ სკოლის მიერ მომზადებული ციფრული კითხვარები. ზოგჯერ მოსწავლეები მშობლებისგან, ნათესავებისგან და სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისგან ინტერვიუებსაც კი იღებენ. სკოლა ასევე იწვევს მშობლებს თავიანთი პროფესიის შესახებ ინფორმაციის გასაზიარებლად

და სასაუბროდ. მაგალითად, ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში „ჯანმრთელი მდიდარი“, სკოლამ მოაწყო Zoom ვებინარი და საკუთარ გამოცდილებაზე სასაუბროდ ცნობილი საფეხბურთო მსაჯი და დიეტოლოგი მოიწვია. გარდა ამისა, სკოლამ გამართა ვებინარი კლინიკურ ფსიქოლოგთან, ბულინგის სხვადასხვა ფორმების განსახილველად. მშობლები ასევე მიიწვიეს სკოლაში გამართულ სახალისო სემინარში მონაწილეობის მისაღებად, რომლის თემაც საყვარელი საქმიანობა, ანუ ჰობი იყო, რომლის ფარგლებშიც საოცარი ნამუშევრები შექმნეს. მათ ასევე გამართეს საქველმოქმედო ღონისძიება და საკუთარი ნამუშევრები სკოლაში გამოფინეს.

სემა და მისი სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტექნოლოგიებს. სემას თქმით, „ტექნოლოგიას აქვს პოტენციალი გახდეს სწავლების ტრანსფორმირების ძლიერი ინსტრუმენტი. ტექნოლოგიას შეუძლია გააძლიეროს ურთიერთობა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, რევოლუციური ცვლილებები მოახდინოს თანამშრომლობისა და სწავლების მიმართ ჩვენს მიდგომებში, აღმოფხვრას თანასწორობისა და ხელმისაწვდომობის მიმართულებით დიდი ხნის განმავლობაში არსებული ხარვეზები, სასწავლო გამოცდილება კი მოარგოს თითოეული მოსწავლის საჭიროებებს. ჩვენი სკოლები უნდა იყოს კვლევისა და გამოგონების ინკუბატორი. პედაგოგებმა მოსწავლეებთან ერთად უნდა იმუშაონ, მუდმივად ეძიონ ახალი ცოდნა და აითვისონ ახალი უნარები. სკოლის ხელმძღვანელებმა უნდა შექმნან ხედვა ისეთი სასწავლო გამოცდილების შესახებ, რომელიც ყველა მოსწავლეს შესთავაზებს მართებულ ინსტრუმენტებსა და რესურსებს წარმატების მისაღწევად“.

3.8. II Liceum Ogólnokształcące im. Króla Jana III Sobieskiego w, კრაკოვი, პოლონეთი

ინგლისური ენის მასწავლებელი, იუსტინა გეგეგოჟიკა, 15-დან 19 წლამდე მოსწავლეებთან მუშაობს პოლონეთის ერთ-ერთ დიდ ქალაქში, კრაკოვში, მდებარე სკოლაში. სკოლას დიდი ხნის ისტორია აქვს, მომავალ წელს კი, სკოლის 140-ე იუბილე აღინიშნება. სკოლაში 1000-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს, რომლებიც ძალიან მოტივირებული არიან და ემზადებიან დასკვნითი გამოცდებისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემს განაგრძონ სწავლა უმაღლეს საგანმანთლებლო საფეხურზე.

ETWINNING-ის პროექტები: ინოვაციების წახალისება საკლასო ოთახში

იუსტინა ინოვაციას შემდეგნაირად აღწერს: „ინოვაცია, ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში, გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, სწავლების სხვადასხვა სტილისა და ინტერდისციპლინარული მიდგომების კომბინირებას, ასევე ტრადიციული საკლასო სტრუქტურებისა და როლების მუდმივ გადაფასებას. ინოვაცია ასევე ნიშნავს ჩემს მოსწავლეებთან თანამშრომლობისთვის ახალი გზების ძიებას. ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში, ინოვაციის მიზანია სწავლების ისეთი ახალი მიდგომების შემუშავება და დანერგვა, რომლებიც უკეთესად ჩართავს და წაახალისებს მოსწავლეებს, დაეხმარება მათ მიღებული ინფორმაციის აღქმასა და დამუშავებაში, ასევე ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას“.

როგორც იუსტინამ აღნიშნა, აკადემიური წლის დასაწყისში, იგი, როგორც წესი, დიდ დროს უთმობს მოსწავლეებზე დაკვირვებას და ატარებს ყინულის გალღვობის აქტივობებს. ამის შემდეგ, იუსტინა თითოეულ მოსწავლესთან მართავს ინდივიდუალურ გასაუბრებას, მათთან ერთად განიხილავს პროექტის საავარაუდო თემებს და შემდეგ ამ ინფორმაციას აცნობს მთელ კლასს. ეს მიდგომა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები და ინტერესები, რითიც იქმნება ცოცხალი და პროდუქტიული სასწავლო გარემო.

2020 წელს განხორციელდა eTwinning-ის პროექტი, სახელწოდებით „ევროპის ქუჩის მხატვრობა“, რომლის მიზანი იყო ევროპის სხვადასხვა ქალაქში არსებული ქუჩების მხატვრობისა და გრაფიტის შესწავლა. მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განსავითარებლად და ადგილობრივ თემში ქუჩის მხატვრობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად ბელგიიდან, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან, სლოვაკეთიდან და თურქეთიდან ხუთმა პარტნიორმა სკოლამ ითანამშრომლა. პროექტში ასევე ხაზგასმული იყო ახალი ტექნოლოგიური ინსტრუმენტების სწავლებისა და სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის მნიშვნელობა. მოსწავლეებმა გამოიყენეს ციფრული მედიის ინსტრუმენტები, მაგალითად, ვიდეო, აუდიო და ანიმაციისთვის საჭირო მოწყობილობები ერთობლივი სიუჟეტის მოსამზადებლად, რამაც გააუმჯობესა მოსწავლეების ენობრივი კომპეტენცია, შემოქმედებითობა და ციფრული წიგნიერება. იუსტინას თქმით, პროექტში მთავარი ინოვაცია იყო ის, რომ ენის პედაგოგებმა პირველად ითანამშრომლეს საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან, რითიც მოახდინეს eTwinning-ის დადებითი

ზეგავლენის დემონსტრირება მათ პედაგოგიურ პრაქტიკაზე. პროექტი შემდგომში ტრანსფორმირდა Erasmus+ პროექტად დრამის სწავლების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მთელმა სკოლამ მიიღო.

2019 წელს საფრანგეთის, პოლონეთის და თურქეთის სკოლებმა ითანამშრომლეს პროექტზე სახელწოდებით „Bookworms &MólKsiążkowy& Rats de Bibiothèque“, რომლის მიზანი კითხვისა და წიგნის სიყვარულის გაღვივება იყო. სკოლებმა გაცვალეს ცოდნა და ერთმანეთისგან მიიღეს შთაგონება, თავიანთი იდენტობისა და ადგილმდებარეობის შესახებ ისტორიების, კომიქსების და თეატრალური დადგმების შესაქმნელად. პროექტის შთაგონებით, პოლონელმა მოსწავლეებმა უსინათლო და მხედველობადაქვეითებული ადამიანების მხარდასაჭერად მოამზადეს სოციალური პროექტი სახელწოდებით „100toSTART“. მონაწილეებმა შეაგროვეს ფულადი თანხა მხედველობადაქვეითებული ბავშვებისთვის მსოფლიოში პირველი ტაქტილური წიგნების მასობრივი წარმოებისთვის. აღნიშნული წიგნები გამოირჩევა სივრცითი და ფერადი ილუსტრაციებით, რომლებიც ეხმარება მხედველობადაქვეითებულ ბავშვებს წარმოსახვის, კრეატიულობისა და სივრცეში ორიენტირების უნარების განვითარებაში. თანხის შეგროვებისა და ეგზემპლარების დაბეჭდვის შემდეგ, საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს შემოწირულობა გადაერიცხათ ევროპაში მდებარე 10 ცენტრისთვის, რომლებიც დახმარებას უწევენ მხედველობადაქვეითებულ ადამიანებს.

2020 წელს eTwinning-ის პროექტი „ციფრული ევროკავშირი - და შენ?! ჩემი მედიაარჩევანი – ჩემი ცხოვრების ბალანსი“ ციფრული მოქალაქეობისა და ინტერნეტის უსაფრთხო და ცნობიერი გამოყენების თემატიკაზე კონცენტრირდა. პროექტში ყურადღებით გაანალიზდა თინეიჯერების ციფრული არჩევანი, მათ შორის ინტერნეტსიძულვილი, კიბერბულინგი, ფაბინგი, ნეტიკეტი და კომუნიკაციის მანიფესტი. პროექტის ყველა აქტივობა ეროვნულ სასწავლო გეგმაში კარგად იყო ინტეგრირებული და ხელს უწყობდა საერთაშორისო გარემოში, გერმანელ, ბერძენ, იტალიელ და ესპანელ მოსწავლეებთან თანამშრომლობის საფუძველზე დისციპლინური და ინტერდისციპლინური კონტენტის ათვისებას. პროექტი გერმანიაში გამართული „eTwinning-ის ციფრული მდგრადობის“ 68-ე საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული გახდა. პროექტი განხორციელდა პანდემიის გამო გამოცხადებული ლოქდაუნის დროს, ამიტომ მონაწილე მოსწავლეებმა საკუთარ თავზე აიღეს თანასკოლელების მეგზურობა, რამაც ხაზგასმით გამოკვეთა ციფრული წიგნიერების მნიშვნელობა.

ერთობლივი პროექტების ხელშემწყობი ციფრული ხელსაწყოებისა და პლატფორმების გამოყენებამ, როგორც იუსტინამ აღნიშნა, მის მოსწავლეებს განუვითარა 21-ე საუკუნის დასაქმების ბაზრისთვის აუცილებელი უნარები. ეს უნარებია: შემოქმედებითობა, პრობლემების გადაჭრის უნარი და კრიტიკული აზროვნება, რაც თავის მხრივ ეხმარება მათ გახდნენ უფრო თავდაჯერებული და დამოუკიდებელი მოსწავლეები. გარდა ამისა, მასწავლებლებს შეუძლიათ კოლეგებს გაუზიარონ საუკეთესო პრაქტიკა და ისწავლონ ერთმანეთისგან, რაც სწავლების ინოვაციური მეთოდებისა და მიდგომების განვითარების საწინდარია. საკლასო ოთახში eTwinning-ის პროექტების განხორციელებით, მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს კულტურათაშორისი აღქმა და კომუნიკაცია. ისინი მზად არიან ონლაინრეჟიმში შეხვდნენ პროექტის პარტნიორებს და ითანამშრომლონ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ თანატოლებთან. მაგალითად, პროექტი „მე ვიცი ჩემი წარსული, მე მივდივარ მომავლისკენ“ მაგალითია იმისა, თუ როგორ აუმჯობესებს თანამშრომლობა მოსწავლეთა კულტურათაშორის ცნობიერებას და კომუნიკაციის უნარებს. პროექტებზე ერთობლივი მუშაობისას, მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა კულტურას, ტრადიციებსა და ენებს, რაც მათ უვითარებთ განსხვავებული



პერსპექტივებისადმი ემპათიას
და პატივისცემას. ეს ყველაფერი
აუმჯობესებს გლობალურ მოქალაქეობას,
რომელიც ეხმიანება იუსტინას სკოლის
მისიას და ხედვას სხვადასხვა
კულტურებს შორის ტოლერანტობისა და
ურთიერთგაგების ხელშეწყობის შესახებ.

თუმცა, როგორც იუსტინამ აღნიშნა,
საკლასო გარემოში ინოვაციების შეტანა
და დანერგვა შესაძლოა გამოწვევა
აღმოჩნდეს იმ მოსწავლეებისათვის,
რომლებსაც არ უყვართ ცვლილებები
და ვერ ახერხებენ აქტივობების ახალ
წესებთან ადაპტირებას. ტექნიკური
ცოდნის ნაკლებობამ შესაძლოა
გამოიწვიოს იმედგაცრუება და
წინსვლის შეფერხება. სათანადო
რესურსები, მათ შორის აღჭურვილობა,
მასალები და დაფინანსება,
გადამწყვეტია ინოვაციების ეფექტური
იმპლემენტაციისათვის. „ჯენზი“
თაობის მოსწავლეებს პრაქტიკისა და
ექსპერიმენტირებისათვის სჭირდებათ
დრო და უსაფრთხო, მეგობრული გარემო.
მასწავლებლებმა კი მოსწავლეებს უნდა
გააცნონ ინოვაციის უპირატესობები,
მათ შორის გაუმჯობესებული
ჩართულობა და სწავლის შედეგები,
ასევე უზრუნველყონ ინდივიდუალური
დახმარება, ონლაინგაკვეთილები ან
თანატოლთა მხარდაჭერა. პოზიტიური
სასწავლო გამოცდილების მისაღებად,
აუცილებელია ყურადღებიანი დაგეგმვა
და მხარდაჭერა.

ETWINNING-ის სკოლები: ინოვაციური კულტურის გაძლიერება

„eTwinning-ის გაცნობისა და
საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების
შემდეგ ჩვენი მასწავლებლებისა
და მოსწავლეებისათვის, მათივე
დახმარებითა და მხარდაჭერით,
სკოლაში განვახორციელეთ eTwinning-ის
ღონისძიებები, მათ შორის: „შეუერთდი
eTwinning-ს“, „როგორ ვიმუშაოთ
ონლაინ პროექტებზე“ და „რომელი
ონლაინ ინსტრუმენტებია საჭირო
ინოვაციური პროექტის დასაწყებად?”.
მოვინვიეთ eTwinning-ის ადგილობრივი
ელჩები, რათა გავცნობოდით მათ მიერ
შემოთავაზებულ შესაძლებლობებს.
მასწავლებლებმა შეიძინეს პრაქტიკული
უნარები და პირველად დაიწყეს
საერთაშორისო და ეროვნული
პროექტების განხორციელება. ასევე,
მონაწილეობა მივიღეთ ბევრ ონლაინ
აქტივობაში და მივიღეთ ცოდნა სხვა
მასწავლებლებისგან, ამავე დროს
გავაცნობიერეთ ის, რომ მასწავლებლობა
ნიშნავს უწყვეტ სწავლას. eTwinning-ის
ონლაინ ტრენინგებმა, მართლაც რომ
გაამართლა ჩვენი მასწავლებლების
მოლოდინი.“

რამდენიმე ონლაინ პროექტში
მონაწილეობისთვის, მასწავლებლებს
გადაეცათ ევროპული ხარისხის ნიშანი,
რამაც შთააგონა სკოლა მოეხდინა
სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებსა
და მასწავლებლებს შორის
ინტერკულტურული ურთიერთგაგებისა
და თანამშრომლობის ხელშეწყობა.
ეს დაეხმარა მათ კულტურული
განსხვავებებისა და გაუგებრობების
დაძლევაში, ასევე სკოლაში უფრო
ინკლუზიური და მრავალფეროვანი
სასწავლო გარემოს შექმნაში. სკოლამ
განაცხადი შეიტანა Erasmus+-ის
გრანტზე, რის საფუძველზეც 20-მა
მასწავლებელმა გაიარა პრაქტიკული
კურსი, ასევე ენობრივი და
მეთოდოლოგიური გადამზადება. მათ
უკეთ გაიაზრეს სწავლების ინოვაციური

მიდგომები და შექმნეს ლიდერთა ჯგუფი, პარტნიორობის დასაფუძნებლად და მოსწავლეთა Erasmus+ funds-ში განაცხადის შესატანად. მასწავლებლებმა სწავლებისა და სწავლის ახალი და შემოქმედებითი გზების მოსაფიქრებლად დაიწყეს სხვა სკოლების მონახულება, საერთაშორისო ჯგუფებში თანამშრომლობა, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, იდეების გაცვლა და ერთმანეთისგან შთაგონების მიღება. სკოლამ მიიღო ახალი სასწავლო გამოცდილება, დაამყარა ახალი კავშირები და ჩამოაყალიბა თანამშრომლობა, ასევე მოხდა თვალსაწიერის გაფართოება.

სკოლაში ინოვაციური კულტურის დაფუძნების მიზნით, როგორც იუსტინამ აღნიშნა, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა განსაზღვრეს თანამედროვე აზროვნებისთვის საჭირო საკვანძო ასპექტები, რომელიც მათი აზრით განსაკუთრებით აუცილებელია. ესენია: ცვლილებებისადმი ღიაობა, ცნობისმოყვარეობის ძლიერი გრძნობა და შემოქმედებითად აზროვნების უნარი. სკოლა ასევე დიდ აქცენტს აკეთებს მოსწავლეთა მიერ მართული სწავლის მეთოდზე, რომელიც ახალისებს მოსწავლეებს დამოუკიდებლად მართონ საკუთარი განათლება და განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები. ასევე, ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად ითვლება შეუპოვრობა, ვინაიდან მოსწავლეები სწავლობენ, რომ გამოწვევები სწავლისა და განვითარების შესაძლებლობაა.

სკოლის ინოვაციური კულტურის კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები და მოსწავლეები ერთნაირად აცნობიერებენ საერთო მიზნების მიღწევისთვის საჭირო ერთობლივი მუშაობის პოტენციალს. სკოლა ასევე ამოტივირებს მოსწავლეებს იყვნენ რისკიანები, რადგან წარუმატებლობა ინოვაციების დანერგვის პროცესის ბუნებრივი ნაწილია, ხოლო გათვლილი რისკები კი ბარიერების გადასალახად და წარმატების მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად აუცილებელიპირობაა.

სკოლა მუდმივად ცდილობს ინოვატორული კულტურის ჩამოყალიბების პროცესში ჩართოს ფართო საზოგადოება, მათ შორის მშობლები, ადგილობრივი ბიზნეს კომპანიები და საზოგადოების სხვა წევრები, რათა შეიქმნას საერთო მიკუთვნებულობის შეგრძნება და პასუხისმგებლობა სკოლის სამომავლო წარმატების მიმართ.

დაბოლოს, სკოლა აღიქვამს ტექნოლოგიებს, როგორც ინოვაციისა და კრეატიულობის მხარდამჭერ ინსტრუმენტს და იყენებს სხვადასხვა პლატფორმას (მაგალითად, 3D ბეჭდვა, კოდირების პროგრამული უზრუნველყოფა და ონლაინ თანამშრომლობის პლატფორმები), რათა დაეხმაროს მოსწავლეებს შეისწავლონ და გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები ახალი და საინტერესო ფორმით. ინოვაციური კულტურის დანერგვის მიზნებისთვის, ჯანსაღი აზროვნების ამ არსებით ასპექტებზე კონცენტრირებითა და თანამშრომლობის მეშვეობით, სკოლა ამზადებს მოსწავლეებს მუდმივად ცვალებად და სულ უფრო მეტად კონკურენტულ სამყაროში წარმატებისთვის.

იუსტინამ აღნიშნა, რომ პანდემიამდე, მის სკოლას არ ჰქონდა eTwinning-ის პროექტების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება. ამიტომ მისი კოლეგები და დირექტორი გაოცებას ვერ მალავდნენ იმ ჩართულობისა და სიმარტივის დონის ხილვით, რომლითაც იუსტინას მოსწავლეებმა მოახერხეს ონლაინ აქტივობების მიმართ ადაპტირება. მათ აღიარეს eTwinning-ი, როგორც სასწავლო პროცესში ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების ხელშეწყობის შესანიშნავი საშუალება, რომელიც ამარტივებს საერთაშორისო თანამშრომლობას და ავითარებს კულტურათაშორის კომპეტენციებს. შედეგად, მთელს სკოლაში განხორციელდა eTwinning-ის პროექტების აქტივობები. მაგალითად, სკოლის FMFT (FestiwalMałych Form Teatralnych) ფესტივალის შესახებ არასოდეს გაჟღერებულა ინფორმაცია ონლაინ ან საერთაშორისო დონეზე, სანამ არ მოხდა eTwinning-ის

პრაქტიკის გაანალიზება და სასკოლო ღონისძიებებში ინტეგრირება. შეიქმნა პროექტი “Shake the Stage”, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურის, ციფრული და მოსწავლეთა შორის საერთაშორისო თანამშრომლობის უნარების გამომუშავებას.

იუსტინამ ასევე აღნიშნა, რომ მშობლებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა სკოლაში ინოვაციების წარმატებით დანერგვისათვის გადამწყვეტია. კომუნიკაცია ძალზედ მნიშვნელოვანია, ამიტომ ინფორმირების მიზნებისთვის, სკოლა იყენებს ახალი ამბების მაცნეს (ნიუსლეთერი), ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ მედიას და მშობელთა კრებებს. უკუკავშირი გროვდება სემინარებისა და გამოკითხვების მეშვეობით, ხოლო ჩართულობის შესაძლებლობები მოიცავს მოხალისეობრივ საქმიანობას, მაგალითად სტუმარი მომხსენებლის რანგში ან შესაბამის პროექტებში დახმარებას. „ასევე, მშობლებისა და დაინტერესებული პირებისგან შევქმენით მრჩეველთა საბჭო, რათა მოხდეს თანამშრომლობა და სხვადასხვა პერსპექტივების გაერთიანება ინოვაციების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. ეს ნიშნავს ღიაობას საზოგადოების მიმართ, რადგან საზოგადოებასთან ერთად მუშაობას რეალურად მოაქვს დადებითი შედეგი”, განმარტა მან.

სირთულეები, რომელსაც საშუალო სკოლები ინოვაციების სკოლაში შეტანისა და დანერგვის პროცესში აწყდებიან, არის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების დაცვის აუცილებლობა, უფროსკლასელთა ჩართულობის სირთულე, შეზღუდული დრო და რესურსები. აუცილებელია, რომ ინოვაციები არსებულ კურიკულუმს შეესაბამებოდეს და იყოს შემუშავებული ისე, რომ მიიპყროს მოსწავლეთა ყურადღება და დაინტერესოს ისინი. ამ დაბრკოლებების დასაძლევად, აუცილებელია კრეატიული გადაწყვეტილებები, ამიტომ სკოლებმა პრიორიტეტად უნდა აქციონ ინოვაციების მდგრადობა და მასშტაბირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას პოზიტიური გავლენის უწყვეტობა მოსწავლეთა განათლებაზე”. ჩვენთვის უმთავრესი განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი პრიორიტეტების გააზრება, დისკუსირება და ინტეგრირება ან მათზე დაყრდნობით ჩვენი eTwinning-ის პროექტების შემუშავებაა. შემდეგ, ამ ყველაფერს განვიხილავთ ჩვენს მოსწავლეებთან ერთად და ვიღებთ გადაწყვეტილებას აქტივობების შესახებ, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს სახალისო, უზრუნველყოს სწავლა და ეხმიანებოდეს სკოლის სასწავლო გეგმას. ყურადღებიანი დაგეგმვითა და მხარდაჭერით, თქვენ აუცილებლად შეძლებთ პოზიტიური სასწავლო გამოცდილების მიწოდებას მოსწავლეებისათვის”, - ამბობს იუსტინა.

3.9.ITCS ‘G. Zappa’ di Saronno, სარონნო, იტალია

ლილიანა როსეტი ენის მასწავლებელია, ინგლისური და გერმანული ენების სპეციალიზაციით. იგი 25 წელზე მეტია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, ხოლო ამჟამად მუშაობს ჩრდილოეთ იტალიის, ქალაქ სარონოს ტექნიკურ სკოლაში. სკოლის სასწავლო პროგრამის მთავარი მიმართულებაა საბუღალტრო საქმე, ფინანსები, მარკეტინგი, საერთაშორისო ურთიერთობები და კომპიუტერული ქსელი ბიზნესისთვის. მასწავლებლობის გარდა, ლილიანა eTwinning-ის ელჩიცაა.

ETWINNING-ის პროექტები: ინოვაციების წახალისება საკლასო ოთახში

პედაგოგიურ პრაქტიკაში, ინოვაცია ნიშნავს მოსწავლეებთან ყოველდღიური მუშაობისას ახალი მეთოდების გამოყენებას შესაბამის სილაბუსზე დაყრდნობით, რა დროსაც ძირითადი ყურადღება ექცევა არა მხოლოდ თეორიული ცოდნის მიწოდებას, არამედ 21-ე საუკუნის უმთავრესი უნარების განვითარებას, ამბობს ლილიანა.

სასკოლო განათლებაში ინოვაცია გულისხმობს სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა თანატოლებთან ერთად სწავლა, კვლევა, პროექტებზე და ქმედებებზე დაფუძნებული სწავლება, რაც მოითხოვს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას და მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მთავარ გმირებად აქცევს. ნებისმიერი პედაგოგიური მეთოდი, რომელიც მიჰყვება დემოკრატიულ მოდელს, ეფუძნება თანამშრომლობას, ანგარიშვალდებულებასა და ინკლუზიას, ლილიანას აზრით, არის ინოვაციური, განსხვავებით სხვა ტრადიციული მეთოდებისგან. ასევე ინოვაციურია სწავლების პერსონალიზაცია, რომლის დროსაც მოსწავლეს აქვს მეტი თავისუფლება აკონტროლოს საკუთარი განათლება, რაც სასწავლო პროცესს ხდის უფრო საინტერესოს და ეფექტურს. თითოეული მოსწავლე ხასიათდება თავისი უნიკალური განვითარებით, საჭიროებებითა და სწავლის ტემპით, ხოლო პერსონალიზაცია გულისხმობს ინდივიდუალური სასწავლო გეზის შემუშავებას, რათა მიღწეული იქნას

იგივე მიზნები, რაც სხვა მოსწავლეებს აქვთ.

2020-2021 სასწავლო წელს, eTwinning-ის პროექტში „ახალგაზრდა ევროპელი მეწარმეები“ მონაწილეობას იღებდნენ პარტნიორი სკოლები ჩეხეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან (სარონო და ბარი), პორტუგალიიდან, რეიუნიონიდან (საფრანგეთი) და თურქეთიდან, ყველა მათგანი წარმოადგენდა პროფესიულ ან ტექნიკურ უმაღლეს სკოლას. პროექტში აქცენტი გაკეთდა კომპანიებს შორის საერთაშორისო დონეზე საქმიანი ურთიერთობების სიმულაციაზე. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგი სახის აქტივობებში: კომპანიების ანალიზი და პრეზენტირება, საქმიანი მიმოწერა, შეთავაზების და შეკვეთის განთავსება, დასაქმებასთან დაკავშირებული შეთავაზების და განაცხადის გაკეთება, პროდუქტის დიზაინი. ამ პრაქტიკულმა მიდგომამ, მოსწავლეებს შესაძლებლობა მისცა, თეორიული ცოდნის გარდა, განევითარებინათ ბიზნესთან დაკავშირებული უნარები და კომპეტენციები.

2021-2022 სასწავლო წელს, eTwinning-ის პროექტის „READ-WRITE-LAB“ განხორციელების მიზნით კოლაბორაციაში ჩაერთვნენ საბერძნეთის, იტალიის (სარონო და სასარი), ესპანეთის და თურქეთის სკოლები. პროექტის მიზანი იყო ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ერთობლივი კითხვითი და წერითი პრაქტიკის წახალისება. მოსწავლეებმა შეისწავლეს სხვადასხვა თხრობითი ტექსტი, მათ შორის ერთი გრაფიკული რომანი და მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ჯგუფებში გამართულ ერთობლივ აქტივობებში. პროექტმა დადებითი გავლენა მოახდინა მოსწავლეთა კითხვით უნარებზე, რადგან გრაფიკული რომანი უფრო მარტივი და მიმზიდველი ლიტერატურული ჟანრი აღმოჩნდა, რამაც მოსწავლეებს კითხვისა და წერის მოტივაცია გაუზარდა.

საკლასო ოთახში ინოვაციური პრაქტიკის დანერგვას მრავალი უპირატესობა

ახლავს თან, აღნიშნავს ლილიანა, მათ შორის უმჯობესდება სამიზნე ენაზე (ინგლისური ენა) კომუნიკაციისა და მუშაობის უნარი, იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია და ძლიერდება თემისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა. მაგალითად, იმიტირებული ბიზნეს სცენარი მოსწავლეებს აწვდის მნიშვნელოვან გამოცდილებას და პროფესიულ უნარებს, რომელთა გამოყენებასაც ისინი სტაჟირების გავლის დროს ეფექტურად შეძლებენ. eTwinning-ის პროექტი „ახალგაზრდა ევროპელი მეწარმეები“ განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა 2020-2021 წელს, პანდემიის დროს, რადგან მან ჩაანაცვლა რეალური სამუშაო პრაქტიკა, რომელიც იმ მომენტისთვის შეუძლებელი იყო.

გამოწვევები, ინოვაციური პრაქტიკის გაცნობისა და დანერგვისას, შეიძლება დაფიქსირდეს სხვადასხვა დონეზე, აღნიშნა ლილიანამ. როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისათვის, ინოვაციური პრაქტიკა შეიძლება მოითხოვდეს დროისა და სივრცის სირთულეების დაძლევის საჭიროებას. პროექტის აქტივობების შესრულებას შესაძლოა დასჭირდეს უფრო მეტი დრო, ასევე სათანადო სამუშაო გარემო, როგორიცაა კომპიუტერული ლაბორატორია ან ყველა მოსწავლისთვის განკუთვნილი მოწყობილობა, განსაკუთრებით კი - პროექტის გარკვეულ ეტაპებზე. ხელსაწყოებისა და აქტივობების მომზადებას ასევე შეიძლება დასჭირდეს მნიშვნელოვანი დრო და ენერგია, რაც შესაძლოა სირთულედ ჩაითვალოს. ერთობლივი აქტივობები მოითხოვს მომზადებას და მოტივირებულ დამოკიდებულებას ყველა მონაწილე მოსწავლისაგან; წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოცდილება ვერ იქნება წარმატებული.

გამოწვევები, თუკი პოზიტიურად მივუდგებით, ხშირად შესაძლებლობებსაც მოიცავს, რაც ნიშნავს მოსწავლეებში კომპეტენციებისა და უნარების განვითარების უპირატესობას. ლილიანამ კიდევ ერთხელ გაიხსენა პროექტი ახალგაზრდა მეწარმეების შესახებ, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს საშუალება მიეცათ შეეგრძნოთ განხორციელებული აქტივობების დადებითი ზეგავლენა. საერთაშორისო ბიზნეს კონკურსის სიმულაცია რამდენიმე ევროპელ პარტნიორთან ერთად, კარგი საშუალება აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის დაფიქრებულიყვნენ COVID-19-ის მიერ შექმნილი შეზღუდვებისა და აკრძალვების მიღმა აქტიურად წარმოედგინათ საკუთარი თავი იმ სოციალურ როლში, რომლებსაც სავარაუდოდ უახლოეს მომავალში დაიკავებდნენ. შედეგად, მოსწავლეებმა განივითარეს მთელი რიგი არატექნიკური და პროფესიული უნარები, რაც მეტად სასარგებლო აღმოჩნდა მომდევნო წელს, როდესაც მათ სტაჟირების გავლა ადგილობრივ კომპანიებში დაიწყეს. აღნიშნული პროექტი განხორციელდა ადგილობრივ მასწავლებლებთან თანამშრომლობით, რომლებმაც გააცნობიერეს აქტივობების პოტენციალი და მათი ზეგავლენა პანდემიის დროს მოსწავლეთა მომზადებაზე. ლილიანა მუდმივად ახდენდა სასკოლო თემის და დირექტორატის ინფორმირებას პროექტის მიმდინარეობის შესახებ და უზიარებდა მათ მიღწეულ შედეგებს.

მოსაზრება, რომ პედაგოგიურ პრაქტიკაში „ინოვაცია“ „გაციფრულების“ სინონიმია, ხშირად მცდარია, ამბობს ლილიანა. „ჭეშმარიტი ინოვაცია გულისხმობს მიდგომას, ხოლო მასწავლებლის როლი, ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანესია. თანამედროვე მასწავლებელი, რა თქმა უნდა, იცნობს ციფრულ ინსტრუმენტებს, რომლებიც უმარტივებენ მას საქმიანობას და აუმჯობესებენ მის პრეზენტირებას. თუმცა, ამ ინსტრუმენტების ძირითადი ფუნქცია მანძილის შემცირება,

კომუნიკაციის გამარტივება და გეოგრაფიული საზღვრების მიღმა პარტნიორებთან სწავლისა და თანამშრომლობის შესაძლებლობების უზრუნველყოფაა.“

მან ასევე დაამატა: „სულ უფრო მზარდ ტექნოლოგიურ სამყაროში აუცილებელია შევინარჩუნოთ ადამიანური ფაქტორი. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ ტექნოლოგია იქცეს ურჩხულად; ის უნდა დარჩეს კაცობრიობის სულსკვეთებით გაჟღენთილ მოკავშირედ. თუკი დავუშვებთ ადამიანური ფაქტორის გაქრობას, დავკარგავთ ყველაფერს. eTwinning-ის პროექტებით, ჩვენ შეგვიძლია ტექნოლოგიების და ურთიერთქმედების კომბინირება იმ ადამიანებთან თანამშრომლობით, რომლებიც ცხოვრობენ სხვადასხვა კონტექსტში და ჩვენგან განსხვავებულად აზროვნებენ. ეს საშუალებას გვაძლევს გავუზიაროთ ერთმანეთს იდეები და ვითანამშრომლოთ, რაც ერთი ორად ამდიდრებს ჩვენს პედაგოგიურ გამოცდილებას.“

ETWINNING-ის სკოლები: ინოვაციური კულტურის გაძლიერება

„ჩვენი სკოლა დიდი ენთუზიაზმით იღებს თანამშრომლობის მრავალფეროვან შემოთავაზებებს, რომლებსაც გვთავაზობენ ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციები. თანამშრომლობა და რეალურ ცხოვრებაში მონაწილეობა ფასდაუდებელი შესაძლებლობაა მოსწავლეებისათვის, რათა შეიძინონ პრაქტიკული უნარები და მოემზადონ სამომავლო ცხოვრებისათვის”, - განმარტავს ის. ინოვაცია ყოველთვის უნდა ასოცირდებოდეს მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნიკაციასა და ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობას. ყოველი შეხვედრა ან აქტივობა, რომელიც რეალურ სამყაროს მოსწავლეებთან აახლოვებს, არის ინოვაციური, რადგან ეს საჭიროებს ისეთ

უნარებსა და აზროვნებას, რომელსაც ტრადიციული განათლება თითქმის არ იძლევა. უფრო მეტიც, საერთო მიზნის მიღწევისთვის ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის უნარი, ხვალინდელი საზოგადოების წინაშე არსებული აუცილებელი მოთხოვნაა. ლილიანა ამბობს, რომ ამ მიდგომის წყალობით, მისმა სკოლამ eTwinning-ის სკოლის ნიშანი მოიპოვა. „ჯერ კიდევ სამუშაო პროცესში ვართ, ნამდვილად არ არის მარტივი ეს ყველაფერი. თუმცა, ჩვენ უფრო მეტს ვთანამშრომლობთ და ვცდილობთ განვახორციელოთ ინტერდისციპლინური პროექტები. ჩემს კოლეგებს eTwinning-ს ვაცნობ, როგორც ერთ-ერთ პედაგოგიურ მეთოდს.“

eTwinning-ის პროექტების მიერ შემოთავაზებული რამდენიმე აქტივობა ასევე ჩატარდა პარალელურ კლასებში და დაიტესტა მისი კოლეგების მიერ. ლილიანას eTwinning-ის პროექტზე დაყრდნობით, სკოლამ განახორციელა ბიზნეს კომპანიების სიტუაციური ანალიზის სიმულაცია და შექმნა სტარტაპი, რომელშიც ჩართული იყვნენ საბუღალტრო მიმართულების საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეები. ლილიანამ აღნიშნა: „ბიზნესის ადმინისტრირების მასწავლებელს შევთავაზე გაგვეერთიანებინა ძალები და აღნიშნულ პროექტზე ერთად გვემუშავა. ჩვენ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ და შევქმნათ სიმულაცია, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ მართონ საკუთარი კომპანია. მათთვის ეს შესანიშნავი შესაძლებლობაა, გამოიყენონ ის თეორიული მასალა, რაც ბიზნესის ადმინისტრირების კურსის ფარგლებში ისწავლეს.“

გარდა ამისა, ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა სასწავლო გეგმებში შეიტანეს გრაფიკული რომანი, როგორც საკითხავი მასალა მოსწავლეთათვის. 2021-2022 სასწავლო წელს, ჰოლოკოსტის ხსოვნის დღის აღსანიშნად არტ შპიგელმანის გრაფიკული რომანის "MAUS" საფუძველზე მოეწყო სპეციალური ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მთელმა სასკოლო საზოგადოებამ. ლილიანამ დასძინა, „პროექტზე დაფუძნებული სწავლის უპირატესობების დასანახად, საჭიროა კროსკურიკულარული პროექტები, რომლებიც სხვადასხვა საგნებისა და დარგის საჭიროებებს ეხმიანება. ამ გზით, მასწავლებლები უკეთ აცნობიერებენ პროექტის სარგებელს საკუთარი საგნის მიმართ და იწყებენ ეფექტურ თანამშრომლობას."

აღნიშნული ინოვაციური საკლასო აქტივობები ხშირად ახალი იდეებისა და გამოცდილების მაგალითია, შთააგონებს სხვა მასწავლებლებს, შეისწავლონ და საკუთარ კლასებში დატესტონ სხვადასხვა მიდგომები და მეთოდები, აღნიშნა ლილიანამ. გარდა ამისა, ამ აქტივობებმა მნიშვნელოვნად გააძლიერა მასწავლებლებს შორის სინერგია და თანამშრომლობა ინტერდისციპლინურ მოდულებში, ასევე თეორიისა და ენის ინტეგრირებულ სასწავლო მოდულებში, განსაკუთრებით სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამაში, რომელიც იტალიის სასკოლო სისტემაში, დისციპლინათშორისი მიდგომის საფუძველზე სამი წლის წინ დაინერგა.

ამასთანავე, eTwinning-ის აქტივობების დაწყებამდე ხორციელდება მშობლების ინფორმირება და მათგან ნებართვის მიღება, ასევე, მშობლები ეცნობიან პროექტის თემატიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებს. სკოლის ვებგვერდზე მუდმივად ხდება საკვანძო პროექტების პროდუქტებთან დაკავშირებით სიახლეებისა და ბმულების გაზიარება. მშობელთა წარმომადგენლებს პერიოდულ კრებებზე რეგულარულად აწვდიან სიახლეებს, თუმცა, როგორც ლილიანამ თქვა, მშობლების აქტიური მონაწილეობის მოლოდინი არ ჰქონიათ, რადგან მოსწავლეები ასაკით საკმაოდ დიდები იყვნენ. გარდა ამისა, რეგულარულად ხორციელდება სკოლასთან რაიმე საქმიანობით დაკავშირებული სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, ასოციაციების, ადგილობრივი სამსახურების ან პირების ინფორმირება. პროექტის კოორდინატორი მასწავლებელი მათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უგზავნის ინფორმაციას და სიახლეებს, რათა აღნიშნული პირები ინფორმირებულნი იყვნენ მოსწავლეთა პროგრესის შესახებ. ასევე ხდება ადგილობრივი თემის ინფორმირება, განსაკუთრებით კი პროექტის დასრულების შემდეგ, პრესრელიზებისა და სტატიების მეშვეობით, რომლებიც ქვეყნდება ადგილობრივ გაზეთში, სოციალურმედიასა და ვებგვერდებზე.

ინოვაცია არ არის მხოლოდ დროებითი ცვლილება ან მრავალფეროვნება, არამედ ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოსწავლეთა სწავლებისა და განათლების ახალი განზომილებისკენ, განმარტავს ლილიანა. ინოვაცია უნდა იყოს კარგად დაგეგმილი, სათანადოდ მხარდაჭერილი და რეგულარულად შეფასებული ბევრი მასწავლებლის მიერ იმისათვის, რომ იქცეს საუკეთესო პრაქტიკად. თუმცა, როგორც ლილიანა აღნიშნავს, ხშირად, უპირველესი საზრუნავი არის სილაბუსი, ჩასატარებელი ტესტების რაოდენობა, შეფასებები და გაზომვადი სტანდარტები, რომლებიც სხვადასხვა საგანში მოსწავლეთა მოსწრების გასაზომად გამოიყენება. შედეგად, კონტენტზე კონცენტრირებული სწავლება და უნარების განვითარება რჩება სწავლების უმთავრეს პრიორიტეტად, რაც ამცირებს ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა პიროვნული წინსვლისა და ზრდის მისაღწევად.

სკოლის ეფექტური მართვა სასიცოცხლო მნიშვნელობის როლს ასრულებს, ანუ არის მოკავშირე ინოვაციური სწავლების პრაქტიკის განვითარებისა და ეტაპობრივი დანერგვის ხელშეწყობისთვის. აუცილებელია

ახალი მასწავლებლების, მოსწავლეების და მათი ოჯახების მოტივირება, რათა მიენდონ სწავლების ახალ მეთოდებს და შეხედონ მათ, როგორც თანამედროვე განათლების თანამედროვე და საინტერესო ინსტრუმენტს, აღნიშნავს ლილიანა. მისი თქმით, „ინოვაციური პედაგოგიური პრაქტიკის დანერგვის მხარდასაჭერად, სკოლებს შესაძლოა დასჭირდეთ საგანგებოდ გამოყოფილი და გადაკეთებული სივრცე, როგორც ფიზიკური, ასევე ციფრული ტექნოლოგიური რესურსები და კორექტირებული საგაკვეთილო საათები. ამ რესურსების დახმარებით მოხდება სწავლების ინოვაციური მეთოდების ინტეგრაცია და მათი წარმატებით დანერგვის უზრუნველყოფა, რაც გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და ხელს შეუწყობს ეფექტური სწავლის შედეგების მიღებას.“

3.10.INS Ronda, ლეიდა, ესპანეთი

მარია ისაბელ ვილა ფიგუერო პროფესიული განათლების მასწავლებელია და 20 წელზე მეტია პროფესიულ საგნებს ასწავლის სოციალური ზრუნვის მიმართულებით. იგი ამჟამად ესპანეთის განათლების სამინისტროში პედაგოგიურ მრჩევლად მუშაობს. ინტერვიუს დროს, მარია ისაბელმა INS Ronda-ს პროფესიულ სკოლაში თავისი საქმიანობის შესახებ ისაუბრა, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში უმთავრესად ზრდასრულ მოსწავლეებს ასწავლიდა. მისი მოსწავლეების ასაკი 12-დან 40 წლამდე მერყეობდა, ზოგიერთი მათგანი სკოლაში სხვადასხვა სპეციალობის დასაუფლებლად ან ახალი სამუშაო ადგილისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად დაბრუნდა. მარია ისაბელის მოსწავლეები ან ყოველდღიურად დადიან სკოლაში, ან ცხოვრობენ იმ ქალაქში, სადაც სკოლაა განთავსებული.

ETWINNING-ის პროექტები: ინოვაციების წახალისება საკლასო ოთახში

„აუცილებელია მოსწავლეს ვასწავლოთ მის მიერ არჩეული სპეციალობისთვის საჭირო პროფესიული ან ტექნიკური უნარები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც მოსწავლე სტაჟირების გავლას რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციაში ან კომპანიაში გეგმავს, ან როდესაც განაცხადს აკეთებს კონკრეტული სამუშაო ადგილის დასაკავებლად. მოსწავლემ უნდა აითვისოს ის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, რომლებიც მას დასჭირდება კომპანიებში სტაჟირების გასავლელად, ასევე აუცილებელია არატექნიკური ან ტრანსვერსიული უნარების განვითარება. თანამშრომლობისთვის საჭირო უნარები, პასუხისმგებლობა და სხვა ადამიანებთან ერთად მუშაობის უნარი არის ის კრიტიკული ცოდნა, რომელიც მოსწავლეს უნდა ჰქონდეს დასაქმების ბაზარზე შესვლის წინ” - ამბობს მარია ისაბელი.

საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მარია ისაბელმა შეამჩნია, რომ სასწავლო პროგრამა შესაძლოა საკმარისად არ მოიცავდეს როგორც ტექნიკური, ასევე არატექნიკური უნარების სწავლებას. eTwinning-ის დახმარებით კი, მან აღმოაჩინა შესაძლებლობა ემუშავა ორივე ტიპის უნარის განვითარებაზე, რომლებიც დასაქმების ბაზრისა და კომპანიების მხრიდან სულ უფრო მოთხოვნადია. სწავლების გარდა, მარია ისაბელმა აღნიშნული უნარები სპეციალური რუბრიკების მეშვეობითაც შეაფასა, რათა შეედარებინა მოსწავლეთა შესაძლებლობები და პასუხისმგებლობის გრძნობა დავალებების შესრულების მიმართ. ამან საშუალება მისცა, უფრო ყოვლისმომცველი მიდგომა აერჩია სწავლებისადმი.

მარია ისაბელმა აღნიშნა, რომ რადგან მას ძირითადად ზრდასრული მოსწავლეები ჰყავდა, საკმაოდ რთული აღმოჩნდა იმავე ასაკის მოსწავლეებისათვის პარტნიორების

მოძებნა. კურსები, რომლებსაც მოსწავლეებს მისი პროფესიული სკოლა სთავაზობს, ასევე ისწავლება სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებშიც. მარია ისაბელი მოსწავლეებს ასწავლის თუ როგორ გაუწიონ დახმარება მზრუნველობამოკლებულ ადამიანებს. ის განმარტავს: „მათ უნდა შეეძლოთ ეფექტური კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ასევე კარგად იაზრებდნენ სოციალურ პრობლემებს და ეძიებდნენ მათი გადაჭრის გზებს. ეს კი გულისხმობს არა მხოლოდ ტექნიკურ უნარებს, არამედ ინტერპერსონალურ უნარებსაც, ასევე ადამიანების მიმართ ემპათიურობას. მასწავლებლობა რთული, თუმცა სასიამოვნო პროფესიაა, რომელიც მოითხოვს დიდ ერთგულებას და პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას“.

2019 წელს, მარია ისაბელმა ბერძენ, ესპანელ და იტალიელ პარტნიორებთან ერთად eTwinning-ის პროექტი, სახელწოდებით „R4H". Restaurant4Homeless“ განახორციელა. პროექტის მონაწილე მოსწავლეებმა გახსნეს რესტორანი, რომლის მიზანი იყო უფრო მეტის შეთავაზება, ვიდრე უბრალოდ საკვებია - რესტორანი მიუსაფარ ან უსახლკარობის რისკის ქვეშ მყოფ ადამიანებს ტრენინგებსა და დახმარებას სთავაზობდა. პროექტის ძირითადი თემა იყო უსახლკარობის, უმუშევრობისა და სიღარიბის ჯაჭვის გაწყვეტა და ადამიანების დახმარება საკუთარი ძალების რეალიზებასა და საინტერესო სამუშაო ადგილის მოძებნაში. გარდა ამისა, მოსწავლეებმა შეიტყვეს, თუ რამდენად ამძიმებს კლიმატის ცვლილება მიუსაფარი ადამიანების მდგომარეობას და ზრდის უსახლკარო ადამიანთა რიცხვს ევროპაში. მოსწავლეებმა ითანამშრომლეს არასამთავრობო



ორგანიზაციებთან (NGO), მოიძიეს დაფინანსება და ადგილობრივ თემთან თანამშრომლობით, წარმატებით განავითარეს სარესტორნო საქმე. მარია ისაბელმა თქვა: „eTwinning-ის დახმარებით, მოსწავლეებმა შეძლეს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რამაც შესაძლებელი გახადა პროექტის მთავარ მიმართულებასთან ერთად პრაქტიკული აქტივობების განხორციელება“. მაგალითად, პროექტი მოიცავდა სოციალური მიმართულებით მომუშავე სუბიექტების ჩართულობას ისეთი ბიზნეს კომპანიის დასაფუძნებლად, რომელიც უსახლკარო ადამიანებს დასაქმებაში დაეხმარებოდა. გარდა ამისა, მომზადდა სიუჟეტი 3-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, ძირითადი აქცენტირებით იმ მიზეზებზე, თუ ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე რატომ არ აქვს ზოგიერთ ადამიანს სამსახური. სიუჟეტში საგანგებოდ არ მოხდა იმ სასტიკი რეალობის დაფარვა, რომელიც ამ ადამიანების ყოველდღიურობაა.

პროექტი „CM: ჭკვიანი საკვები“ ბერძენ, ლიტველ და პოლონელ პარტნიორებთან ერთად 2020 წელს დაინიცირდა. პროექტის მიზანი იყო მსოფლიოში საკვებისა და კვებითი საჭიროებების მიმართულებით არსებული პრობლემების მოსაგვარებლად მარტივი და ჯანსაღი კვების პოპულარიზაცია, ამავდროულად სამუშაო ადგილების შექმნა სოციალური მიზნებისათვის. მონაწილეებმა შეისწავლეს კავშირი პროექტის მიზნებსა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს შორის (სიღარიბე, შიმშილის აღმოფხვრა, გენდერული თანასწორობა, პასუხისმგებლიანი სამომხმარებლო კულტურა და წარმოება). პროექტის მიმდინარეობისას, ჯგუფმა შეიმუშავა დეჰიდრატირებული ინგრედიენტებით სწრაფად მომზადებადი და ნოყიერი წვნიანის იდეა, რაც ევროპის მასშტაბით პროდუქციის მიწოდებას გაამარტივებდა. სამწუხაროდ, იდეა ვერ განხორციელდა, რადგან მწარმოებელი კომპანიის ძიებისას, მოსწავლეებმა აღმოაჩინეს, რომ პროცესის განვითარება საკმაოდ დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. 2018 წელს, ბერძენ, იტალიელ და სერბ პარტნიორებთან ერთად დაინიცირდა



პროექტი „ORFI რესტორანი – ჩვენი რესტორანი ინკლუზიურობის ხელშეწყობისთვის“. პროექტის მიზანი იყო ინკლუზიის ხელშეწყობა და იმ კონკრეტულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომლებიც შშმ პირებთან მუშაობენ. შშმ პირების საჭიროებიდან გამომდინარე, რესტორნებზე წვდომის გასამარტივებლად ერთობლივად შემუშავდა გაიდლაინები.

როგორც მარია ისაბელმა აღნიშნა, eTwinning-ის პროექტებით, საკლასო ოთახი ახალ განზომილებაში გადადის. მოსწავლეები ხდებიან უფრო მოტივირებულები და მოუთმენლად ელიან სხვა ქვეყნებში მყოფ თანატოლებთან თანამშრომლობას, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ პროექტები გაკვეთილებს მატებს ხალისს, ინოვაციას და ინტერესს, ასევე გააქვს სასწავლო პროცესი საკლასო ოთახის კედლებს მიღმა. მარია ისაბელის თქმით, ამ ასაკის მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ ის საგანმანათლებლო ინოვაციები, რომლებიც უკავშირდება მათ სამომავლო სამუშაო რეალობას. eTwinning-ის პროექტები უზრუნველყოფს მართვად გამოწვევებს, რომლებიც ამზადებს მოსწავლეებს სულ უფრო მზარდი პროფესიული საჭიროებებისათვის. პროექტები ასევე ეხება მოსწავლეთა გარემოსთან და მიმდინარე პროფესიულ გამოწვევებთან დაკავშირებულ სოციალურ პრობლემებს. საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობით კი, მოსწავლეები იძენენ მდიდარ სასწავლო გამოცდილებას, რაც აძლიერებს და აუმჯობესებს მათ განათლებას.

ETWINNING-ის სკოლები: ინოვაციური კულტურის გაძლიერება

„eTwinning-ის პროექტები ფასდაუდებელი გამოცდილება აღმოჩნდა ჩვენი სკოლისთვის. დავამყარეთ საერთაშორისო კავშირები, ერთმანეთს გავუზიარეთ საუკეთესო პრაქტიკა და გავეცანით ახალ იდეებს სწავლა-სწავლების მიდგომების შესახებ. ჩვენმა მოსწავლეებმა დიდი სარგებელი მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის თანატოლებთან თანამშრომლობით, გაიუმჯობესეს ენობრივი და ციფრული კომპეტენციები, ასევე შეიძინეს უფრო მეტი ცოდნა სხვადასხვა კულტურის შესახებ. მთლიანობაში, eTwinning-ი აღმოჩნდა ფასდაუდებელი რესურსი უმაღლესი ხარისხის საერთაშორისო განათლების მისაწოდებლად ჩვენი მოსწავლეებისათვის”, - თქვა მარია ისაბელმა.

როდესაც იხსენებს 6-7 წლის წინ სკოლაში თავის საქმიანობას, მარია ისაბელი აღნიშნავს, რომ სკოლაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: დღეს მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ გადამზადება ევროპის სხვადასხვა ქვეყნის პროფესიულ სასწავლებლებში, გაკვეთილებზე დომინირებს ინგლისური ენა, მასწავლებლებს აქვთ ნეთვორქინგის მეტი გამოცდილება და მონაწილეობას იღებენ ტრენინგ პროგრამებში, ცდილობენ გააუმჯობესონ და განაახლონ საკუთარი პრაქტიკა დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ამ ყველაფრის მიღწევაში, ჭეშმარიტად დიდი როლი ითამაშა eTwinning-ის ეროვნული ჯილდოს მიღებამ და მისი საქმიანობის აღიარებამ. პროგრამის საშუალებით სხვა მასწავლებლებთან და სკოლებთან კავშირების დამყარება, ასევე დაეხმარა მარია ისაბელს ახალი შესაძლებლობებისა და კავშირების



ჩამოყალიბებაში. მან ხაზგასმით აღნიშნა, „გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე აზროვნებას და რაც მთავარია, მასწავლებლების კოლექტივს უნდა ჰქონდეს სურვილი შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად გამოიყენოს ახალი პრაქტიკები. ასევე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთი სასწავლო შესაძლებლობების შექმნა, რომელშიც ჩართულნი იქნებიან კომპანიები და უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო ადგილზე პრაქტიკული გადამზადება და ტრენინგები. ამგვარი თანამშრომლობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ოპტიმალურ მომზადებას.“

მისი ზრდასრული მოსწავლეებისათვის კიდევ ერთი სარგებელი ონლაინ საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობაა, რადგან ოჯახური მიზეზების გამო ზოგიერთ მოსწავლეს არ შეუძლია საზღვარგარეთ გამგზავრება. ამის მიუხედავად, მათ აქვთ საშუალება განივითარონ უნარები თანატოლებთან ონლაინთანამშრომლობის მეშვეობით.

„ჩვენმა სკოლამ მოახერხა ცვლილებებთან ადაპტირება, რადგან ჩვენს სკოლაში არსებული სპეციალობები მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივ სერვისებთან, რაც ჩვენგან მოითხოვს საზოგადოების განვითარებადი საჭიროებების შესახებ მუდამ საქმის კურსში ყოფნას. ამ ყველაფერმა გვასწავლა მოქნილობა და უარი გვათქმევინა ხისტი სტრუქტურების გამოყენებაზე. ცვლილებებისადმი ღიაობა წარმოადგენს ჩვენს სფეროში წარმატების საწინდარს“ - ამბობს მარია ისაბელი

© ევროკავშირი, 2023 - inspiring.team / stock.adobe.com

© ეკატერინა ბერიკი, 2023 - Pugun & Photo Studio / stock.adobe.com

4

დასკვნა

ტერმინი ინოვაცია ბოლო რამდენიმე ათწლეულია საკმაოდ მტკიცედ დამკვიდრდა განათლების სფეროში და ხშირად განიხილება, როგორც **პროგრესის მამოძრავებელი ძალა, ასევე მოსწავლეებისა და საზოგადოების ცვალებადი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის საჭირო ინსტრუმენტი.** ამასთან დაკავშირებით, ევროკავშირის მიერ შემუშავდა პოლიტიკური დოკუმენტები და პრაქტიკა, რათა მოხდეს სასკოლო განათლებაში ინოვაციური ღონისძიებების დანერგვისა და განხორციელების მხარდაჭერა. ამის საილუსტრაციოდ, eTwinning-ის სკოლებში განხორციელებული eTwinning-ის პროექტებისა და სასკოლო პრაქტიკის მაგალითებზე დარყდნობით მომზადდა წინამდებარე გამოცემა.

2005 წლიდან, **eTwinning-ი მიიჩნევა ინოვაციურ საგანმანათლებლო პრაქტიკად,** რომელიც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს საკვანძო კომპეტენციების დახვეწაში, ერთობლივ საერთაშორისო პროექტებში სხვადასხვა თემებზე კონცენტრირებით ეხმარება. ამ წიგნში აღწერილი eTwinning-ის პროექტები და პრაქტიკა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა განვითარდეს LifeComp-ში აღწერილი შემეცნებითი, სოციალური და ემოციური კომპეტენციები. აღნიშნული კომპეტენციები აუცილებელია წარმატების მისაღწევად როგორც სკოლაში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც ხაზგასმითაა აღნიშნული ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში „Pathways to School Success“ (გზა სასკოლო წარმატებისკენ). გარდა ამისა, eTwinning-ის პროექტები, ისევე როგორც eTwinning-ის სკოლებში განხორციელებული სასკოლო პრაქტიკა, წარმოადგენს DEAP-ის თანახმად გაწერილი პრიორიტეტების შესრულების ხელშესახებ მაგალითს, მათ შორის ციფრული კომპეტენციების განვითარების და ევროპული თანამშრომლობით მხარდაჭერილი უმაღლესი ხარისხის, ინკლუზიური და ხელმისაწვდომი ციფრული განათლების კუთხით. წიგნში გაჟღერებული მასწავლებლების ნარატივი ასევე აჩვენებს, თუ როგორ განავითარა eTwinning-მა შერეული სწავლება, მიზანმიმართულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პედაგოგიურ მიდგომებზე დაყრდნობით, როგორიცაა აქტიური სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება და პერსონალიზებული სწავლება, რომლებიც 2030 წლის ევროპული პროფესიული გადამზადების ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით ინოვაციური განათლების ელემენტებია.

eTwinning-ის სკოლების 10 სიტუაციური ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განათლებაში ინოვაციის ძირითადი ელემენტები შემდეგია:

- ინოვაცია ნიშნავს **კონცენტრირებას ინდივიდზე,** ადაპტირებას მასწავლებლის და/ან მოსწავლის საჭიროებებზე, რათა მოხდეს ალტერნატიული და უფრო საინტერესო სასწავლო გამოცდილების უზრუნველყოფა.

- **მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ გაკვეთილზე ინოვაციური პრაქტიკის წარმართვის უფლება,** ხოლო მასწავლებელი კი მხოლოდ ფასილიტატორის როლს ითავსებდეს.

- **ინოვაციების მხარდაჭერის მშობლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ;** მოსწავლეთა უკეთესი მხარდაჭერისა და ეფექტური მომზადებისათვის სახლსა და სკოლას შორის თანამშრომლობა აუცილებელი ფაქტორია.

- **მხარდამჭერი მმართველი გუნდი,** რომელიც ახალისებს ინიციატივას და ღიაა ახალი იდეებისთვის, ქმნის ინოვაციებისთვის სასარგებლო გარემოს.

- **მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა** აძლიერებს ინოვაციას**,** რაც გამოიხატება პროფესიული მხარდაჭერის შეთავაზებაში მათთვის, ვისაც უჭირს კომფორტის ზონიდან გამოსვლა, იმის ჩვენებით, რომ

ცვლილებების განხორციელება და სიახლეებით ექსპერიმენტირება შესაძლებელია.

- უმრავლეს შემთხვევაში, ინოვაცია გულისხმობს ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებას; **თუმცა უშუალოდ ტექნოლოგია (ყოველთვის) არ ნიშნავს ინოვაციას.**

- მოსწავლის მომავლისთვის მომზადება მოითხოვს ისეთი არსებითი უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარი. ამ ყველაფრის მისაღწევად, განათლების სფეროს ინოვაციები ესაჭიროება.

- პერსონალიზებული სწავლება და მოსწავლეებისათვის დიფერენცირებული შესაძლებლობების შეთავაზება ინოვაციური პრაქტიკის გამოყენებით, განათლების ის ძირითადი კომპონენტებია, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის მოსამზადებლად 21-ე საუკუნის გლობალური, კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზრისთვის.

- მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარება, რათა მასწავლებელი იყოს თავდაჯერებული ინოვაციური პრაქტიკის დანერგვისას.

- ასევე თანაბრად მნიშვნელოვანია აღიარება, ვინაიდან მასწავლებლები, რომლებიც ხედავენ, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაო სათანადოდ ფასდება, უფრო მეტად აგრძელებენ იმავე მიმართულებით სვლას და შთააგონებენ სხვებსაც.

- ერთობლივად შემუშავებული სასკოლო გეგმა უზრუნველყოფს სკოლის დონეზე ინოვაციური საკლასო პრაქტიკის გაფართოებას.

ზემოთ აღწერილი კონკრეტული მაგალითების შესწავლამ დაგვანახა, **რომ eTwinning-ში მონაწილეობა მასწავლებლებს დაეხმარა გაკვეთილებზე ინოვაციური პრაქტიკის დანერგვაში, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, ინოვაციები მთელი სკოლის მასშტაბით დაინერგა.** მაგალითად, მასწავლებლებმა ხაზი გაუსვეს, რომ eTwinning-ში მონაწილეობამ მათ სკოლას გაუხსნა ევროპული განზომილება და აათვისებინა Erasmus+ პროგრამით შემოთავაზებული სხვა შესაძლებლობების განხორციელებისათვის საჭირო უნარები. **აღნიშნული პროცესი გამარტივდა eTwinning-ის სკოლის სტატუსის მიღებით, რადგან სკოლებმა დანერგეს ინოვაციური პრაქტიკა და გახდნენ უფრო ღია საზოგადოებისთვის.** ცვლილებები გარდაუვალია, ამიტომ სკოლები უნდა იყვნენ მზად და ღია სიახლეების მისაღებად, ასევე თვალყური ადევნონ სწრაფად განვითარებად ლანდშაფტს. ინოვაციური საგანმანათლებლო პრაქტიკა აუცილებელია, რათა ახალგაზრდები აღვჭურვოთ 21-ე საუკუნეში წარმატების მიღწევისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით.

საერთო ჯამში, ამ წიგნის მთავარი გზავნილია ის, რომ **ინოვაცია სხვადასხვა ფორმით ინერგება, რაც დამოკიდებულია ხედვებზე, კომპეტენციებსა და წინარე გამოცდილებაზე.** ზოგისთვის ეს შეიძლება ნიშნავდეს საკლასო ოთახში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, სხვებისთვის კი, სწავლების ახალი მეთოდების ან სასწავლო გეგმების შემუშავებასა და დანერგვას. **სწორედ ინოვაციის ეს სუბიექტური თვისება ართულებს მისი არსის განმარტებას, თუმცა, ამავე დროს გვთავაზობს შესაძლებლობას სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად დავნერგოთ შემოქმედებითი და მრავალფეროვანი მიდგომები.** როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, ინოვაცია**, ძირითადად გულისხმობს ღიაობას და პრობლემების გადაჭრისადმი ახალი და განსხვავებული მიდგომების ძიების სურვილს.**

© ევროკავშირი, 2023 - inspiring.team / stock.adobe.com

კონტაქტი ევროკავშირთან

პირადად

ევროკავშირის მასშტაბით განთავსებულია „Europe Direct"-ის საინფორმაციო ცენტრები. უახლოესი ცენტრის მისამართი შეგიძლიათ მოიძიოთ ვებგვერდზე (european-union.europa.eu/contact-eu/meet-us_en).

ტელეფონით ან წერილობით

„Europe Direct"-ის სამსახური **ევროკავშირის შესახებ თქვენს ნებისმიერ შეკითხვას უპასუხებს**. **სამსახურთან დაკავშირება შესაძლებელია**:

- **უფასო ტელეფონის ნომერზე**: 00 800 6 7 8 9 10 11 (**ზოგიერთი სატელეფონო ოპერატორის შემთხვევაში**, **ზარი ფასიანია**)
- **სტანდარტულ ნომერზე**: +32 22999696,
- **ბმულზე მოცემული ბლანკის საშუალებით**: european-union.europa.eu/contact-eu/write-us_en.

მოიძიეთ ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ

ონლაინრეჟიმში
ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ ევროკავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე ხელმისაწვდომია ევროპის ვებგვერდზე (europa.eu).

ევროკავშირის გამოცემები
გაეცანით ან შეუკვეთეთ ევროკავშირის გამოცემები შემდეგ ელექტრონულ მისამართზე op.europa.eu/en/publications. უფასო გამოცემების ასლების მისაღებად, დაუკავშირდით Europe Direct-ს ან ადგილობრივ ოფიციალურ ცენტრს (european-union.europa.eu/contact-eu/meet-us_en).

ევროკავშირის კანონმდებლობა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები

ევროკავშირის იურიდიული მასალის, მათ შორის, 1951 წლიდან ევროკავშირის ყველა კანონის გასაცნობად, რომელიც ყველა ოფიციალურ ენაზეა ხელმისაწვდომი, ეწვიეთ EUR-Lex (eur-lex.europa.eu).

ღია მონაცემები ევროკავშირის შესახებ
პორტალი data.europa.eu უზრუნველყოფს წვდომას ევროკავშირის ინსტიტუტების, ორგანოებისა და სააგენტოების ღია მონაცემებზე. მასალების ჩამოტვირთვა და გამოყენება შესაძლებელია უსასყიდლოდ, როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული მიზნებისათვის. პორტალი ასევე უზრუნველყოფს წვდომას მრავალ საინფორმაციო რესურსზე ევროპის ქვეყნების შესახებ.

EC-05-23-045-KA-N

დაგვიკავშირდით

eTwinning-ის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს:
https://school-education.ec.europa.eu/ka/etwinning

eTwinning-ის შესახებ შეკითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით ელექტრონულ ფოსტაზე:
eacea-eplus-etwinning@ec.europa.eu

European School Education Platform-ის შესახებ

2022 წელს დაფუძნებული European School Education Platform (ევროპული სასკოლო განათლების პლატფორმა) არის სკოლის პერსონალის (მათ შორის, ადრეული განათლების და ზრუნვის, დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურის, საწყისი პროფესიული განათლებისა და გადამზადების), სასკოლო განათლების სფეროს მკვლევარების, პოლიტიკის შემქმნელებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრის ადგილი. European School Education Platform არის ერთიანი პლატფორმა, რომელიც აერთიანებს eTwinning-ის, School Education Gateway-ის და „მასწავლებელთა აკადემიის“ ყოფილ პლატფორმებსა და სერვისებს. 2022 წლიდან, eTwinning-ის საზოგადოება განთავსებულია European School Education Platform-ზე არსებულ დახურულ სივრცეში. ეს სივრცე ხელმისაწვდომია მხოლოდ ეროვნული მხარდამჭერი ორგანიზაციების მიერ ნებადართული სკოლების პერსონალისთვის. 2005 წლიდან, ანუ დაარსების დღიდან, eTwinning-ი უბრალო ინიციატივიდან იქცა აქტიურ სასკოლო საზოგადოებად, რომელშიც ჩართულია 1,053,000-ზე მეტი სკოლის თანამშრომელი 233,000-ზე მეტ სკოლასა და 40-ზე მეტ ქვეყანაში. eTwinning-ი უზრუნველყოფს უსაფრთხო ციფრულ პლატფორმას, სადაც მასწავლებლები ჩართულნი არიან სხვადასხვა აქტივობებში, როგორიცაა: ევროპული თანამშრომლობითი პროექტების შემუშავება და განხორციელება, ნეთვორქინგი და ვირტუალურ ჯგუფებში მონაწილეობა, პროფესიული განვითარება და თანასწავლება. ამ პლატფორმის საშუალებით, რომელიც 30-ზე მეტ ენაზეა ხელმისაწვდომი, eTwinning-ი მასწავლებლებს აწვდის რესურსებსა და სასწავლო შესაძლებლობებს. რესურსების თემები მოიცავს eTwinning-ში ჩართულობის უპირატესობებს, 21-ე საუკუნის უნარებს, ისტ-ის გამოყენებას განათლებაში, ასევე პროექტებს შთაგონებისა და მეგზურობისთვის. დარეგისტრირებულ მასწავლებლებს შეუძლიათ იქონიონ წვდომა პლატფორმის დახურულ სივრცეზე, სახელწოდებით «eTwinning area».

European School Education Platform და eTwinning-ის საზოგადოება ფინანსდება განათლების, ტრენინგების, სპორტისა და ახალგაზრდობის ევროპული პროგრამის Erasmus+-ის მიერ, რომელიც ევროკომისიის განათლების, ახალგაზრდობის, სპორტისა და კულტურის გენერალური დირექტორატის ინიციატივაა. პლატფორმას მართავს European Schoolnet (უზრუნველყოფს კოორდინაციას, კონტენტს და სერვისებს) და Tremend Software Consulting SRL (უზრუნველყოფს ტექნიკური ინფრასტრუქტურის გამართულობას). ორივე დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოსთან (EACEA). eTwinning-ის საზოგადოება ფუნქციონირებს „ეროვნული მხარდამჭერი ორგანიზაციების“ დახმარებით, რომლებიც ფინანსდებიან Erasmus+-ის მიერ, ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოსთან და მხარდამჭერ პარტნიორებთან გაფორმებული საგრანტო შეთანხმების საფუძველზე.

Publications Office
of the European Union

ISBN 978-92-9488-259-2
doi:10.2797/716419